

დღისუკაღმართი საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

7 თებერვალი 2025წ. №2 (4098) გამომცემის 94-ე წელი ფასი 2 ლარი

ქეთევან შენგელია

ჩვენ ვინყავთ ფრენას

მე ვინყავთ სუნთქვას ნახანძრალი, მეორედ, თითქოს, ვინყავთ ფრენასაც კლდის ქიმიდან, ისევ თავიდან, კიდევ შემომრჩა ოცნებები, ეჭვი და სითბო, ციხე-სიმაგრეს ავაშენებ ნასახლარიდან.

გამთენიანა, სხივი არღვევს ღამის ნარჩენებს, და ღმერთი აცმევს ზეცას მზისფერს, ცისფერს და წყლისფერს, მდინარის სარკის მცირე ტალღა ნიშანს მაჩვენებს, რომ ვილაც ისევ გვეჩხუბება და მაინც გვისმენს.

გული ათასჯერ ვერ გატყდება, ერთხელ იმსხვრევა, ამ ცხოვრებაშიც რჩება, ალბათ, ერთი თარიღი, არ შეგაშინოს სიცივის და სეტყვის ისრებმა, უმთავრესია ვერ გაგხადონ სულით ღარიბი.

ჩვენ ვინყავთ ფრენას, მწვერვალიდან, მესამე თითქოს, თვალახვეულნი, გულგამსკდარნი, ფრთების გარეშე და მაინც, ასე დაჩაგრულო, სამშობლო ჩემო, არა მგონია, სხვებზე ადრე დაბლა დავეშვეთ!



ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 7 მარტს

გაგა ეფრემი: „დასავლეთს სჭირდება აღმოსავლეთი და აღმოსავლეთს – დასავლეთი“

ილუმენი ეფრემი (ერისკაცობაში - ბივი ლომიძე) 2000-2004 წლებში თბილისის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. 2008 წელს ინგოლშტადტის უნივერსიტეტში (გერმანია) ჩაირიცხა და 2014 წელს იმავე უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. 2015 წელს ილუმენ ეფრემს თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა. 2015-2021 წლებში ვენის უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტის ფარგლებში შექმნილი ნაშრომისთვის (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის თაობაზე) ილუმენ ეფრემს დოცენტის ხარისხი (თეოლოგიისა და ქრისტიანობის ისტორიის სწავლების ლიცენზია) მიანიჭეს. 2017-2019 წლებში, თანამოაზრეებთან ერთად, მან ვენაში დააფუძნა იოანე დამასკელის სახელობის სტუდენტური სახლი და ეფრემ ასურის სახელობის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელიც აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანობას იკვლევს. ამ დაწესებულებების კარი ღიაა ქართველი და სხვადასხვა ეროვნების (მართლმადიდებელი და სხვა აღმსარებლობის) ახალგაზრდისთვის, ვისაც სურს ქრისტიანობა შეისწავლოს.



- მამო ეფრემ, რა არის ევროპა, სახელმწიფოების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება, თუ უფრო მეტი?

- თუ ევროპა იქცევა მხოლოდ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთობად, საფრთხე შეექმნება მის მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და ქრისტიანულ ფუნდამენტს.

ოდესღაც სამი იდეოლოგიის ერთმანეთთან შერწყმამ შექმნა ევროპული ფასეულობები. მხედველობაში მაქვს: ებრაული მონოთეიზმი, ბერძნული ფილო-

სოფია და რომაული სამართალი. სწორედ ამ სამი ფენომენის გამთლიანებამ დაბადა ევროპული ცივილიზაცია, რომელიც ეფუძნება ადამიანის თავისუფლებასა და ღირსებას, პიროვნების ერუდიციასა და ფორმირებას, საკუთრების უფლებასა და ოჯახს (კაცისა და ქალის კავშირს).

- რას ნიშნავს, იყო ევროპელი?

- დღესაც, როცა ევროპაში ბევრი არა-ქრისტიანი და სხვადასხვა ქრისტიანული

►► გაბრძნობა გვ-11 გვ.

<p>ნიგნი და პკითხველი</p>  <p>ეგზარ კვიტიანიძე</p> <p>გვ. 3-4-5</p>	<p>„მიღის სანახავად!“</p>  <p>ამირან ბასილაშვილი</p> <p>გვ. 5</p>	<p>ტკივილი ლექსად</p>  <p>ქეთევან შენგელია</p> <p>გვ. 7</p>	<p>ასლო ნარსულიდან</p>  <p>დავით გუჯაბიძე</p> <p>გვ. 8-9</p>	<p>ვლადისლავ სოდანევიჩი</p>  <p>ანდრო გუაჩიძისაგან</p> <p>გვ. 15</p>
---	---	--	--	--

თურქმენული პოეზიის კლასიკოსი ქართულად



მაყვალა გონაშვილი მახთუმყულის პრემიით დაჯილდოვდა

თურქმენი ხალხის სიამაყე და დიდება, 300 წლის მახთუმყული ფირაგი თურქმენული პოეზიის დღემდე მიუწვდომელ მწვერვალს წარმოადგენს და, რაც მთავარია, მისი უკვდავი ქმნილებანი წიგნის თაროებზე კი არ იმტვერება, არამედ სამაგიდო წიგნებადაა ქცეული ყველა ჭეშმარიტი თურქმენისთვის, ვისთვისაც ძვირფასია ის იგავიუწვდომელი ფასეულობანი, რომლებსაც ეს ბრძენი შემოქმედი ამკვიდრებდა თავის სამშობლოში.

მახთუმყულის სიდიადე თუნდაც იმით განიზომება, რომ მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ითარგმნა და მისევე იმ ქვეყნების სიტყვაკაზმული ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

მახთუმყულიმ რუსთაველის სამშობლოშიც დაიღო ბინა. საქართველოში გამოიცა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული პოეტური კრებული. წიგნი შედის ამ გენიალური შემოქმედების ლექსები, რომლებიც ბრწყინვალედ ითარგმნა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მაყვალა გონაშვილმა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბოლო წლებში ქალბატონი მაყვალა გონაშვილის ვინაობა სპეციალობად იქცა აღმოსავლური პოეზიის შედევრების თარგმნა. თავად განსაჯეთ. სწორედ ბოლო წლებში, სწორედ მისი რუდუნების შედეგად იქცა ქართველი მკითხველის საკუთრებად ყირგიზული ეპოსი „მანასი“ და ყაზახური პოეზიის მშვენიერების აბაი კუნაბაევის შემოქმედება, ახლა მათ დამატება მახთუმყულიც და, შეიძლება ითქვას, რომ გადაიდგა დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა შუა აზიის ამ სამმა უმნიშვნელოვანესმა სახელმწიფომ საქართველოსთან ურთიერთობისას ლიტერატურული კავშირების ძალა და მნიშვნელობაც გაითვალისწინოს. მწერლობას, რა თქმა

უნდა, ჭეშმარიტ მწერლობას და ჭეშმარიტ მწერალს ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. ეს ძალა გამოარჩევს მაყვალა გონაშვილს და სწორედ ამ ძალამ, მისმა სწორი პოეზიამა თარგმანმა იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა თურქმენულ საზოგადოებაზე, რომ თურქმენეთის პრეზიდენტის, მისი აღმატებულება სერდარ ბერდიმუხამედოვის განკარგულებით, იგი დაჯილდოვდა მახთუმყულ ფირაგის სახელობის სახელმწიფო პრემიითა და ოქროს მედლით.

სწორედ ამ პრემიით დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა საქართველოს მწერალთა სასახლეში.

თურქმენეთის ელჩმა საქართველოში, ბატონმა დოვლეთმირატ სეითამედოვმა საპატიო ჯილდო გადასცა მაყვალა გონაშვილს და გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ლიტერატურული კონტაქტები ქართველ და თურქმენ მწერლებს შორის კვლავაც გაგრძელდება და ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით გამდიდრდება.

ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ნინო წილოსანი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე, აკადემიკოსები ვალერი ასათიანი და თამაზ შილაკაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბადრი ქუთათელაძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველმა, პროფესორმა პაატა სურგულაძემ დამსწრეთ გააცნო აკადემიის პრეზიდენტის როინ მეტრეველის მისალმება მაყვალა გონაშვილისადმი და თავდაც მთელი სულით ეს ბრწყინვალე ჯილდო მთარგმნელს...

ცერემონიის დასრულებისას მაყვალა გონაშვილმა მადლობა მოახსენა დამსწრეთ თავისი თარგმანის ესოდენ მაღალი შეფასებისთვის, განაცხადა, რომ ეს დიდი ჯილდო სრულიად ქართული მთარგმნელობითი სკოლის დიდი შემოქმედებითი პოტენციალის აღიარებაა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრებულში შესული რამდენიმე ლექსის ბრწყინვალე თარგმანი ეკუთვნით ზეზუა მედულაშვილს და ერეკლე სალიანს.

დასასრულს შედგა მაყვალა გონაშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერის პრემიერა, რომლის ავტორიც ია მისისაია გახლავთ. სიმღერა შესრულდა მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა.

ზაალ პოტკოველი

ლიბერალური კონკურსი სპიობრი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებენ ლიტერატურულ კონკურსს - „სხვიტორი“. კონკურსი ფართომასშტაბიანია. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. საკონკურსოდ დაიშვება გამომცემლობებისა და ლიტერატურული პერიოდიკის მიერ 2024 წელს ნაბეჭდი სახით გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებები. კონკურსის დანიშნულებაა დააფასოს შემოქმედებითი ინტელიგენცია, წაახალისოს ახალგაზრდები, ხელი შეუწყოს ახალი ტალანტების გამოვლენას, ლიტერატურული პერიოდიკისა და გამომცემლობათა მოტივაციის ამაღლებას.

პრემია „სხვიტორი“ გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

1. პოეზია - წლის საუკეთესო კრებული/პოეტური ციკლი — 1000 ლარი.
2. პროზა - წლის საუკეთესო ნიგნი/ნაწარმოები — 1000 ლარი.
3. კრიტიკა - წლის საუკეთესო ნიგნი/სტატიები — 1000 ლარი.
4. საყმაწვილო ლიტერატურა - წლის საუკეთესო საბავშვო ნიგნი/ნაწარმოები — 1000 ლარი.

გარდა აღნიშნული ლიტერატურული პრემიებისა, დაწესებულია „აკაკის მემორიალი“ — 1000 ლარი.

„აკაკის მემორიალი“ გაიცემა აკაკის შემოქმედების კვლევასა და კულტურულ, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.



ბაში განუღვივებელი ღვანლისათვის, ასევე მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.

საკონკურსო მასალების გამოგზავნა აუცილებელია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

მასალები მიიღება 2025 წლის 1 მაისამდე.

ლაურეატთა დაჯილდოება - 21 ივნისს, სხვიტორში, აკაკის დაბადების დღეს.

საკონკურსო მასალები (ნაბეჭდი სახით) იგზავნება შემდეგ მისამართზე:

4000, საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სხვიტორი. ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი. (ლიტერატურული კონკურსისათვის - „სხვიტორი“)

ელექტრონული ვერსია იგზავნება მისამართზე: asmatiashvili@yahoo.com საკონტაქტო ტელეფონი: 577 97 79 70

მუზა - 2024

დეკემბრის ბოლოს გაირკვა მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურს „მუზას“ გამარჯვებულთა ვინაობა. ესენი არიან -

მაია ჯოხაძე - წლის საუკეთესო რომანი („ისკარიოტის ეკლები“);

ნინო გუგუშვილი - წლის საუკეთესო პროზაული კრებული („ჩაი ნანგრევებზე“);

ბადრი სულაძე - წლის საუკეთესო პოეტური კრებული („დახველის სისხლი“);

გიორგი ყარყარაშვილი - წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა („სამშობლოს ამარა“);

სალომე ტაბატაძე-სენიაშვილი - წლის საუკეთესო დებიუტი („ქარვა“);

ნენე გიორგაძე - წლის საუკეთესო თარგმანი (კარლო კაჭარავას საიუბი-

ლეო ორენოვანი პოეტური კრებული);

ნინო ქუთელია - წლის საუკეთესო თარგმანი (ლუციუს ანეის სენეკას „ფედრა“);

(თარგმანის ნომინაციაში პრემია გაიყოს)

მაია ჯალიაშვილი - წლის საუკეთესო კრიტიკა (წერილები თანამედროვე ქართულ რომანზე);

სალომე კაპანაძე - წლის საუკეთესო პიესა („მე არსად წავსულვარ“);

კონსტანტინე გამსახურდია - წლის საუკეთესო ინოვაციური ლიტერატურული პროექტი („ლიტერატურული ათინათები“);

ნუნუ გელაძე - ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

„ოლე“ №6

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლე“ VI ნომერი.

ჟურნალი იხსნება „ოლე“ 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მილოცვებით.

რუბრიკაში „მხატვრული ლიტერატურა“ იბეჭდება **ფარნა რაინას, თინათინ თელაველის, გიორგი გიგაურის, ნათელა ქურციკიძის** ლექსები; **ელგუჯა თავბერიძის, ნინო მხეხელის, ანი რაინაულის** პროზაული ნაწარმოებები.

„ქრისტიანული პოეზიის“ რუბრიკით ნაიკითხავთ **ელდარ ჭიჭიაშვილის** ლექსებს.


„ბავშვებისთვის საკითხავის“ რუბრიკით იბეჭდება **ნუნუ ძამუკაშვილის** საბავშვო ლექსები.

რუბრიკაში „ვუბრუნდებით დაბეჭდილს“ ქვეყნდება **ლევან სანიკიძის** წერილი.

„კრიტიკა პუბლიცისტიკის“ რუბრიკაში ნაიკითხავთ **როინ ჭიკაძის, თემო ჭახნაკიას, ზაალ ბოტკოველის, იამზე არველაძე-ხეცურაიანის, მარიამ ანჯაფარიძის** წერილებს.

ჟურნალის პირველ გვერდზე დაბეჭდილია გიორგი ლეონიძის პოსტერი. მხატვარი **სოფიო ჭელიძე**.

ჟურნალის ეს ნომერი გამოიცემა თე-



ლავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.

სამანტა ჰარვი - ბუკერის ლაურეატი

ლიტერატურის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს - ბუკერის მფლობელი 2024 წელს გახდა ბრიტანელი მწერალი ქალი სამანტა ჰარვი. სამანტა ჰარვის რომანი „ორბიტა“, რომელიც სულ 136 გვერდს შეადგენს, მოგვითხრობს საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ასტრონავტების ერთი დღის ცხოვრებაზე.

ბუკერის გვერდი ასე ახასიათებს ამ წიგნს: „კომპაქტური, მაგრამ მშვენიერი, ფართო პლანის რომანი „ორბიტა“ გვინვეს ულამაზეს სანახაობაზე და დაგვანახვებს, თუ რაოდენ მშვენიერია, რაოდენ აღმაფრთოვანებელია დედამიწა და, ამასთანავე, იძლევა საბაზს დაფიქრებისათვის, იმის გასაზრებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს თითოეული სიცოცხლე ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში“.

ბუკერის ისტორიაში სამანტა ჰარვის რომანი არ არის რეკორდულად მოკლე. 2022 წელს შორტ-ლისტში მოხვდა კლერ კიგანის 116-გვერდიანი რომანი. თუმცა ბუკერის წლებანდელი კონკურსი ისტორიაში მაინც შევა როგორც ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო. საქმე ის არის, რომ ფინალში გასული ექვსი მონაწილიდან ხუთი ქალი იყო.

ჟიურის ხელმძღვანელმა, მწერალმა და მხატვარმა ედმუნდ დე ვალმა დაჯილდოების ცერემონიაზე განაცხადა: „ზოგჯერ ჩვენ ვხვდებით წიგნს და ვერ გავგვიგია, როგორ და საიდან გაჩნდა ეს საოცარი მოვლენა. ჩვენ, როგორც შემფასებლებს, სულითა და გულით გვინდოდა გვენახა ისეთი წიგნი, რომელიც შეგვძრავდა, რომელიც იქნებოდა ტევადი და რეზონანსული, რათა ის შემდეგ თქვენთვისაც გაგვეზიარებინა“.

— ბატონო ემზარ, მოგესალმებით და მადლობას გიხდით, რომ გამოჩნხეთ დრო ინტერვიუს ჩასაწერად. ლიტერატურული წრეებისათვის ცნობილია თქვენი სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება წიგნისადმი, რის გამოც, დღეს სწორედ ამ თემაზე მივინჯებთ გვესაუბროს. დავინწყით თავიდან: როდის და როგორ მოხდა თქვენი პირველი შეხვედრა ბიბლიოთეკასთან?

— წიგნის კითხვისადმი ლტოლვა ადრეული ბავშვობიდანვე დამყვა და არც არასოდეს გამძლეობა, პირიქით, გამომძაფრდა. ხუთიდან თორმეტ წლამდე გურიაში. ლანჩხუთის რაიონის ულამაზეს სოფელში ვიზრდებოდი. მე და ჩემს უმცროს ძმას, შემდგომში ტრაგიკულად დაღუპულ ვახტანგს, ადრე დაქვრივებული ბებია, ლეონინე, ფირცხალაიშვილი და გაუთხოვარი მამიდა, ანეტა გვზრდებდნენ. მამაჩემს, პედიატრ დავით კვიციანიშვილს, დედამისისთვის ეთქვა, მინდა ბავშვებმა სოფლის მაღლი იგრძნონ და მშობლებმა იქ ჩაგვიყვანეს. შეიძინა წიგნი რომ ვხვდებოდი, გახურებული ომის დროს, 1942 წლის შემოდგომაზე, აბსურდული ბრალდების გამო, მამაჩემი დააპატიმრეს და ჩვენი ოჯახის მდგომარეობა აირდა. მამიდაჩემმა მომდევნო წელს აგარაკის რვაწლიან სკოლაში შემოვიყვანა. იმ სოფელს ადრე სხვა სახელი რქმევია, ნათლისმცემელი, მაგრამ იქ შემოჭრილ წითელარმიელებს არ მოსწონებიათ და აგარაკი დაურქმევიათ. გასაბჭოებისთანავე, ბოლშევიკებისგან ნაქეზებულ, ტვინდაბნელებულ ურწმუნო ფანატიკოსებს დაუნგრევიათ სასაფლაოს მიმდებარე იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. შემორჩენილი იყო მხოლოდ ქვიტიკორით ნაშენები, საფეხურებიანი სამრეკლოს ნაშთი, რომლის თავზე მოზრდილმა ბიჭებმა ფიცარი დააგეს და ზარს აგორებდნენ, კარტასაც თამაშობდნენ ფულზე. სასაფლაოს რკინის ლოხეს დატანებული ჰქონდა ტოტებგაბარჯული ვეებერთელა, სამასწლოვანი ცაცხვი (ამჟამად მეტისაც იქნება), რომლის ამოყრილ და ჩაღრმავებულ ფეხებზე უბნელებს, დიდიან-პატარაინად ჩამოსხდომა უყვარდათ. იმ უხვრდილიანი ცაცხვის ძირში ჭიამაიაზე ოდნავ მოზრდილი, ბრტყელ ზურგა, ფაროსანას ტოლა, მაგრამ არა მავნე, შავი წერტილებით დაწინკლული, ყოვლად უწყინარი წითელი ხოჭოები დაცოცავდნენ.

ცაცხვიდან ათიოდე ნაბიჯზე, გზაგასაყართან იდგა პატარა, მომრგვალებული ქოხ-სამკითხველი, რომლის გამგედ ერთი კეთილი ქალი მუშაობდა. იქვე იყო მოზრდილი, გაშლილი მინდორი (სოფლები მას „სახტრისკარს“ ეძახდნენ), სადაც ფეხშიშველა ბიჭები გვიანობამდე ბურთს დავდევი.

მიყვარდა გარემო დაცემენტებულ იმ ნათელ სამკითხველოში შევლა (სამი საფეხური იყო ასასვლელი) და საათობით გრძელ მაგიდასთან ჯდომა. წიგნებს შინაც მატანდნენ. ყველაზე ძლიერი, მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება ნიკოლოზ ავალიშვილის ლაღად თარგმნილმა (შემოკლებული, ყმანვილებისთვის განკუთვნილი გამოცემა იყო) სერვანტესის „დონ კიხოტე-მა“ მოახდინა, ლამაზა და, „მწუხარე სახის რაინდი“ სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, შთაბეჭდილება გახდა. ახლაც ელავს წარმოსახვაში საგმირო შემთხვევების, ხიფათების გადასარეულად, გაძვალტყავებული ცხენით სამოგზაუროდ წასული ლარობი, ტანხმელი იალგის მზეზე ალაპაპებული ზუჩი. მაშინ წავიკითხე ფიულვერნის „საიდუმლო კუნძული“, დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“, ნიჭიერი კინორეჟისორისა და მხატვრის კოტე მიქაბერიძის მიერ პროზაულად გადმოტანილი ჰომეროსის „ოდისეა“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (ელენე ახვლედიანის მიერ საყვარლად გაფორმებული), ქსენია სიხარულიძის შედგენილი „ქართული ხალხური ზღაპრები“ (გარეკანზე თვალეზობრივად, რქებოკაუჭებული, კბილებდალესილი დევები იყო გამოსახული. ასევე მიყვარდა სოსო გაბაშვილის ნაირფერად დასურათებული, ცალკე გამოცემული „ნაცარქეთი“....

ყველაფერი ვერ ჩამოვთვლი, ბავშვობაში რა და რა წიგნები მგვრდა ენით გამოუთქმელ სიამოვნებას. ის ჩემი განმანათლებელი პირველი ბიბლიოთეკა, ცხადია, აღარაა, არც ის მოედანი, სადაც თანატოლებთან ერთად ვთამაშობდით. დაღუპულ გმირთა სახელზე ნაძვების ხეივანი მოაწყ-

ვეს, დანგრეულის ნაცვლად, ახალი ეკლესია ააშენეს. კარგა ხნის წინათ, ჩვენს დიდად ნიჭიერ მხატვართან, განსვენებულ გიორგი წერეთელთან ერთად, ახლობელი მეგობრის საიუბილეო თარიღის გამო, ლანჩხუთში მომიხდა ჩასვლა. მანქანით ჩემს უბანში ამიყვანეს, მაგრამ იქაურობა ისე იყო შეცვლილი და გადაბარდული, ვეღარ ვიცვანი, გული მომეწურა, მოშაბული გამოვბრუნდი უკან.

წლებია, ჩემს ბავშვობაზე, მაშინდელ გარემოსა და ადამიანებზე, რომლებიც სამუდამოდ გაქრნენ, პროზაული წიგნის დაწერას ვაპირებ (მოგონილი, გადასხვაფერებული არაფერი იქნება, ყველაფერს გაუხუნარ იერს შევუნარჩუნებ), მაგრამ დღემდე ვერ მოვაბი თავი. ეს განზრახვა თუ განვხორციელებ, იგი ჩემს ნახელავთაგან, ალბათ ყველაზე უკეთესად ჩაითვლება.

— როგორც ვიცით, მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა გაქვთ, სადაც მრავალფეროვანი წიგნებია თავმოყრილი. გარდა ამისა, არაერთი იშვიათი გამოცემის მფლობელი ბრძა-

ერ საგანგებოდ ამ გამოცემისათვის ფლორენციაში დანერვილი, 1912 წლით დათარიღებული წინასიტყვაობა.

კოლოსალურ ნაშრომში შესაშური სისრულით, ამომწურავად არის გადმოცემული ჯოჯოხეთურად ნაწამები, მოშობილი და კოცონზე დამწვარი (მისი ფერფლი მდინარე არნოს გაატანეს) ფლორენციელი მონაზონის დრამატული ცხოვრება და მშფოთვარე ეპოქა.

სავონაროლა სამკვედრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა უზომო ფუფუნებასა და გარყვნილებებში ჩაფლულ ალვირასხნილ უმადლეს არისტოკრატას, ბორჯიებისა და მედიჩების უძძლავრეს გვარეულობას, თვით რომის პაპს, ყველაფრით მოვაჭრე ალექსანდრე მეექვსეს (ისიც ესპანური წარმომავლობის ბორჯია იყო), უარყო მის მიერ შემოთავაზებული კარდინალობა. ალექსანდრე მეექვსე პაპების ისტორიაში ყველაზე პირქუში, ბოროტი და მზაკვარი არსება იყო. სავონაროლამ აიყოლია ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა, მათ შორის

ესად დაპირისპირებულთა შეერთებას ლამობდა და იმასაც ამტკიცებდა, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებებს შორის არავითარი განსხვავება არ არისო. მარსილიო ფიჩინო ეთაყვანებოდა მინიერ სილამაზეს, მშვენიერებას (მასზე ბევრად ადრე ამაზე უარს არ ამბობდა ჩვენი უდიდესი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელიც), ამტკიცებდა, რომ ეს იყო „საყველთაო რელიგიისკენ“ მიმავალი საფეხური.

უაღრესად მიმზიდველი ენით დაწერილ პასკუალე ვილაირის ნაშრომს მნიშვნელობას მატებს ზიანის ბოლოში დართული სავონაროლას პირადი წერილები და მღელვარებით აღსავსე ქადაგებანი. სინანულით მინდა დაესძინო — ჩვენს აღრულ, დაულავებელ დროში ასეთი გაქანებისა და სიღრმის წიგნები აღარ იწერება და საეჭვოა, მომავალშიც დაიწეროს.

ჩემი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სიმდიდრეა ნაადრევად გარდაცვლილი უნიჭიერესი ალმოსავლეთმცოდნის, ბორის ტურაევის (1868-1920) ფუნდამენტური ნაშრომი „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“. იგი რამდენადმე დაზიანებულია, აკლია სატიტული ფურცელი, რის გამოც, გამოცემის წელი ვერ დავადგინე, მაგრამ აშკარაა, რევილირაციამდე დაბეჭდილი სანქტ-პეტერბურგში. მისივე „გვიგათის ისტორია“ (ტომი I) მოსკოვის ბუკინისტურ მალაზიაში შევიძინე (20. 05. 1986). წიგნს ნამძღვარებული აქვს გამოცემლობის წინათქმა, სადაც აღნიშნულია, რომ აკადემიკოსი ბორის ტურაევი პეტროგრადიდან მოსკოვში 1920 წლის ივნისში უკანასკნელად ჩასულა ამ წიგნის კორექტურის წასაკითხად, ულაპარაკია სამომავლო გეგმებზე, ერთი თვის შემდეგ კი მოსულა სამწუხარო ცნობა მის გარდაცვალებაზე. ბორის ტურაევს დიდად აფასებდა ჩემი სიყვარული მეგობარი, სახელოვანი ასირიოლოგი, ბიბლიის უებარი მცოდნე და ასეთივე ფოლკლორისტი, მთარგმნელი, დახვეწილი ლიტერატორი და ამასთანავე დაუცხრომელი ბიბლიოფილი ზურაბ კიკნაძე. ზურაბს გამოქვეყნებული აქვს მშვენიერი ესე თბილისის ცნობილ ბუკინისტებზე, რითაც მათ ღვაწლს კუთვნილი პატივი მიაგო.

ფილოსოფიისადმი ყმანვილობიდანვე დაუკებელ ლტოლვას ვიჩენდი, სიბრძნის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის გამორჩეულ წიგნებს ყოველთვის სიამოვნებით ვიძენდი, ვკითხულობდი ძველ და ახალ გამოცემებს, ამჯერად მინდა ვახსენო ავსტრიის უნივერსიტეტის პროფესორის, თეოდორ გომპერცის ორტომიანი ნაშრომი „ბერძენი მოაზროვნენი“, რომელიც საბედისწერო, კულტურის დამამხობელ რევოლუციამდე, 1916 წელს გამოიცა სანქტ-პეტერბურგში. წიგნის უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ ანტიკური ფილოსოფია განხილულია პოეზიასთან, მითოლოგიასთან, ისტორიასთან და თანამედროვეობასთან მჭიდრო კავშირში.


დიდად გავიხარე, როცა 1982 წლის თებერვალში, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ნაცნობი ბუკინისტისგან ვიყიდე მსოფლიო მნიშვნელობის პაპიროლოგიის, უთვალსაჩინოესი კლასიკური ფილოლოგის, ანტიკური პოეზიის რუსულად უზაღოდ მთარგმნელის, გრიგოლ წერეთლის ფასდაუდებელი, ხუთასგვერდიანი მონოგრაფია „მენანდრეს ახალი კომედიები“. წიგნი გამოცემულია 1914 წელს, ქალაქ იუტიევში (ტარტუში), რომლის უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგეც იგი იყო. ივანე ჯავახიშვილის მოწვევით, თბილისის უნივერსიტეტში გადმოსულს, აღარ დასცალდა, მშობელი ერის სამსახურში ბოლომდე დაეხარჯა თავისი უზარმაზარი ცოდნა და უზაღლო ნიჭი, ნითელმა ჯალათებმა 1938 წელს ჩეკას ჯურღმულში მოაშთეს.

გამოკვლევაში მისაბაძი გულმოდგინეობით არის განხილული აფრიკაში აღმოჩენილი, პაპიროუსებზე შემორჩენილი მენანდრეს მანაძლე უცნობი ხუთი კომედიის ნაწყვეტები. „კაიროს კოდექსად“ სახელდებულ, ევროპულ მეცნიერთა მიერ გამოცემულ ამ ფრაგმენტებს გრიგოლ წერეთელი სულს უდგამს, აცოცხლებს, დანაკლული სოფლიო ადგილებს შეუმცდარი ალლოთი ალაგგენს და განსაკვივრებელი სილამაზის გამთლიანებულ სურათს წარმოგიდგენს.

გრიგოლ წერეთლის ამ უიშვიათესი მო-

წიგნი და მწერალი

ცნობილ პოეტს, ესეისტსა და მკვლევარს — ემზარ კვიციანიშვილს წიგნებსა და ბიბლიოთეკებზე სასაუბროდ მივმართეთ. მრავალი პოეტური კრებულისა და ათეულობით ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომის ავტორმა სიამოვნებით უპასუხა კითხვებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ინტერვიუ საინტერესო და მრავალფეროვანი გამოვიდა.



ნდებით. გვიამბეთ, როგორ იქმნებოდა და მდიდრდებოდა თქვენი წიგნთსაცავი და ისიც გავიზიხილეთ, პირადი ბიბლიოთეკიდან განსაკუთრებით ძვირფასი თქვენთვის რომელი გამოცემებია.

— აქ უთუოდ აჯობებს სწორედ ძველი, იშვიათი გამოცემების ნაწილი ჩამოვთვალო. ჩემი ბიბლიოთეკის მშვენიერად მიმაჩნია 1906 წელს სანქტ-პეტერბურში გამოცემული, თითქმის ექვსასგვერდიანი, იმ დროისათვის მდიდრულად ილუსტრირებული დიდი ფორმატის კრებული „ელინური კულტურა“. იგი მოიცავს ძველი ბერძენების ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სფეროს, საუკუნეთა მანძილზე.

ყოველი მასალა, თავიდან ბოლომდე, სიღრმითა და სიფართოვით გამოირჩევა, მაგრამ მაინც გამოვაცალკეებდი განსაკუთრებული ცოდნითა და შთაგონებით დაწერილ ორ ნაწილად გაყოფილ რიჰარდ ვაგნერის ნაშრომს „სულიერი განვითარება და დამწერლობა“. მისი წაკითხვისას, ერთხელაც ვრწმუნდებით — ეს გენიალური პიროვნება არა მარტო მსოფლიო ოპერის რეფორმატორი, არამედ ლიტერატურის, პოეზიის უნატიფესი შემქმნელი იყო და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ დამთრგუნველი ტრაგიზმით აღსავსე თავისი ოპერების ლიბრეტოებს თვითონვე წერდა. ხსენებული გამოკვლევის შესავალში ვაგნერი აცხადებს, რომ ძველმა ბერძენებმა უამრავი სიძნელე გადალახეს ხელოვნებაში, „ადამიანური სილამაზისა და ღვთაებრივი სიდიადის ყველაზე მაღალ გამოხატულებას მიაღწიეს“. ასეთი განმაზოგადებელი შეხედულება განუზრუნვლად გასდევს ვაგნერის ნააზრევის მწყობრ მდინარებას.

ნამდვილი განძია უგანათლებლებსი იტალიელი სწავლულის, პასკუალე ვილარის ვეებერთელა ორტომეული — „ჯიროლო-ამო სავონაროლა და მისი დრო“, რომელიც ასევე სანქტ-პეტერბურგში 1913 წელს არის გამოცემული და უძღვის ავტორის მი-

ბავშვებიც, საშინელ დღეში ჩაყარო შეძლებულთა ფენები, შეადგინა მმართველობის მისეული კოდექსი. დაუნდობლობას იჩენდა, მონინააღმდეგეთა დახოცვისაკენაც მოუწოდებდა ხალხს, მაგრამ ამდენი აღარ დასცალდა, შეიპყრეს და სავალალოდ დაამთავრა სიცოცხლე. ნაშებიდან დიდი ხნის მერე, როგორც ხდება ხოლმე, წმინდანად შერაცხეს. ისეთი, ყოველგვარი სიამის აღმკვეთი ასკეტიზმი, უკიდურესი შეზღუდვები, რის დამკვიდრებასაც იგი ცდილობდა, დედამინაზე ვერასგზით ვერ განხორციელდებოდა.

მე ვერ გავყვები გრანდიოზული ორტომეულის პერიპეტეებს, მაგრამ ცალკე უნდა გამოვყო პირველი წიგნის მესამე და მეოთხე თავები, სადაც ლორენცო მედიჩის ქმედებებსა და მისი დროის ფლორენციელებზეა საუბარი. ზუსტადაა დახასიათებული, პორტრეტულადაც აღწერილი, უნიჭიერესი და ადენადვე ვერაგი ლორენცო, ვინაც უამრავი ადამიანი გააღატაკა, გააუბედურა, მიზნის მისაღწევად, მკვლევობასაც (მონამელა) არ ერიდებოდა, მაგრამ თუ ვინმეს გულის მოგებას გადაწყვეტდა, გონიერებითა და მოქნილი ენით სამუდამოდ ხიბლავდა, უხვ ქველმოქმედებასაც იჩენდა.

ცენტრალურ ფიგურად გვევლინება ნეოპლატონიზმის ერთი უდიდესი ადვოკატად, ფლორენციის აკადემიის დამაარსებელი მარსილიო ფიჩინო (1433-1499). რომელმაც პლატონისა და სხვა გენიალური მოაზროვნეების ნაშრომები თარგმნა. მის ლექციებზე დასასწრებად და მოსასმენად მთელი ევროპიდან მოემურებოდნენ ახალგაზრდები. ფიჩინო და ფლორენციელი ფილოსოფოსთა უმრავლესობა პლატონის მიმდევრები იყვნენ და მის შეხედულებებს ემყარებოდნენ, როცა აღნიშნავდნენ ბუნებადმერეთის ქმნილებას და იგი დიდად აღემატება ყოველივეს, რაც ადამიანის ხელითაა გაკეთებული. მარსილიო ფიჩინო უკიდურ-

►► მისამა გვარდილა

ნოვარაფის ნაკითხვამ ადრე ენით გამოუ-
თქმელი სიამოვნება მომგვარა და იმდენად
მიყვარს, რა წიგნიც არ უნდა შემომად-
ლიონ სამაგიეროდ, არაფრით არ გავცვლი.
თვით იმევით წიგნებშიც გამოსარჩევია
2001 წელს კვლავ ზუკინისტურ მალაზიაში
შეძენილი უგანათლებულესი ინგლისელი
ესთეტიკის, არისტოკრატიულად, დახვეწი-
ლი ხელოვნებათმცოდნის, ასეთივე ლიტე-
რატორის, ოსკარ უაილდის თანამედროვე-
ის, უოლტერ პატერის (1839-1894) ესეებში-
სა და პარიზული ქმნილებების კრებული
„წარმოსახვითი პორტრეტები“ (მოსკოვი,
1916, კ.ფ. ნეკრასოვის გამოცემა). კრებ-
ულს დაერთვის მთარგმნელის, საზღვარ-
გარეთ, ემიგრაციაში წასული, გასაოცრად
ნიჭიერი განმანათლებლის, პაველ მურატო-
ვის ძალზე ღრმა, აღმაფრთოვანებელი წი-
ნასიტყვაობა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ
მშვენიერი, გარეგნულად სასიამოვნო გა-
მოცემა ჩვენი გამომცემელი მწერლისა და
ერუდიტის, ბატონ დემნა შენგელაიას ნაქ-
ონია. ღმერთს ვუმაღლი, რადგან იგი ჩემს
ხელში აღმოჩნდა, უკვალოდ არ დაიკარგა.
ეტყობა, მისი გარდაცვალების შემდეგ, გან-
სვენებულის ოჯახის ნევრებმა, გასაჭირის
გამო გაყიდეს, რაც დღევანდელ ყოფაში,
საკმაოდ ხშირად ხდება.

მანამდე ეს იმევითი წიგნი ბიბლიომა-
ნის, ვინმე ა. კარინინის საკუთრება ყოფი-
ლა (მინახავს მისი სხვა ძეგლი, მდიდრულ-
ად გამოცემული წიგნებიც); ყდაზე, შიგნი-
დან, დაკრულია ამ პიროვნების ერთ-ერთი
მოხდენილი ექსლიბრისი.

მაქვს ერთი ძეგლი, ძნელად გასამეტებ-
ელი წიგნიც, თეატრმცოდნე, თავის პრო-
ფესიაში გვარაიანად ჩახედული მსახიობის,
კონსტანტინ მოკლასევიკის (მოლონეტი
უნდა იყოს) დაწერილი - „იტალიელი კომე-
დიანტების თეატრი“. მას ცოტა უცნაური
ისტორია აქვს. პირველი ნაწილი 1914
წელს უნდა დასტამბულიყო, მაგრამ ავტო-
რის სასწრაფოდ პირველ მსოფლიო ომში გა-
უნწევიათ და მხოლოდ ომის დასრულებ-
ის შემდეგ, 1917 წელს, შეძლო პეტროგრად-
ში თავისი ნაშრომის გამოცემა. 1917
წლის 12 ნოემბრით დათარიღებული მოკ-
ლე ცნობა გამომცემლობას თავშივე ჩაუწ-
ებია. გამზადებულ მთელი ნაწილი რა ბე-
დი ენია, ჩემთვის უცნობია, დასანანი იქნე-
ბა, თუ დაიკარგა.

წიგნში სხარტად, ოსტატურადაა დახა-
სიათებული სახელგანთქმული იტალიური
თეატრის კომედიური ნიღბები, მათი ძვე-
ლი, სანაქებოდ განმანათლებლები. ილუ-
სტრაციისთვის უხვადაა გამოყენებული სა-
განგებოდ მოპოვებული სამუზეუმო ექსპ-
ონატები, რაც უნიკალურ გამოცემას მი-
ზიდველობას მატებს.

შემდგომ, წლების განმავლობაში შეძე-
ნილი თუ მოპოვებული წიგნების სია გამე-
გრძელებინა, მაგრამ რაც ითქვა, ისიც საკ-
მარისია, მხოლოდ ორიოდ მნიშვნელოვან
წიგნს დავასახელებ: ანტონ ნატროვის (ნა-
ტიროშვილის) „მცხეთა და მისი ტაძარი სვე-
ტიცხოველში“ (1901) და პავლე ივგოროვას
„ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“
(1913).

— უკვე ათწლეულებია, რაც ქართულ
მწერლობას იკვლევთ, გარდა ამისა, აქვეყ-
ნებთ შესანიშნავ ნაწარმებს, დღიურ-
ებს, სხვადასხვა სახის ჩანაწერებს... თუმცა,
რალა თქმა უნდა, თქვენი მოღვაწეობის ძი-
რითადი სფერო პოეზიაა. სწორედ ამიტომ,
მინდა გკითხოთ: როგორ ირეკლება, რა სახ-
ით წარმოჩინდება მხატვრული თუ სამეც-
ნიერო ლიტერატურის — ზღვა მასალის
ფლობა, ცოდნა-გაცნობიერება თქვენს შემ-
ოქმედებაში? ან კიდევ: დაგინერიათ თუ არა
ლექსი წიგნის, მხატვრული ტექსტისაგან
მიღებული შთაბეჭდილების შემდეგ?

— რახან მკვლევარობაზე ჩამოაგდეთ
სიტყვა, ვიპასუხებ, რომ, პოეზიასთან ერთ-
ად, ეს ჩემი სულიერი, შინაგანი მოთხოვნი-
ლებაა და ამ მიდრეკილებას ადრევე ვავლ-
ენდი. შეძლებისდაგვარად ვცდილობდი,
ჩემ მიერ ნაკითხულთაგან ზოგი რამ შემე-
ფასებინა, ჩავლრმავებოდი მწერლური ოს-
ტატობის საიდუმლოს. მაქვს რამდენიმე
თეორიული ნაშრომი პოეტიკაში, თუმცა
უფრო ვამჯობინებდი, კონკრეტულ წიგნე-
ბსა და ავტორებზე დამეწერა. თავის მოსა-
წონებლად არ ვამბობ და სამოციანელთაგ-
ან ცოტას თუ გამოუჩენია იმდენი ყურად-

ღება თანამედროვეთადმი, რამდენიც მე გა-
მოვიჩინე. მეტ-ნაკლებად ნიჭიერი მრავა-
ლი შემოქმედისადმი გამოხატე ჩემი და-
მოკიდებულება და ყველაფერი რომ შე-
იკრიბოს, რამდენიმე ტომი გამოვიდოდა.

ახალი ქართული ლიტერატურის თვა-
ლსაჩინო მოღვაწეებზე (ალექსანდრე ჭავ-
ჭავაძიდან მოყოლებული, რაფიელ ერის-
თავისა და იოსებ დავითაშვილის ჩათვლ-
ით) გამოვაქვეყნე ცალკეული გამოკვლე-
ვები. ოცდახუთი წელი მოვანდომე მო-
ნოგრაფიას „აკაკის პოეტური ხელოვნება“,
მაგრამ დასაწერი დამირჩა ერთი ნაკვეთი
და იმას თუ მოვაბი თავი, საკმაოდ მოზრ-
დილ წიგნს სასტამბოდ გავამზადებ.

მეოცე საუკუნის პოეტებიდან გამორჩე-
ულად ვაკვირდები გალაკტიონ ტაბიძისა
და გიორგი ლეონიძის პოეზიის ნიმუშებს.
შევეცდები, სრულყო, რაც, მათზე
დღემდე დამინერია. ვალი მოვიხადე ჩემი
ერთ-ერთი მასწავლებლის, უგანათლებუ-
ლესი ლიტერატორისა და მისაბაძი მთარგ-
მნელის, ვახტანგ ჭელიძის ხსოვნის წინაშე.

წიგნი და მწერალი

მისი ცხრატომეულის პირველ ტომს დავუ-
ერთე მონოგრაფია „მოძღვარი“. უფროს მე-
გობართაგან გამორჩევით მიყვარდა თამაზ
ჩხენკელი და მასაც მიუძღვინი მცირე მო-
ნოგრაფია. ასევე, კუთვნილი პატივი და სი-
ყვარული მივაგე ჩემს ძმასავით თანამშეზრ-
დილ, უნიჭიერეს პროზაიკოსს რეზო ჭეიშ-
ვილს, ვისზედაც დავწერე (ამას შეიძი წე-
ლინადი დაჭირდა) მხატვრულ-ბიოგრაფი-
ული რომანი. ამ წიგნის მეორე ნაწილი
წლის ბოლომდე დათქმულია მის მშობლი-
ურ ქალაქ ქუთაისში.

დაწერილი და დასაწერიც ბევრი მაქვს
და თუ უზენაესმა კიდევ გაიმეტა რამდენი-
მე წელი, უქმად არ გავჩერდები, თუმცა იმ-
ის მოსწრება, რასაც სამომავლოდ ვაპირ-
ებ, ჩემი თითქმის მიწურული სიცოცხლე
ვერასგზით ვერ გასწვდება.

„წიგნის, მხატვრული ტექსტისაგან მიღ-
ებული შთაბეჭდილების შედეგად“ არაერ-
თი ლექსი დამინერია და ეს სურულებითაც
არაა სათავიერი, ოღონდ, თუ საგანგებო მი-
ნიშვნა არაა, ყოველთვის ვცდილობ, წიგ-
ნურობის კვალი ნაიშალოს. უფრო მეტად
ცოცხალ, უბრალო ცხოვრებისეულ შთაბე-
ჭდილებებს ვარ მიდობილი. სულ მცირე
ბიძგი მყოფნის სასთანებლად, რათა ყველაფ-
ერი ააღდეს და „მოსმენილი“ ხმები ერთ
სხეულად შეიკრას. ერთი სტრიქონის დაბ-
ადება საკმარისია, დანარჩენებიც მიჰყვას.
ყოფილა შემთხვევები, წერა ბოლოდან და-
მინცია და თავში ავსულვარ, ტანით, სხეუ-
ლით ვგრძნობ (ცხადია, ამაში გონებაცაა
ჩართული), რა მოცულობისა გამოვა ესა
თუ ის ლექსი, რამდენი დასჭირდება სათქ-
მელის ამოწურვას.

ბევრი გამოჩენილი პოეტის ლექსებში
ჭარბად შეიმჩნევა წიგნის კვალი, რაც ხე-
ლოვნურობის მომასწავლებელია. ნაკითხობ-
ის კეთილმოყვლე ძალას ვერავინ უარყ-
ოფს, მაგრამ სასურველია, შემოქმედი, ძი-
რითადად, ცხოვრებისეული სინამდვილის-
აგან საზრდოობდეს; თანაც ეს ნაკადი იმდ-
ენად უნდა გარდამიქმნას, ძნელად საცნობი
გახდეს, ახალ რეალობად გარდასახოს. ეს
ძველთაგანვე აღიარებული და ურყევი
ჭემმარტებაა.

წერის გუნებაზე ხშირად მაყენებს საქ-
ართელოს სხვადასხვა კუთხის უბადლო
ხალხური სიმღერები, რაშიც ყველაზე მძ-
ლავრად გამოვლინდა ქართული გენია. სა-
კუთრივ ოსტატობის სრულყოფას საზღე-
არი არ გააჩნია. ამაზე ბევრი მაქვს დაწერ-
ილი ესეებსა თუ დღიურებში და როცა ამას
წიგნად გამოვაქვეყნებ, უფრო მთლიანი
სურათი წარმოჩნდება.

ბუნებით ხათრიანი ვარ და ზოგჯერ ის-
ეთი რამე დამინერია. მერე სანანებლად და-
მრჩენია. ყოფილა შემთხვევები, ძალაუნე-
ბურად, პოლემიკაში ჩავრეულვარ. ერთობ
ძნელია, თავი შეიკავო, როცა ვილაღე-
დაცანი ისეთ რამეს დაგაბრალებენ, რის-
კენაც არასოდეს გქონია მიდრეკილება,
აზრადაც არ მოგსვლია. ზოგი უკეთური
და უმადური არსება, მორიელისა არ იყოს,
ბოროტად, შხამიანად იბადება და დროდა-
დრო, სრულად უსაბაზოდ, ვინმე თუ არ
დაგესლა, ვერ გაძლებს. ასეთებს, საბოლ-

ოოდ, ჩვენ რომ არ გავცეთ საკადრისი პას-
უხი, მამაზეციერი მიუზღავს, რისი ღირს-
იც არის.

— როგორც აღვნიშნე, ქართული ლიტე-
რატურის მკვლევარი ბრძანდებით. დარწმ-
უნებული ვარ, ყურადღებას მიაქცევდით
ჩვენი მწერლების დამოკიდებულებას წიგნ-
ისა და წიგნიერებისადმი. ხომ არ გიფიქრი-
ათ, მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა-
გან ვინ შეიძლება დავასახელოთ, როგორც
გამორჩეულად ნაკითხი, წიგნზე შეყვარე-
ბული ავტორი?

— ცხოვრებაში მრავალ წიგნს მოყვა-
რულ დამიანთან მქონია ახლო ურთიერთ-
ობა. მაგრამ მათგან განკერძობით დავა-
ყენებდი ჩემს უძვირფასეს მასწავლებელს,
განსაცვიფრებელ ერუდიტს, მამაჩემის თა-
ობის კაცს და მასთან დამეგობრებულს, ბა-
ტონ აკაკი განერელიას, ვისგანაც ყოველ-
თვის მშობლიურ სიტობს ვგრძნობდი და ვი-
სი მეოხებოდაც არაერთ იმევით გამოცემა-
ზე მიმინვდა ხელი. მას წესად არ ჰქონდა
წიგნების განათხოვრება, მაგრამ ზაჩანა

ბრეგვაძე და მე გამოიკალივთ ვიყავით.
იგი ორივეს უყოყმანოდ გვატანდა საგულ-
დაგულოდ გადანახულ, მოსაფრთხილებ-
ელ წიგნებს, რომელთაც დაუგვიანებლად,
დათქმულ დროზე ვუბრუნებდით.

ბატონ აკაკი განერელიას უმდიდრესი,
ძნელად აღსაწესი მრავალფეროვანი ბიბ-
ლიოთეკა ჰქონდა, რაც, სამწუხაროდ, მისი
გარდაცვალების მერე განიავდა. უთავბო-
ლოდ გაყიდა. თვითონ მინახავს ვერაზე,
მინისქვეშა გადასასვლელითან გამოდებ-
ული ლეონარდო ოლშკის უნიკალური სამ-
ტომეული — „სამეცნიერო ლიტერატურის
ისტორია ახალ ევროპულ ერებზე“ (მოსკ-
ოვი, ლენინგრადი, 1933-1934). პოლ ვალ-
როის ქალიშვილმა გამოუგზავნა მამამისის
უმშვენიერესი ტომი, რომელსაც ცხოვრებუ-
ლი ესათუთებოდა, ცივ ნიავს არ აკარე-
ბდა. ერთ დღეს კარლო ქილარჯიანის შვი-
ლმა, ჯონდომ, მითხრა, რომ ასეთი რელიკ-
ვია, აკაკი განერელიას ქალიშვილმა, დუ-
დანამ, მას მიუტანა და რუსთაველის გამ-
ზირზე ორმოც ლარად გაყიდა.

გაცილებით ძნელი მოსახლეობელი
სხვა ამბავია. ბატონი აკაკი, ათი წლის გან-
მავლობაში, დაძაბული მუშაობდა მსოფლ-
იოს უდიდესი თეოლოგის, შიპონის ეპისკო-
პოსოს, ყოველგვარ ეპითეტს აღმატებულ
ნეტარ ავგუსტინეზე მონოგრაფიის დასაწე-
რად (მხოლოდ ორიოდ თავის გამოქვეყ-
ნება მოასწრო), მაჩვენა, ორასზე მეტი მა-
რტო დამომწებელი ლიტერატურა იყო. გა-
ხარებულმა მითხრა (ეს არ ჰგავდა ბაქიო-
ბას), ქართულ ფილოლოგიურ აზრს ასეთი
სიმაღლე ჯერ არ უნახავსო. ძვირფასი ად-
ამიანის გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟს
სიმწრით დამთავრებული ნაშრომი ვილა-
ცხასთან გამოსაცემად წაუღია და, როგ-
ორც ვაგივე, დაკარგულა, აღარსად ჩანს.
ეს ძალიან დიდი, მართლაცდა აღსაზღაუ-
რებელი დანაკლისია. მიუტყეველია, რო-
დესაც შვილებმა საბაყო მამის ფასი არ იც-
იან. ამისგან არავინაა დაზღვეული.

რამდენად ღირსეული, კეთილშობილი
პიროვნება ბრძანდებოდა აკაკი განერელ-
ია, ამის დასტურად ერთ რამესაც ვაგიხსე-
ნებდი. დახურულ ხის თაროში მას ცალკე
ჰქონდა შენახული ნიადაგ სათაყვანებელი
ვასილი როზანოვის რეოლოგიამდელი გა-
მოცემები, მთლიანი კომპლექტი. როცა რო-
მელიმ დასჭირდებოდა, მისევე გამოილე-
ბდა ხოლმე. შეიტყო თუ არა, რომ რუსეთ-
ში როზანოვის მოხუცებული ქალიშვილი
უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, ხელად
გაციო მისი მისამართი და ფოსტით, ყოვე-
ლთვიურად, თავისი ხელფასიდან საარსე-
ბო ფულს უგზავნიდა. ასეთი ქველმოქმე-
ება განსვენებულს სხვების მიმართაც გა-
მოუჩენია, მისნაირი ადამიანები დღეს ცო-
ტანი არიან.

— თქვენი შეფასებით, რა არის ბიბლიო-
თეკა დღეს: რა ადგილი უკავია მას თანამედ-
როვე საზოგადოების ცხოვრებაში? კომპი-
უტერის, ინტერნეტის ეპოქაში ხომ არ და-
კნინდა ბიბლიოთეკის მნიშვნელობა?

— ამაზე აღარავინ დავობს - კომპიუტ-
ერმა და ინტერნეტმა წიგნის ნამკითხველ-
თა რიცხვი საგრძნობლად შეამცირა, მაგ-

რამ პირადად ჩემზე ამას არ უმოქმედნია,
ცხოვრების ძველ წესს ვინარჩუნებ. სხენე-
ბულ საკვირველ ტექნიკურ სიახლეებს ბე-
ვრი თვალსაჩინო ღირსებაც ახლავს და ვი-
ნაც წარმატებით სარგებლობს, დროს ზო-
გავს, ღმერთმა სიკეთემი მოახმაროს. არა
მგონია, ბიბლიოთეკათა ფართო ქსელის
არსებობისას, სამომავლოდ, საფრთხე და-
ემუქროს, საგანგაშო პრობლემები შეექმნ-
ას. საერთოდაც, არავის მოუვა აზრად,
რომ ოდესმე, კულტურის სფეროდან წიგნი
განიდევნება და მისი თავგამოდებული მო-
ყვარულები მხოლოდ ელექტრონული
ვერსიების ამარა დარჩებიან.

ბიბლიოთეკების სხვადასხვა ფორმით
შექმნას უშორეს საუკუნეებში აქვს ფესვე-
ბი გადგმული. კარგად მახსოვს, რა მწვაე-
ედ განვიცადე, როცა ყმანვილმა პირველ-
ად ნავიკითხე, რომ ჩვენს წელთაღრიცხვა-
მდე 48-47 წლებში ხანძარმა შთანთქა ალექ-
სანდრიის უმდიდრესი ბიბლიოთეკა. ვინ
აღწესხავს, რამდენი ათასი ძვირფასი ხე-
ლნაწერი და წიგნი სამუდამოდ დაიფერფ-
ლა იმ ცეცხლის ალში. ეს იყო უზარმაზარი
მსოფლიო კატასტროფა კულტურის ისტ-
ორიაში.

ჩვენი ცხოვრების ერთ ძალზე საჭირო-
ოროტო საკითხსაც უნდა შევეხო ქართუ-
ლი მწერლობის დედაბოძი ჟურნალი „მნა-
თობი“, რომელიც კარგა ხანია გაუქმებუ-
ლია, ხოლო ბროშურა ტექსტულ „ცისკარს“
და თვეში ორჯერ ძლივს გამომავალ ჩვენს
ტრადიციულ გაზეთს „ლიტერატურულ
საქართველოს“ არსებობისთვის საჭირო
მცირედენი პირობებიც ვარ გააჩნია. ჰო-
ნორარის ცნება თითქმის აკარა, რაც ქარ-
თველ მწერალთა ცხოვრებას ერთობ აძნე-
ლებს. ამაზე დროა დაფიქრდეს ხელისუფ-
ლება!

წლების განმავლობაში ჩემ მიერ ნაგ-
როვები ბიბლიოთეკა, მიზეზთა გამო, გულ-
დასაწყვეტად დანაკლებულია (ზოგი
ძვირფასი წიგნი დავკარგე, უმეტესობა, არ
დამიბრუნეს, უსინდისოდ შეირჩინეს), ნამ-
დვილად მრავალფეროვანია, თუმცა არე-
ულ-დარეული, დაუხარისხებელი. ამ
პირობებში, რაიმე კატალოგის შედგენა
ლაპარაკიც არ ღირს; წესრიგი და დალაგ-
ება თვით ჩემს ხასიათთან შეუთავსებელ-
ია. ეს (რა დარგის წიგნი გნებავთ, აქ რომ
არ ნაანყდეო) ინტერესთა განუსაზღვრე-
ლი სიფართოვის მაჩვენებელია, მაგრამ მო-
გესხნებათ, ადამიანის სიცოცხლე გარკვე-
ულ ჩარჩოებშია მოქცეული და ძალიანაც
რომ მოინდომო, ყველაფერს ვერ განვდე-
ბი. ისე მიდიხარ, იმის მეთათხედსაც ვერ ას-
წრებ, რისი ნაკითხვაც და გავგებაც გნადია.

— როგორც ვიცი, საჯარო ბიბლიოთე-
კის ხშირი სტუმარი ბრძანდებით. ამიტომ
გკითხავთ: საბიბლიოთეკო მომსახურების
რა ფორმის დამატებას ისურვებდით დღეს
ჩვენს ბიბლიოთეკებში?

— ბოლო წლებში, გასაგები მიზეზების
გამო. ყველა წიგნს დანაწევლთა საყვარ-
ელ შესაკრებ ადგილას, საჯარო ბიბლიოთ-
ეკაში სიარულს ვუკელი, მაგრამ ძვირფას
მოგონებად დამრჩა, როცა, ახალგაზრდო-
ბისას, მისი ხშირი სტუმარი ვიყავი.

სიყრდის მეგობართან, უნიჭიერეს პოე-
ტთან, თარგმანის ხელოვნების დიდოსტა-
ტთან, დათო წერედიანთან ერთად თითქმ-
ის ყოველდღე, საჯაროს მალაქჭირიან,
მყუდრო დარბაზში ვიჯექი და ველოდებო-
დით საგანგებოდ შერჩეულ, გამოწერილ წი-
გნებს. იქ გვეყვანით „ვერცხლის საუკუნე-
ის“ უმნიშვნელოვანეს კოცებებს - ინოკენ-
ტი ანენსკის, ალექსანდრ ბლოკს, ანდრეი
ბელის, ვალერი ბრიუსოვს, ანა ახმატოვას,
მარინა ცვეტაევას, ბორის პასტერნაკს, სე-
რგეი ესენინს, სხვებსა და სხვებს. ევროპუ-
ლი და რუსი სიმბოლისტების ლექსები უხ-
ვად იყო დაბეჭდილი ერთ-ერთი მოზრდილ
კრებულში „Чтец-декларатор“ (1912). შემ-
დგომში ვაგივით, რომ ეს თავისებური ან-
თოლოგია გალაკტიონ ტაბიძის საყვარელ
წიგნთაგანი ყოფილა. საჯარო ბიბლიოთე-
კაშივე ვკითხულობდით მარსელ პრუსტისა
და კნუტ ჰამსუნის რომანებს, ანდრე ჟიდი-
სა და თომას მანის ტომეულებს... ყველაფ-
ერს ვერ ჩამოვთვლი.

ზოგერთი წიგნი ახლო ამხანაგი
მთლად მოსწონდა ვერ იქცეოდა. ერთ სა-
ლამოს (ზამთარი იყო, პალტოები გვეცვა)
ჩამოსასვლელ კიბესთან შეგხვდა ან გარდ-
აცვლილი პოეტი ოთარ შალამბერიძე. უც-



ნიგნი და მწერალი

►► მიუხედავად გვიანობისა

ნაურად ატაცებულმა გვიანობა - ჟაკანის ტყვია რომ მესროლონ მკერდში, ვერ გამხვრიტავსო. დაინტერესდით, ამნაირი რა ჯავშანი ჰქონდა აფარებული. ქაშვიტის ეკლესიისკენ წაგვიყვანა და უბიდან ოთხად გაკეცილი თეთრი ფურცლები დააძვინა. დამოუკიდებლობის წლებში გამოშვებულ სამთავრობო გაზეთ „საქართველოდან“ (ის გაზეთი არეულ დროში კარგი ხარისხის თხელ ქაღალდზე იბეჭდებოდა) ჩუმად შეტანილი მაკრატლით გრიგოლ რობაქიძის წერილები ამოეჭრა ვაჟას პოეზიასა და ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ამბავზე - წინამურში ილიას შემზარავ მკვლელობაზე. ამის მხილველი გაცხადებულნი დავრჩით, ვუსაყვედურეთ, ეს არ უნდა გექნასო, მაგრამ იმ ამონაჭრებს დაზიანებულ და დამახინჯებულ კომპლექტში რაღას დავაბრუნებდით. ასეთ შეუწყნარებელ საქციელს ალბათ სხვებიც სჩადიოდნენ.

ისიც გამიგია და არა მგონია, მონაჭორი იყოს, რომ ოთხმოცდაათიანი წლების უმართავი ქაოსის დროს ვიღაც უნამუსოებმა არეულობით ისარგებლეს, ჩვენი სათუთად მოსავლელი საჯარო ყაჩაღურად გაძარცვეს, ძვირფასი გამოცემები, ალბომები გაიტაცეს და გაყიდეს.

უარესი ველურობა, ბოროტება ჩაიდინა ნაცების ხელისუფლებამ მწერალთა სახლის გეგმიური დარბევის დროს - პირნმინდად გააპარტახა იქაური საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც გვემსახურებოდნენ სპეტაკი, უპატოსნესი ადამიანები დოღო ჩიკვაძე და ლაურა დათიაშვილი, ხოლო გამგე იყო ჩვენი უხუცესი ლიტერატორი, მწერალთა კავშირის ამავალი მემატინე რევაზ კვერცხილაძე. იატაკზე იყო დაყრილი, განადგურდა მთელი პერიოდიკა, წლობით ნაგროვები და დახარისხებული ჟურნალ-გაზეთები, დაიკარგა უნიკალური ნიგნები.


უკანასკნელად საზღვარგარეთ 1989 წლის გაზაფხულზე, ჩემს უახლოეს მეგობართან, სამოციანელთა უძლიერესი თაობის მშვენიერასთან, პოეტ გივი გეგეჭკორთან ერთად ვიყავი, მოვიხანხლეთ დანკრიალენი ფინეთი. განსაკუთრებით მოგვეწონა იდეალურად მოვლილი და ნათელი დარბაზებში განთავსებული ბიბლიოთეკები, მკითხველთა შესაშური ინტერესი. ცნობილია, რომ ევროპის ბევრ მონივრულ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილი ბიბლიოთეკები იქნენ ახალგაშობულნი ნიგნებს, მწერლებს ტირაჟისა და პონორარის პრობლემა არ აქვთ, რასაც მხოლოდ უნდა მივესალმოთ და მივბაძოთ. სასურველი იქნებოდა, კულტურის სამინისტრომ საზღვარგარეთის შესაბამის ცენტრებში მიაგონინონ საბიბლიოთეკო საქმის სანდო მცოდნენი, მათი სარგებლობის მომცემი, ნაყოფიერი გამოცდილება რომ ჩვენთან გადმოინერგოს.

ჩვენდა სავალალოდ, დღევანდელ საქართველოში ნიგნიერება, ნაკითხობა შემაშფოთებლად დაქვეითებულია, რაც განსაკუთრებით გამოკვეთილად უმალღეს სასწავლებელთა მისაღებ გამოცდებზე აშკარა ავდება. ეს ბევრწინად განაპირობა ნაცმოძრაობის მმართველობის წლებში განათლების სისტემის მოშლამ, რისი განხორციელებაც გარედან იმართებოდა... ყოველივეს გამოსწორებას დიდი დრო დაჭირდება. საერთო ძალისხმევით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენი ახალგაზრდობა როგორმე ნიგნისკენ მივაბრუნოთ. ამ საქმეში საქმეში საჯარო და სხვა ბიბლიოთეკებს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ. დასმული შეკითხვების ირგვლივ კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ თქვენთან საუბარი ისედაც გამიგრძელდა. ზოგი რამ სამომავლოდ გადავდოთ.

ესაუბრა
მაია მიქაპარიძე

მიღის სანახავად!

საქართველოში უფლებურთოდ ცხოვრება დასრულდა. მუდამ დამარცხებულისა და წარუმატებელის მენტალიტეტი მოვიშორეთ. 2024 წლის 26 მარტს ერთა ლიგის საკვალეფიკაციო ეტაპის ფინალში ჩვენმა ნაკრებმა პენალტების სერიაში საბერძნეთი დაამარცხა და ისტორიაში პირველად გავედით ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე. თამაში ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე ჩატარდა, გამარჯვების აღნიშვნა სტადიონიდანვე დაიწყო და მერე მთელ ქალაქს მოედო. მთელმა ქვეყანამ ვიგრძენით ფეხბურთის ძალა. გამარჯვებით გამოწვეული სიამაყის, სიხარულისა და ბედნიერების დღეებმა გავგაერთიანა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ გერბზე



ის ცნობილი სიტყვები ტყუილად არ გვიწერია.

საბერძნეთთან თამაშში გამარჯვება კომენტატორმა გიგა გვენცაძემ იმ სიმღერის ტექსტით მოგვილოცა, რომელიც თბილისის „დინამოს“ პირველი სსრკ ჩემპიონატის მოგების შემდეგ შეიქმნა: „არის, ასრულდა ოცნება, არის, ასრულდა მიზანი!“

ევროპის ჩემპიონატზეც ჩვენი ნაკრების თამაშებზე, საბერძნეთთან მატჩის მსვავსად, გია თვალაბიშვილი და გიგა გვენცაძე კომენტატორობდნენ. მათთან ერთად განვიცადეთ ჩვენი გუნდის წარმატება, ხოლო გიგა გვენცაძის პორტუგალიასთან ნათქვამმა ფრაზამ სამუდამოდ დაიპყრო ჩვენი გულები, შეიძლება იმიტომაც, რომ ყველა ქართველმა საკუთარი გულის ამოძახილად ჩათვალა. ეს ფრაზა — „მიღის სანახავად!“ (ესე იგი, მსაჯი მიღის VAR-ის სანახავად, რათა დარწმუნდეს, რომ ქართველებს სასარგებლოდ ნამდვილად უნდა დანიშნოს გადაწყვეტი პენალტი) — ნიგნად იქცა და საფეხბურთო ლიტერატურის მოყვარულთა თაროებზე დაიდო ბინა.

ნიგნში გამმოცემული ქართული ფეხბურთის ისტორია — როგორ დაიწყეთ და როგორ მოვედით ევროპის ჩემპიონატამდე. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ევროპის ჩემპიონატზე „დინამო“ თბილისის ამ ქვეყნების წარმომადგენელ მეტოქე გუნდებთან პარალელურად არის განხილული, რასაც თან ერთვის ძველი თუ თანამედროვე ქართველი ფეხბურთელების უხვი ფოტოსაგანა. ავტორი არაერთგან ხაზგასმით ამბობს, რომ იმდროინდელი „დინამო“ საქართველოს ნაკრები იყო და რომ საქართველო, როგორც საფეხბურთო ქვეყანა, სწორედ მაშინ დაიწყო. ვფიქრობ, ამ აზრს ყველა გაიზიარებს. ის, რაც ცოტა ხნის წინ მოხდა, ნამდვილად არ იყო შემთხვევითი და უსაფუძვლო. საქართველოს ნაკრები დებიუტანტი იყო, მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს არაერთხელ უთამაშიათ ევროპის ჩემპიონატზე, გოლებიც გაუტანიათ და 1960 წლის ევროპის ჩემპიონებაც გამხდარან, თუმცა საბჭოთა კავშირის — „ძალად ერთიანი ქვეყნის“ შემადგენლობაში. 1981 წელს კი „დინამომ“ ევროპული ტიტული — თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. მთავარი პარალელი მეც ის მგონია, რომ 1981 წელსაც და 2024 წელსაც გადამწყვეტი გოლი საქართველოს დაკარგული მიწის — აფხაზეთის შვილებმა გაიტანეს

— მაშინ ვიტალი დარასელიამ და ახლა ნიკა კვეციკვიციანი.

ნიგნში ასევე გამოცემულია ავტორის პირველი ემოციები და შთაბეჭდილებები ევროპის ჩემპიონატზე. საქართველოს ნაკრების შეხვედრების წუთობრივი განხილვა კი კიდევ ერთხელ გვაბრუნებს იენისის იმ დღეებში, მხოლოდ ფეხბურთით რომ ვცხოვრობდით.

გიგა გვენცაძეს არც ის ფეხბურთელები ავიწყდება, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ნაკრების ბოლოდროინდელ წარმატებაში, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ნაკრებში ვეღარ მოხვდნენ. განსაკუთრებით აღნიშნულია ჯაბა კანკავას როლი ნაკრებში, რომელიც 10 წელი ატარებდა კაპიტნის სამკლაურს. რადგან შე-

ამიკან გასილაშვილი

გამარჯვებათა თანაბრობა ისპორიდან

საძლებლობა მეძლევა, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ კაპიტნები ასე არ უნდა მიდიოდნენ — მადლიერების, გაცილებისა და აპლოდისმენტების გარეშე!

შეიძლება ითქვას, რომ ისტორია განმეორდა — 1981 წლის 13 მაისის დიდი „დინამოს“ დიდი გამარჯვება კოტე მახარაძის ხმასთან და მის სიტყვებთან („Представлю что сейчас творится в столице Грузии — Тбилиси. Ликует столица Грузии, ликует вся наша страна“ — „წარმომიდგენია, რა ხდება ახლა თბილისში! ზეიმობს საქართველოს დედაქალაქი! ზეიმობს მთელი ქვეყანა!“) ასოცირდება, რომელიც ლეგენდარულმა კომენტატორმა წარმოთქვა.

გიგა გვენცაძე ალბათ ვერ იფიქრებდა, რომ მისი ნათქვამი ფრაზა სამუდამოდ დარჩებოდა ქართული ფეხბურთის, სპორტის და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ დიდ საფეხბურთო წარმატებას, საეტაპო მოვლენას ქართული ფეხბურთის ისტორიაში სწორედ მისი ფრაზით გაიხსენებენ — „მიღის სანახავად!“ მართლაც, ჩვენ გავედით ევროპის ჩემპიონატზე, გავიმარჯვეთ პორტუგალიასთან, გოლებიც გავიტანეთ, ფრედაც ვითამაშეთ, დავმარცხდით კიდევ, ჯგუფიდანაც გავედით და ჩვენი წილი საფეხბურთო სიტყვა ვთქვი. საფეხბურთო რუკაზე საქართველო დაბრუნდა! — როგორც გიგა გვენცაძე იტყვოდა — საუკეთესო გუნდით, საუკეთესო ფეხბურთელებით, საუკეთესო კაპიტნით, საუკეთესო მეკარით, საუკეთესო ბომბარდირით, საუკეთესო ქომბაგით, საუკეთესო დროშითა და ჰიმნით!

2024 წელს ევროპის სანახავად ვიყავით, წავალთ 2026 წელს მსოფლიოს სანახავად?!

ღელა და ილია

2024 წელი დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერ წლად უნდა ჩაითვალოს. ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა. მედლების სარეკორდო რაოდენობა მოვიპოვეთ პარიზის ოლიმპიურ და პარალმპიურ თამაშებზე. წარმატებული გამოსვლები ჰქონდათ ჩვენს ათლეტებს სპორტის სხვა, ინდივიდუალურ თუ გუნდურ სახეობებშიც. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია, რომ ქართველებს შერეული საბრძოლო ხელოვნების ყველაზე პრესტიჟულ ორგანიზაციაში — უმჭი-ში ორი მსოფლიო ჩემპიონი გვყავს — ილია თოფურია და მერაბ დვალისძე. ილია თოფურიამ დიდი ჩემპიონი ალექსანდრე ვოლკანოვსკი დაამარცხა და წელსვე ქამრის დაცვაც მოასწრო ამერიკელ მაქს პოლოუეისთან.

ილია თოფურია სუპერვარსკვლავია, მასში მისხალიც კი არ არის არასუპერვარსკვლავური. მას აქვს ღმერთისგან თუ ზუნებისგან ბოძებული ნიჭი, ქართული, ბერძნული სული და არც შრომისმოყვარეობა და თავდაჯერება აკლია. ილია თოფურიაზე ფილმიც გადაიღეს და ნიგნიც დაწერეს. ნიგნი კი გიორგი კეკელიძემ დაწერა, მწერალმა, რომლის სპორტისადმი სიყვარული მკითხველისთვის ცნობილია. გიორგი კეკელიძეს უბრალოდ კი არ უყვარს სპორტი,

არამედ წერს კიდევ სპორტზე. გავიხსენოთ მისი საფეხბურთო ესეების კრებული „ცხრათვიანი ფეხბურთის ზღაპარი“ და ნიგნი ხვია კვარაცხელიაზე „ხვია — ვარსკვლავი, სახელად ვარსკვლავი“.

მაგრამ გიორგი კეკელიძის ნიგნი არ არის მხოლოდ ილია თოფურიაზე, მას ორი მთავარი გმირი ჰყავს: დედა — ინგა თოფურია-ბენდელიანი და შვილი — ილია თოფურია. შეიძლება ითქვას, ნიგნი ჩემპიონ დედაზეა, რომელმაც ცხოვრებასა და ომზე შვილის მიერ საბრძოლო ოქტაგონზე საჩემპიონო ქამრის მოპოვებით გაიმარჯვა.

ინგა ბენდელიანი-თოფურია გზა აფხაზეთიდან იწყება. ინგა სოხუმში, მშვიდობის გამზირზე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და ალბათ ირონიულია, რომ იმი იმ ქა-

ლაქებშიც აღწევს, სადაც მშვიდობის ქუჩები და გამზირები არსებობს. ინგას ომმა მეუღლე და ძმა წაართვა, მეუღლეს დაღუპვის დღეს მისი მოქსოვილი წინდები ეცვა. გიორგი კეკელიძე ცხადად წარმოგვადგენინებს ომის საშინელებას და ომგამოვლილი ადამიანების ტკივილს, მათ მოუშუშებელი ჭრილობებს, მთელი ცხოვრება რომ მიჰყვებათ. გზა კი აფხაზეთიდან ჭუბურზე გადიოდა — „დევნილთა უღელტეხილზე“ (გურამ ოდიშარია). ჭუბურგამოვლილი დევნი-



ლი ქალების Via Dolorosa-ს ამბები სულისშემძვრელია: ბავშვებითა და ორსული ქალებით გადავსებული ვერტმფრენის აფეთქება, უღელტეხილზე გარდაცვლილი და იქვე წვალბებით დასაფლავებული ადამიანები, ჩანთით წამოყვანილი გარდაცვლილი ბავშვები, გაყინული ადამიანების გვამებით მოფენილი გზა...

ინგა ბენდელიანი-თოფურია, სხვა ომგამოვლილი ქალების მსგავსად, ძველი საქართველოს ძლიერ ქალებს, გაუტეხელ დედებს ჰგავს. დედებს, რომლებიც ცხოვრებას კრიჭაში ედგნენ და ცხოვრების გაგრძელების ძალას ყოველთვის პოულობდნენ და პოულობდნენ, პირველ რიგში, ცხოვრების მთავარი მიზნის წყალობით — ჰქონოდათ მათ შვილებს უკეთესი მომავალი.

თოფურიების ოჯახმა ომი გამოიარა, ომისშემდგომი კრიზისი და გაჭირვება, უპერსპექტივობა, ემიგრაციის სიმძიმე და ერთმანეთისა და სამშობლოს მონატრება. ბოლოს კი ოჯახი ესპანეთში, ზღვისპირა ქალაქ ალიკანტეში გაერთიანდა. ალიკანტეში დაიწყო ილია თოფურიას გზა ჩემპიონობისკენ. ილიას ყველაფერი აქვს ჩემპიონის ქამრის დიდხანს შესანარჩუნებლად. მჯერა, რომ ის იმდენჯერ დაიცავს ქამარს, რამდენჯერაც თვითონ მოუწდება, ესამდე, სანამ სპორტული შიმშილი არ გადაუვლის.

დედა-შვილი თოფურიების თავგადასავალი, მოთხრობილი გიორგი კეკელიძის მიერ, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ დაცემის შემდეგ აღდგომა შესაძლებელია, თუკი ამის ძალეებს საკუთარ თავებში გამოვნახავთ.

ნარკოტიკული დანაშაულის ასოების

არცთუ იშვიათად წიგნის გარეკანის დიზაინში ასოებიც მონაწილეობენ ამა თუ იმ ფორმით. შეიძლება ეს ავტორის გვარსახელის გრაფიკული გათამაშება იყოს ან წიგნის სათაურის შემადგენელი ასოების მხატვრული გადანწყვეტა.

ისეც ხდება, რომ წიგნის სათაური სხვადასხვა ავტორს ერთსა და იმავე გადანწყვეტისაკენ უბიძგებს.

მე ხელს მაქვს ვლადიმერ ვისოცკის ლექსების ორი სხვადასხვა გამოცემა. ეს გახლავთ მისი ცნობილი და ბევრი მხრივ მნიშვნელოვანი კრებული „ნერვი“. ორივე 1988 წელსაა გამოცემული. პირველი — მოსკოვში, გამომცემლობა „სოვრემენნიკის“ მიერ, მეორე კი — ალმა-ატაში, გამომცემლობა „ონერიის“ მიერ.

ერთი და მეორეც ფაქტობრივად 1981 წლის გამოცემას იმეორებს. ეს ვისოცკის ლექსების პირველი ოფიციალური კრებული იყო, 129-ლექსიანი. დაანწყვიტეს ვისოცკის ნერვები მისი ლექსების წიგნის გამოუცემლობით. ეს წიგნიც ავტორის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ გამოვიდა და დიდი აუიოტაჟი გამოიწვია. წიგნი 55 ათას ეგზემპლარად დაიბეჭდა და იმთავითვე ძნელი საშოვნელი იყო. მანეთი და 40 კაპიკი ღირდა, მაგრამ შავ ბაზარზე 200 მანეთად იყიდებოდა. ეს 200 მანეთი მაშინ გაზეთის ლიტმუშაკის ორი თვის ხელფასი გახლდათ. ამ კრებულსა და მის მნიშვნელობაზე ბევრია სალაპარაკო, მაგრამ ეს მერე — სხვა შთანაწერში.

ახლა კი ამ ორი კრებულის მხოლოდ ყდებზე მოვახსენებთ.

„სოვრემენნიკის“ ყდის დიზაინი მოსკოველ ილუსტრატორს ვლადიმერ ვაგინს ეკუთვნის. მის მიერ აქ გამოყენებული დანაწყვეტილი ნერვებით დანაწყვეტილი ასოები მას შემდეგ მრავალ გამოცემაში უცვლელად გადავიდა წიგნის გარეკანზე. იცვლებოდა გარეკანისა თუ ყდის ფერი, ხოლო ეს ნერვებით ნაგრძელბუნი და დანაწყვეტილი ასოები უცვლელი რჩებოდა.

ალმა-ატის გამოცემაში კი, თუმცა პრინციპი იგივეა, მხატვარმა ავტორის სახელი და გვარი ამოგლიჯა ტექსტის საერთო ნესრიგადან და ერთადერთი ასო E დანაწყვიტა დანაწყვეტილი ნერვებით.

ალმა-ატური გამოცემის დიზაინი ეკუთვნის მხატვარ ელენა სელივანოვას.

ნერვებით დანაწყვეტილი ასოები ორივე დიზაინის მთავარი ელემენტია და იგი წიგნს, მის გარეკანს თითქოს დამატებით განზომილებას სძენს, უფრო რელიეფურსა და მეტყველს ხდის, უფრო ზუსტად ასახავს სიტყვის არსს, ვიდრე ოთხი უბრალო ასო.

დახ, დიზაინი განსხვავებულია, მაგრამ იდეა — ნერვებით დანაწყვეტილი ასო, ვლადიმერ ვაგინს უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, რომ წიგნის საუკეთესო და შედეგად შეეძინათ: აი, სათაურის გაფორმება!

P.S. ეს საკმაოდ ძველი შთანაწერია. მოგვიანებით კი, ჩემი ბიბლიოზემის მორიგი მიმოლაგებისას ანდრეი ვოზნესენსკის წიგნს გადავანყვი. წიგნს „ცდუნება“ ჰქვია. ასოები აქაც დანაწყვეტილია. მაგრამ აქ არა წიგნის სათაურის, არამედ ავტორის გვარისა და სახელის ასოები დაუწყვეტიათ დანაწყვეტილი ნერვებით. წიგნის მხატვარია ცნობილი რუსი წიგნის ილუსტრატორი ვლადიმერ მედვედევი, გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ მთავარი მხატვარი. ვოზნესენსკის ეს წიგნი სწორედ გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა 1979 წელს. ასე რომ, დანაწყვეტილი ასოების იდეა შეიძლება სულაც ვლადიმერ მედვედევისა იყოს, თუმცა იგი უფრო შინაარსობრივად ვისოცკის წიგნის სათაურს მიეკუთვნება. ახლა ამას ასე დარწმუნებით ვეღარ ვიტყვი — შეიძლება მანამდეც გამოიყენეს „ნერვითი ასოები“ წიგნის დიზაინში. ჯერჯერობით კი, ჩემი ცოდნით, პირველობა ვლადიმერ მედვედევის ეკუთვნის.

სულიწმინდისა და უმადლისი პილოტაჟისა

ჩკალოვის სახელი სახელზე მეტია! ვალერი ჩკალოვი — საქვეყნოდ ცნობილი მფრინავი გამომცემელი, ბრიგადის გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი, ორგზის ლენინის ორდენის მფლობელი. სახელი გაითქვა თავისი დაუშვებელი მრავალსაათიანი „სტალინის მარშრუტით“ მოსკოვიდან ვანკუვერამდე ჩრდილოეთ პოლუსის გავლით, რომელიც გიორგი ბაიდუკოვთან და ალექსანდრ ბელიაკოვთან ერთად გაიარა. მისი სახელი ჰქვია მწვერვალს, კონცხს, კუნძულს... ქალაქ ორენბურგს და ორენბურგის ოლქს მთელი ოცი წელიწადი ჩკალოვი და ჩკალოვის ოლქი ერქვა. ჩკალოვი სტალინის საყვარელი მფრინავი იყო და ერთ-ერთი გახლდათ სტალინის იმ მცირეობის ოვან რჩეულებში, რომელიც დიდ ბელადს

შენობით მიმართავდა.

ამის მიუხედავად, იგი ორჯერ გაასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა 1925 და 1928 წლებში, დამნაშავედ ცნო და პატიმრობაც მიუსაჯა. უდისციპლინობის, უხეშობის, უფროსობისადმი დაუმორჩილებლობის გამო სამჯერ დაითხოვეს სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებიდან.

როგორც ამბობენ სამხედრო დისციპლინისადმი მისი ასეთი აგდებული დამოკიდებულება იქცა მისი დაღუპვის მიზეზად, როცა 1938 წლის 15 დეკემბერს ახალი თვითმფრინავის გამოცდის დროს, ჯერ იყო და თავისი ოსტატობის იმედად, გაუმართავი თვითმფრინავი არაფრად ჩააგდო და აფრინდა, მერე კი დადგენილ მარშრუტს გადაუხვია, აეროპორტს შორს გასცდა და მოულოდნელად გათიშული ძრავით უსაფრთხოდ დაშვება ვეღარ შეძლო.

1928 წელს გომელიდან ბრიანსკისკენ გადაფრენისას მისი მიზეზით მომხდარი ავარიის გამო სამხედრო ტრიბუნალმა მას

სმარობდა!

აი, რას წერს შარშან გარდაცვლილი რუსი პუბლიცისტი, ტელენამეყანი, მხართმცოდნე და მოსკოვმცოდნე ალექსეი მიტროფანოვი ერთ თავის ნერილში:

ხელოვნების სახლის ორგანიზაცია სანქტ-პეტერბურგში უპრეცედენტო რამ გახლდათ — ელსევეების სამსართულიანი ბინა, რომელიც ხელოვნების სახლს გადაეცა, დიდი და ფართო იყო. მასში შედიოდა რამდენიმე მისაღები ოთახი, რამდენიმე სასადილო ოთახი და რამდენიმე კომფორტული საძინებელი. ამის გარდა იყო თოვლიანი თეთრი დარბაზი, ვეება სარკებითა და რელიეფური დეკორაციებით; იყო აბანო მდიდრული გასახდლებით; იყო ბუფეტი და დიდებული კაფელით მოპირკეთებული სამზარეულო იყო, თითქოს სპეციალურად შექმნილი მწერალთა და მხატვართა ხალხმრავალი შეკრებებისთვის; იყო პატარა ოთახები მოსამსახურეთათვის და ყველანაირი სხვა ნაგებობა, რაც ხელოვნათა მშვიდი ცხოვრებისთვის



ლიბროკოზიკოპულარისტის შთანაწერები

კაპიტ ნაცვლიშვილი

საჰაერო ხულიგნობაში დასდო ბრალი. მერე, უკვე მისი დაღუპვის შემდეგ, უნოდეს ჩკალოვის საფრენოსნო ტექნიკას უმადლესი პილოტაჟი, თორემ მანამდე იგი საჰაერო ხულიგნობად იყო მონათლული. ხულიგნობად ითვლებოდა მისი გაფრენა ტროიციკის ხიდის ქვეშ, მისი საჰაერო აკრობატიკა, ფრენები მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების ქვეშ, სხვადასხვაგვარი თავდაყირა ფრენები და ასე შემდეგ. ერთხელ მის ავიანაში კოლმეურნეთა საჩივარიც კი შევიდა, ძროხებს რძე გაუშრათ, აღარ იხველებიან, ემინათ თავს ზემოთ თავდაყირა ჩკალოვი რომ გადაუფრენსო.

სწორედ ასე — ვინ იცის, რძეს ალბათ არა, მაგრამ სისხლს რამდენ რედაქტორსა თუ კრიტიკოსს უშრობს რომელიმე არაორდინალური პოეტი თავისი პოეტური აკრობატიკით, თავისი ორიგინალური ექსპერიმენტებით, თავისი სითამამით, ლიტერატურული უდისციპლინობითა და მიღებული წესებისადმი დაუმორჩილებლობით, ხულიგნობით ბოლოს და ბოლოს. ვინ იცის რამდენი მათგანი დასჯილა და განკვეთილა.

და შეიძლება მხოლოდ პოეტის დაღუპვა საჭირო, რომ მისი ლიტერატურული ხულიგნობა უმადლეს ლიტერატურულ პილოტაჟად იქცეს და მისი სახელი უკვე მხოლოდ მისი სახელი აღარ იყოს და მწვერვალსა თუ კუნძულსაც დაარქვან. იქნებ — ჰლანეტსაც.

მსოფლიო ლიტერატურამ იცის ასეთი ჩკალოვები.

ალექსანდრ გრინის პერსექუციონი ულკანობისა!

დიდი ხანია, არ წამიკითხავს გრინის „ალისფერი იალქნები“ — მოთხრობა-ფერია, მაგრამ წინველობის დროინდელი მთაბეჭდილება — ამაღლებული და რომანტიკული — დღემდე გამოიყვება. ხოლო გრინის მიერ გამოგონილი ქვეყანა გრინლანდია, ერთ-ერთი ყველაზე საოცნებო ქვეყანად ჩამოჩა მეხსიერებამ. მისი მეზღვაურული ბიოგრაფიის გამოც მიყვარდა ეს მწერალი — ერთ ხანს ოდესაბათუმის ხაზზეც უმუშავია.

ჰოდა, მიყვარდა-მეთქი. მიყვარს-მეთქი, ვეღარ ვიტყვი.

ალექსანდრ გრინის „ალისფერი იალქნების“ მკითხველი ვერაფრით წარმოიდგენ, რომ ამ მშვენიერი ფერიალის ავტორი წყლის გრაფინის მწერალთა საერთო საცხოვრებელში თურმე ღამის ქოთანად

თუ მუშაობისთვის იყო საჭირო. აქ ცხოვრობდნენ: მიხაილ ზომჩენკო, ოლგა ფორმი, ვლადისლავ ხოდასევიჩი, სხვები.

გრინს მთელი თავისი ცხოვრება ამგვარ და ბევრად უარეს საერთო საცხოვრებლებში თუ თავშესაფრებში ჰქონდა გატარებული. ჰოდა, გორკიმ პირადად გამოითხოვა ალექსანდრ გრინისთვის აქ ერთი ოთახი. გრინი კი, როგორც მიტროფანოვი წერს, პირველი დღიდანვე წყლის გრაფინში ფსამდა. ეტყობა ტულაღი დერეფნის ბოლოში იყო. დამლაგებელმა გამოიჭირა და გრინმა ის საცოდავი ვირტუოზული გინებით აავსო. გორკიმ თავის პროტყეეს საყვედური უთხრა და მას მერე გრინისთვის გორკი პირად მტრად იქცა მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

შენ შეგიტყვება ეგ ბუდიონის ულკანები, ალექსანდრ გრინო! კიდევ კარგი, მაგ დროს გორკის უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი ცნობილი პიესა „ფსკერზე“, თორემ ვინ იცის, შიგაც შეგიაპატიუებდა პერსონაჟად. შენი „ალისფერი იალქნები“ მაინც ნაგეკითხა!

მე ამას, რასაკვირველია, არ ვიზამ, მაგრამ ქართველ მკითხველს შეუძლია ეს ამბავი ქართული სკაბრეზული კალამბურით დაამთავროს:

იცოდა გრინმა, რომ გრაფინი წყლის იყო, მაგრამ ასო „ნ“-ს შეგნებულად არ იმჩნევდა!

მე კი მაინც მინდა ვიფიქრო, რომ მიტროფანოვის მონათხრობი გრინის მწერლური ტალანტის მომურნეთა ჭირია და მეტი არაფერი.

პოლუზინი-სასარგებლოსი

კარგად არის ცნობილი მიაკოვსკის ნახატები და მოკლე-მოკლე სატირული ლექსები „როსტას ფანჯრებისათვის“. როსტა რუსეთის სატელეგრაფო სააგენტო იყო, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში მცირე ტირაჟით ბეჭდვდა სატირულ სააგენტო-პლაკატებს და თავისი შერბობისა თუ დაცარიელებული მაღაზიების ვიტრინებში ფენდა რეგულარულად. 1925 წელს როსტა საკდესად ანუ ტასად — საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოდ გადაკეთდა და მეორე მსოფლიო ომის წლებში ამგვარ სატირულ პლაკატებს უკვე „ტასის ფანჯრები“ ეწოდა.

ჰოდა, ნიკოლაი გლაზკოვს — ჩემი აზრით, იმ ეპოქის და საერთოდ, ბროდსკამდე პერიოდის საუკეთესო რუს პოეტს — ემართებოდნენ, მენს ფულტურისკულ ლექსებს „ტასის ფანჯრების“ კუპლეტები

სჯობია, უფრო სასარგებლოაო! ჰოდა ამანაც მიუღესა.

Мне говорят, что «Окна ТАСС» Моих стихов полезнее. Полезен также унитаз, Но это не поэзия.

და მე ეს მიღესილი შემომეთარგმნა. თანაც ორიგინალისეული რითმების დაცვით:

მეუბნებიან, „ფანჯრები ტასის“, რომ ჩემს ლექსებზე უფრო პოლეზნია, სასარგებლოა, კი, უნიტაზიც, მაგრამ არ არის ეს პოეზია!

და თუ სიტყვა „პოლეზნი“ / „პალეზნი“ ლევან ბრეგვაძეს ჯერ არ შეუტანია ქართული ჟარგონის ლექსიკონში, შეუძლია ახლა შეიტანოს. ისე, არა მგონია, ქართულ ენაზე ეს ჟარგონული სიტყვა თუ ბარბაროზში აქამდე არავის ჰქონდეს გამოყენებული ქართულ პროზასა თუ პოეზიაში.

უმაღლი შთანაწერისა

2025 წლის 2 თებერვალია, ხელბურთელთა ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი მთავრდება და ტელევიზორში ფინალური მატჩის რეპორტაჟს ვუყურებ ოსლოდან. დანია და სორვატია ხვდებიან ერთმანეთს. დანია სამგზის მსოფლიო ჩემპიონია და ახლაც დიდ უპირატესობას ფლობს. რამდენჯერმე მიუახლოვდნენ ხორვატები ერთი ბურთით, მაგრამ ვერცერთხელ ვერ გაათანაბრეს. ერთ-ორჯერ მოედანზე ვითარება დაიძაბა — სპორტსმენებმა ერთმანეთზე გაიწიეს და მსაჯებმა ძლივს გააშველეს.

შესვენებაზე ვანო ამირხანაშვილის მეილი მოდის — 300 სიტყვა გვაკლდება და ცოტა ხანში თუ მოგვანვლი, კარგი იქნებაო. ორიოდე საათის წინ „ლიბროკოზიკოპულარისტის შთანაწერების“ მორიგი ულუფა გავუგზავნე და განეთის რედაქტორი მეხმინებდა, — ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გვერდს ვერ ავსებსო.

დავინყე შთანაწერების გადასინჯვა. თან ცალი თვალით ტელევიზორს ვუყურებ. ისეთი ტექსტი მინდა, რომ უკვე გაგზავნილ შთანაწერებს შეესაბამებოდეს თემატიკითა და თან ისეთი, რომ უკვე მზად იყოს და ბევრი აღარაფერი სჭირდებოდეს.

არადა, რამდენია! ზოგიერთს, თუმცა მოცულობით 300 სიტყვაზე მეტია, მანც ვკითხულობ და გზადგაზა რაღაცას ვასწორებ. ზოგჯერ ისეთი მხედვება, რომ აღარც მახსოვდა და მათ განსაკუთრებული ინტერესით ვკითხულობ, თითქოს სხვისი დანერვილი იყოს.

ამასობაში მეორე ტაიმი დაიწყო და, ხორვატთა მცდელობის მიუხედავად, დანიელთა უპირატესობა იზრდება. მერე და მერე უპირატესობა 6-7 ბურთს აღწევს და თამაში ნეიტრალური მაყურებლისთვის უკვე ნაკლებად საინტერესო ხდება.

ერთი ტექსტი ვიპოვე, მაგრამ 300 სიტყვა არ არის, კიდევ მჭირდება ერთი პატარა შთანაწერი. დრო ისე გადის, რომ ვერ ვგრძნობ. ვარჩევ ტექსტებს და ამ დროს მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდება. ანგარიშია 31: 25 დანიელთა სასარგებლოდ. დამთავრებას 30 წამილა აკლია. ხორვატები აღარ აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას, მშვიდად გაითამაშეს ბურთი ცენტრიდან და ბოლოს ბურთით დუენიაკი აღმოჩნდა. დანიელებმა მას გზა გაუხსნეს, მეკარეც არ განრეულია და მშვიდად გაატანინეს გოლი, მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო გოლი. ასეთი რამ სპორტში არ ხდება — მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში მით უმეტეს! ანგარიში 32:26 გახდა და ბოლო წამებზე სპორტსმენები, რომლებიც პირველ ტაიმში მსაჯებმა ძლივს გააშველეს, ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ეს დომაგოი დუენიაკის ბოლო სანაკრებო მატჩი იყო. ხორვატისა და გერმანიის ჩემპიონი, 2006 წლიდან იყო ხორვატიის ნაკრების შემადგენლობაში, ოთხ ოლიმპიადამი მიიღო მონაწილეობა, იყო ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, 2013 წლის მსოფლიოს საუკეთესო ხელბურთელი და, რაც ყველაზე მთავარია, 21 წლისა, როცა ჰამბურგის კლუბთან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ ხელბურთელად იქცა.

ჰოდა, ამაზე კარგი არ უნდა გავუგზავნო რედაქციას?

მართალია, ტექსტი 300 სიტყვაზე მეტი გამოვიდა, მაგრამ იმედი მაქვს, როგორც ჩატყვემ გვერდში, თუნდაც შრიფტის ოდნავი დაპატარავების ხარჯზე.

კომუნიკაცია

მოდის ყვირილა და გულნასული ყვევილი მოაქვს ტალღას პატარა... მზუა დილიდან, შენ ხომ არ გახსოვს როდის აშენდა ზედა საქარა?! მოდის ყვირილა და ტაძრის ახლოს, „ლოცვანს“ კითხულობს ზოგჯერ ყმანვილი. სანთელი, ბიჭი, მდინარე, ბორცვი - ჩემი სამშობლოს ერთი ნაწილი.

აბარაკაზა

მაინც ჩამდგარა ქარი ავყია, მინცა ფეხის ხმაც, სუნთქვაც, ჩურჩულიც, დაუნდობელი და ამაყია, ეს სიმარტოვე — თეთრი ურჩხული.

იტრებს, ღრუბელს რა უნდა მეტი?! ნისლეზმა მთები ისევ დამალეს, ვზივარ და ვფიქრობ: ვინ იცის ბედი, როგორ გამითხრის გულში სამარეს.

ავვიპიტის ღვართი

დაშლივინებენ ცხელ მიწაში ენები ქართა... იქ ფარაონებს თვლებით მორთულ სამოსს აცმევენ, ეგვიპტის ძეო, ვიდრე განსჯი მტყუანს და მართალს, ჩიტი აკენკავს მზის სხივების შუქის ნამცვრევებს. ზის ეხნატონი ნეფერტიტის პირისპირ მშვიდად, თავზე დაჰნათის ცეცხლის დისკო ხელბედიერი და ბზინავს იგი, მოზიემე, მრავალხელება, ფარაონისთვის გაურუჯავს მკაცრი იერი. ჩიტო, შენსავით უძლური ვარ, დროთა ფერხულში, დაშლივინებენ ცხელ მიწაში ენები ქართა და მე კი არა, წარმავალი არის ყოველი, რჩება ამბავი... უამთა წესი ყველაფერს მართავს.

თხილისა მთიანეთს

ჩასცქერი ქვევით ფერად ტივტივას, ზიხარ მტკვრის პირას, ირწევა წყალი, ანკესი ხელში ისე გიჭირავს, არ გენაღვლება წვიმა და ქარი... მაინტერესებს რას ფიქრობ ნეტავ? ანდა რას ერჩი თევზებს პანიებს?! აი, შეირხა ტივტივა ქვევით და ჯოხი მარჯვედ ზევით ასნიე! ძუის საკიდზე ქანაობს თევზი, გულუბრყვილობის მსხვერპლი სანყალი, შვი, მეთევზევ, ნუთუ ერთობი და გულს არ გიკლავს თევზის ფართხალი?!

პურის სურნალი

პურის სურნელი, სავსე თავთავი, ყანა და კალო, წისქვილი, ვარცლი... ქართველზე უთქვამს უფალთან ილბალს — სიკვდილის წინო — სიმღერას ვაცლი. ამდენი ფიქრი და გამარჯვება, ამდენი მტრობა, ბრძოლა და მარცხი... მაინც ამ ცვრიან მიწას ქარგავენ: თიღვა, ქორეთი, კორტი და კაცხი.

დღეს სიცივეა, ქარმა ლამის ფრთა დაიმტვრიოს, ისე გულფიცხად შემოასკდა სახლის სახურავს, გულში კი ცრიდა, შენ მითხარი: ხომ დამიცდიო? მიდი, ჭიქაში ჩამოასხი ერთი, კახურად! ცოტა მოვწრუპოთ, თეთრი ღვინო უნდა გადავკრა, რომ შავი ფიქრი ავიცილო თუნდაც საათით, რას დაძრწის ქარი, სალამოხანს, ასე კარდაკარ, შენც რას დადიხარ ამ ქუჩებში, ტაატ-ტაატი?! რა მჭირს, თუ იცი, ამ განწყობას რა ჰქვია

ნეტავ, რომ არ მადარდებს არც ღალატი, აღარც ტკივილი?! ტირილი ისევ შემძლია მე, ჩემდა ბედად, მოძულეებული, უაღერსო, სუსტი ჩვილივით. გადასკდა ზეცა, ელვისაგან შუაზე ნითლად, როგორც ხის ძირში ბრონეული გადაპობილი; ნუ გემინია, არ გამქრალა ზეცა და მიწა, ვერ იზვიმებს ბოროტების სუსტი ძმობილი. დევს მოხატული ხილით სავსე ლანგარი დიდი... დგას, გიცდის, ჩემი ძველებური მრგვალი მაგიდა, მგონი მუშველა, მგონი გაეხდი ზედმეტად მშვიდი და სულერთია, რას გავიგებ სხვისი ბაგიდან.

ბარაო

აჰა, შენგან ნიშნობისას მორთმეული მარაო, წავალ, როგორც უცხო ქალი, შენი ფიქრისთანაო, არც მოგხედავ, არც ვიზრუნებ, ჩრდილებს ავეკიდები, ყორივარდის სურნელებით, ამეცხება თითები. ქარმა ცხრა გზით დაუბეროს, სხვაგან გადააფრინოს, ცისარტყელას ვუსახსოვრებ, ჩემს ძონებს და საფირონს; ვიცი, გზაზე ხან სემია, ხანაც იაფეთია, ათინათი ამაცილებს, უგულოს და ფეთიანს. მზუო, ისევ შენ გეკუთვნი, გულში მზიანეთია!

ხას

გ ზებზე ხშირად შეარჩევენ ხოლმე რომელიმე ხეს და ნატვრის ასახდენად ზედ წვრილ ნაჭრებს აბამენ (ხალხური გადანყვეტილება)

სული ამომართვეს, სული, სული აღარა მაქვს, ჰოდა, რის მაქნისი არის ახლა, ჩემი გადაღლილი ბოძვა?! ნელა გავალვიძე ფიქრში, სამგზის დამარხული სხივი, ბომბეზივით დასკდა მკერდზე, თვალნაცემი გიშრის მძივი... სული ამომართვეს, სული, გაუსაძლისია უკვე, მარტო შავი ფერი სერავს, კარგო, ამ ცხოვრების რუკებს; როგორ შერჩენილა ტოტზე, ნატვრის ასახდენად ჭინჭი, ხეზე ჭრელა-ჭრულა ნაჭრებს, ითვლის თვალხატულა ბიჭი. შენ თუ დამიფარავ, ხეო, ძველი დრუიდი ვარ, იცი! ყველგან ჩამისაფრდენ, მაგრამ არსად არ გავტყხე ფიცი.

ფიქრები უპეაღს საბარქნითა

„იონური“, „კორინთული“, „დორიული“ დრომ წაილო ბოძებიც და სვეტებიც, უკან დარჩა ფილისიც გარინდული, ხელში შეგვრჩა კაზინო და „სეტები“, რას გაუგებ ამ ეპოქის ბინძურ ჰავას, უცნაური კონტაქტების დინებას? ვზივარ ჩემთვის და ჩაცქერი ფინჯან ყავას, ღმერთმა ალბათ ეს ეპოქაც ინება... არ ეგონათ ჰერაკლიტეს თუ არ ედგა, მხრებზე გარსი, ანდა დიდი ცამრგვალი, თუმცა ღმერთი ვერ იწამეს, ისე ქმინდენ... მაინც იყვნენ ღვთის წინაშე მართალნი. ყველა ზეცის ნეტარებით ქეიფობდა, ახარებადთ გენიოსთა მხნეობა, ზეცის მაღლი - ხელოვნება ზეიმობდა, მუზა მუდამ მედიდურად ზეიმობდა.

მთელი ცხოვრება მოლოდინია და მერე დაგლის, აბა რას იზამს?! გააფერმკრთალებს ცდუნების ნაყოფს, მარგალიტით პატარა მიხანს. ჩვენ ველოდებით ფრთაშესხმულ ილბალს,

სიყვარულის ჩრდილს — ხეზე ლიანებს, ნამდვილად, მარტო სიკვდილი მოდის, ის არაფრით არ დაიგვიანებს.

შიში

გათენდა, ზეცა ჩამოდის ფეხად, თქემი ნიაღვრებს გააგულისებს, მოფრინდი, ჩიტო, აქა ვარ ბედად, ვერ გადარჩები მარტო, სულ ისე... თუ არ გაგილო ვილაცამ კარი, ხომ იცი, ქუხილს მეხი მოჰყვება, ღრუბლებმა როგორ შეცვალეს დარი, ჩამოაქციეს ზეცა ოხრებმა. ამიტომ მოდი, ერთად ვუცქიროთ, ეს ნიაღვრები როგორ ტრიალებს, ნაპრალებს ავსებს თქემი უძიროს, ვით მერიქიფე თიხის ფიალებს; როგორც ყაჩაღმა გზისპირა ქონი, ისე დამიპყრო შიშმა მუქარით, გარეთ სიცივე, ქარი და კობი... შინ - სევდიანი ძველი ბუხარი.

პერსალი

იდგა ვერსალი და შიგნით თითქოს მეფეთა ჩრდილებს დაედოთ ბინა, სასახლის ბაღში, ქალბატონივით, დაბრძანდებოდა ავგისტოს დილა.

გაჩერდა წამი და დარბაზიდან, ბალს დაცქეროდი მშვიდი თვლებით, ჩემს ზურგს უკან კი, ტიროდა დაშნა, ინტრიგის სუსხით ნაიარევი.

ნოემბერი

სოსანისფერი ჩრდილები ბაღში, ლალივით ვაშლი, ქარვა-ქლიავი, ფარშევანგივით ჭრელ ფოთლებს აშლის, ფერად სამკაულს მოკრებს ნიავი. ძირს ჩამოყრილი ტოტები ხმელი... ზოგან კუნძია, ზოგან მორია, ცისკრის ზარების მომწყურდა ხმები, ტაოსკარამდე ძალზე შორია.

ხელთათმანი ღულისთვის

არც ცრემლებია, არც საყვედური, აღარც უაზრო თავის მართლება, სადღაც წავიდა ის შლეგი წლები, როცა ვიყავი სხვებზე თავნება.

ქარმა შეშალა მსხმოიარე ხე, ლამაზთვალა და ლამაზყურება, რა გულგამსკდარი ქალივით იცის, ბრონეულებმა შემობრუნება.

ირწევა ტოტი და ჰყვება ამბავს, პირველად მივხვდი, რომ თავს ვლალატობ, მე სუყველაფერს თავიდან ვინყებ, შენ — პასუხს მოგთხოვ გულო-ჯალათო.

სინანულივით ნაზია ცრემლი, ოცნებასავით ურჩი და წმინდა, ჰოდა, ამ ცრემლით ნუხელ მოვექსოვე, ხელთათმანი და ქათქათა წინდა...

დუელში გინვევ დარდო ხარივით, ვიცვამ მოქსოვილ ლამაზ ფაჩურებს, ყველა სიცრუის თავშესაფართან, ციხეს დავლუნავ, როგორც ნაჭუჭებს.

მე ნახანძრალი და ნაჯაფარი, ისევ გავიმლი ვარდისფერ ზენარს და ვერ წამილებს ქარი ვერსაით, ვით მიმორხეულ პატარა ლერწამს.

ვუსმინ ბათქოვანს...

ბეთქოვანია, შენ არ იფიქრო, ერთ მოგონებას მაინც შეგარჩენს, უსმენ და თითქოს ეთხოვებთან, ეს ვარსკვლავები სამყაროს გამჩენს. სკდება და ისევ მთელდება გული, გული სკდება და ისევ მთელდება, თებერვლის ღამე ბრჭყვიალა ფიფქებს, თითქოს აცეკვებს, ისე თენდება.

სამაჩალო

შენ მოირწევი მშვიდად ამ მზიან გზაზე და გშველის ერთი ურემიც, მე არ მასვენებს ეს ტრაგედია, გაცეცხლებული ბედაურების. ვილაცას ისევ ამაოდ ვენდეთ, ჩქარა! - გვეძახის ვერხვი და მუხა და მიტოვებულ ნასახლარებზე, შეშლილი მთები ამაოდ სწუხან.



შერჩენილა საქანელა ხეზე, მუხას ფერი დასდებია მინის, ინვის სახლი, მამა-პაპის ეზო, აფხაზეთში საქართველო ინვის... ჭიშკრის ახლოს წამივიდა გული, პანანინა ფეხსაცმელი ეგდო, დაიფარე საქართველოს სული, შენი ჯვარი დაიფარე, ღმერთო!

ჯარ საქართველო... მარა შენ...

ველარ, მოგივებ ჩემს ოცნებებთან, ვერ მოგიყვები რატომ ავტირდი, ვით წყარის პირთან, მოგონებებთან, გადარეული ვდგავარ მარტივით. ჭინკებმა სული აიკლეს თითქოს და საქართველო კორტნეს და კორტნეს, ვინც ფიქრობს... თუმცა ნეტა ვინ ფიქრობს,

რას ეტყვის დავითს, რას ეტყვის ცოტნეს? იღვრება ცრემლი, ფითრდება დილა, ბოლმამ აავსო გული „ხმაურით“, ჩემო ქვეყანავ, სარკე ვარ შენი, მაგ ტკივილის და აურზაურის! მნათობმა დაჰკრა სხივი ალიონს, მოაჭახჩახებს კენჭებს ყვირილა, მთამ გააყოლა ნისლი ყალიონს, იჭყიტებოდა წყალში გვირილა. როგორ არ გესმის, შენ კი მიყვარდი, მერე ყოველი დილა ბინდდება, მაგრამ ამ ზეცას თუ წამარმევენ, სიცოცხლე სულაც არ მომინდება. ველარ მოგივებ ჩემს ოცნებებთან, ვერ მოგიყვები, რატომ ავტირდი, ვით წყაროს პირთან, მოგონებებთან, გადარეული ვდგავარ მარტივით.

სალამო მშვიდობისა, შენ უკვე მოხვედი? წინასწარ ვიცი, რომ აღარ დამაძინებ... შავებში ჩაცმული, ჩემო ქალბატონო: ხან მტანჯავ, ხან მშველი, მანამდე, მაცივებ... სალამო მშვიდობისა, ამაფორიაქე, ამაღამ ხომ შევალთ ოცნების კარავში?! მოცარტი დაუკრავს ცრემლებით რექვიემს, ორივემ ვიცით, რომ ინყება თამაში. ნიღბების საამქრო მოინყეს ლანდებმა, დილამდე ჯერ ისევ მრავალი წუთია, სახეზე მოირგეს ლითონის ფორმები, წვეთობით დაადნეს რკინა და თუთია. ფერადი ქალაღლით მორთეს და მოკაზმეს: ცისფერი ჩექმები, ეტლები, დარბაზი, შემოდის ცხენით და ჩირალდნით პატარა, ხავერდის ბაფთებით მორთული ჯამბაზი. ინყება ზეიმი... დავექებ მზეჭაბუკს. დრო გადის, ნიღბები სუყველას დასცივდა...

ეს ჩემი რაინდიც გაქრა და დაიფშვნა. თენდება; რა მძიმედ თენდება... აცივდა. დილა მშვიდობისა, შავებში ჩაცმული, ჩემო ქალბატონო, ჩემო უძილობავ, მე გავალ ქუჩაში და ისევ მკითხავენ: რატომ დაგჩემდაო ფერგაცრეცილობა?!

- დიხ, მართალი ბრძანდებით, ბატონო ჯენერი... ოჯახი და გვარობა ერთ-ერთი ძირითადია, საერთოდ... ყველა სიყვარული ოჯახის სიყვარულით იწყება. კაცმა თუ არ იცის, ვინ იყო მისი წინაპარი და რა გვარის მემკვიდრეა, იმან რა შეიძლება უნდა გაზარდოს?

... საკამათოა?... შეიძლება... მაგრამ მე ასე მიმაჩნია და თქვენს ოჯახს ვადღეობ...

... რასაკვირველია, ბატონო ჯენერი, მარტოკაცი ძალიან უძღვრია, და როცა ოჯახი ერთი ქმნი ფორმას, მას ერთობლივად უყურებ... შეიძლება - დიდი ფაქტორია... შეიძლება კაცმა თავისთვის არ გააკეთოს იმდენი, რამდენიც მისთვის შეეძლო. შეიძლება თავის განხრავს შეიძლება უკანმოუხედავად... ოჯახი გაიძულეს, რომ მეტი გააკეთო, თორემ მე, მაგალითად, ერთი პატარა ოთახიც მიყვარა - სულ პატარა სახლი, სადაც შემიძლია ჩემთვის უკანმოუხედავად ვიყო; და როცა ოჯახი გაყავს, მეუღლე მეორე ოთახში ბავშვს ამცადინებს, და უცებ ორივე მოგმართავს სამეფლად... ამ დროს კი აღმოაჩენ, რომ კვადრატული განტოლების ამოხსნა ჯერ კიდევ შეგიძლია, ანდა - ნიუტონის კანონებიც გახსოვს ერთგვარად; ხომ საამაყო უცებ?... როგორმე უნდა მობრძანდეთ ჩემთან, ოჯახში; გამოძებნოთ უნდა დრო და ოჯახებით იქნებ უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი... ვიცი, რომ მიცნობთ, ბატონო ჯენერი... ბოდიში, ჯენ... დიხ, ჩემი „სი-ვი“ ნაკითხული გაქვთ, მაგრამ ეგ ცოტაა... „სი-ვი“ მარტო ფაქტების კრებულაა, ჩემი მეგობარი რეჟისორი კი ამბობს, რომ მთავარია არა ფაქტი, არამედ ის, რაც ამ ფაქტის უკან დგას... აი, იმ „სი-ვის“ უკან რაც დგას - ისაა საინტერესო, თორემ...

უჰ, მართლა არაჩვეულებრივი ღვინოა, ბრწყინვალე პრეზენტაციაა, და საერთოდაც მინდა გითხრათ... შეიძლება ახლა ეს კარგი სასმელი მალაპარაკებდეს, მაგრამ ეს მარტო ჩემი აზრი არაა - ყველა ასე ფიქრობს: გილოცავთ ამ პროექტის წარმატებას, ეს თქვენი პირადი დიდი გამარჯვებაა - ის, რომ ასეთი პროექტისთვის კადრები ერთ ოჯახად ვართ შეკრული... გუნდური პრინციპით, გეთანხმებით...

იცით, მე დიდი ხანია მინდა მადლობა გითხრათ იმ ნდობისათვის, რომ აი, ასეთი დიდი პროექტის თარგმნა მომანდეთ პრაქტიკულად უცნობ კაცს... „სი-ვი“ რა სათქმელია, მთავარი თქვენი ინტუიციაა... მიხარია, რომ კმაყოფილი ბრძანდებით, თქვენი პარტნიორიც კმაყოფილი ყოფილა, გაუგებ... რა საინტერესოა, მართლა ვერმეგობრავსა და ვერაზი... ხომ არ მემოწმებ? ნამდვილად დიდებული რამაა - იყო ვერმეგობრავსა და თან - ასეთი გრანდიოზული ფორმის კონსულტანტი... როგორ თუ რატომ? ნახეთ როგორ უღერს - ბატონი ვერმეგობრავს - ჰოლანდიდან! გრანდიოზულად უღერს... არა?...
კი, ეგვეც უღერს - ბატონი ჯენერი საქართველოდან! ნამდვილად უღერს და იქცევს ყურადღებას... ისე, ყურადღების მიქცევა დიდი ნიჭია და გარკვეულ უნარჩვევებს მოითხოვს. აი, მაგალითად, თუ აკვირდებით, ტელევიზიის დიქტორები ახალი ამბების გადმოცემისას, პირველ წინადადებას უნერტილად მიაბამენ ხოლმე მეორე წინადადების ნახევარს და პუშას მერეა აკეთებენ; შემწეული გაქვთ, ხომ? დიხ, „ნიუსებისას“... არა, დიქცია და მეტყველება რომ არ უფარვთ - ეგ სხვა საკითხია; ამას სპეციალურად აკეთებენ, ელემენტარული ხერხია ყურადღების დასაბაგავად - მაყურებელ-მსმენელის ყურადღებაზე მოგახსენებთ. თხრობის ნორმალური წესის დარღვევისას მსმენლის ყურადღება იძაბება და თუნდაც აბსოლუტურად უმნიშვნელო რამეს ამბობდეს, თქვენი ყურადღება ნალეზული აქვს... ესაა სულ „პი-არ“ ტექნოლოგიების არსი - მსმენლის ცნობიერებაზე ძალადობით საკუთარი აზრის კულტივირება მის ფსიქიკაში... ეს შეუძლებელი ძალადობაა, კანონით არ ისჯება და ამ ტექნოლოგიებში ჩაუხედავი კაცის გონება იოლად ებმება მახეში... ასე ხარაღდებით, როგორც მაყურებელ-მსმენელი... როგორ თუ რით დაგზარალათ? თქვენი ყურადღება ხომ მოიტაცა, დრო წაგართვათ, აზრი გაგანყვედრინათ და თავის აზრზე გადაგიყვანათ... ბატონო?...

კი, კულტივატორი ტრაქტორზე ებმება, დიხ...

საამოცნებოთ გიერთდებით, ბატონო ჯენერი, ყველა მათი სხოვნა-არდავიწყება იყოს, ვინც ჩვენი ხელიდან შენდობას... დიხ... შესანიშნავი ღვინოა, მართლაც...
უტაქტობაში ნუ ჩამომართმევთ და, ოთხმოცდაცხრამი თბილისში ბრძანდებით ალბათ... არა, 9 აპრილს არა, ოქტომბრის ამბები თუ გახსოვთ, მერაბ კოსტავა რომ დაიღუპა და მერე ზურა ჭავჭავაძეც?... რას ბრძანებთ, თქვენი თვლით ნახეთ ავარიის ადგილი? როგორ?... აა, გასაგებია... თუ მეცხრე კლასში იყავით, რა გაგაჩერებდათ იქაურობის უნახავს... ისე, მა-

რთალი გითხრათ, ცოტა უფროსი კი მეგონეთ და... ჩემი მეუღლის მშობლებიც ზესტაფონიდან არიან წარმოშობით... იქნებ იცნობენ კიდევ თქვენს მშობლებს? სწორედ ამიტომ უნდა მობრძანდეთ ჩვენთან...

იცით, ეს უნდა გენახათ, როგორი ეროვნული პანაშვიდი იყო, დემონსტრაციასათვის პანაშვიდი - საოცრება იყო პირდაპირ; მაშინ ყველაფერს მიტინგის სახე ჰქონდა და ყველაფერი ეროვნული იყო: ეროვნული ოპერა, ეროვნული სტადიონი, ეროვნული კაპელა, ეროვნული აეროპორტი, ეროვნული იზორობი... ესეც მიტინგი იყო - ეროვნული პანაშვიდი... მერაბ კოსტავას ეზოსთან - ახლა „კმარას“ ოფისი რომაა, იმის პირდაპირ და ცოტა ზემოთ - ინყებოდა ხალხის რიგი, ჩამოდიოდა ზემელზე, უხვევდა რუსთაველის ძეგლთან, გადიოდა გვირაბში - დიდი რეკლამა რომ ჰქონდა, იმის ქვეშ; გამოდიოდა მეორე მხარეს და „კომუნისტის“ რედაქციასთან, ახლა აფთიაქია იქ - აი იქაბედ აღწევდა; თან თითო-თითო კაცი კი არა - სამი, ოთხ და ხუთ-ხუთ რიგადაც კი იდგნენ - ჩვენებურად, ქართველად, ყვავილებით, გვირგვინებით... საათობით...

ღაფთა გუჯაბიძე

შეეთქრალი ინტელიგენციის ნახევარპროლოგი

(მეექვსე და მეშვიდე ტომების შორის და სომხ მეჩვიდმეტე)

სიქლიდან - „საქართველო - XX საუკუნე“

ახლა, ვინ დამაჯერებს, რომ ეს გვირგვინიანები ყველა სათითაოდ იცნობდა მერაბ კოსტავას, ან თუნდაც ერთხელ მაინც ყოფილიყო მასთან ხალაპარაკევი, მაგრამ ეს კი იყო, რომ როგორღაც ძალიან ბევრმა ადამიანმა გულწრფელად განიცადა; გაუზრებულად, მაგრამ ქვეცნობიერად; მომავალი უბედურებების მიმის რეალური განცდა იყო. ერთი თუ არსებობს რაღაც გენეტიკური ინსტინქტი, მე მგონია, იმ დღეებში ის ინსტინქტი გრძნობდა, რომ ძალიან ცუდი პროცესების დასაწყისი იყო ეს ერთი „საგზაო უბედური შემთხვევა“, რომ რაღაც გამოუსწორებელი და აუნაზღაურებელი იმობდა, რომ ერთი ეპოქა დაუწყებლად დამთავრდა, როგორც მკვდრადმოძილი ბავშვი; და რომ კიდევ ერთ უაზრო წრეზე წავიდა ცხოვრება გაკანონული „პლასტინკასავით“, რომ - აი, როგორც ზღაპარშია - მჭედლებმა კიდევ ერთხელ გაამსხვილეს ამირანის ჯაჭვიც... ჩვენი ამირანი? არა, სხვა ამირანი...

დაკრძალვა ხომ მთლად საოცრება იყო! მთელი ქალაქი გადაიკეტა; რამდენი ხალხი, რამდენი კამერა იყო! მაშინ დიდოტექნიკა ცოტა იყო და კინორეჟი იღებდნენ, მთელი კინოსტუდიები მობილიზებულნი იყვნენ, კილომეტრებით ფირი გადაიღეს... სადაც ნეტა ის გადაღებული კადრები, მეც უნდა ვიყო მათში აქა-იქ...

მე მაშინ ტელევიზიიდან წამოსული ვიყავი, არსად არ ვმუშაობდი და ცოტაცოტაც ვთარგმნიდი. ის ჩემი მეგობარი რეჟისორი კი იმ დღეებში იქ იყო სულ, კოსტავას ეზოში... დაკრძალვის წინა დღეს დამირეკა - მჭირდებით, სასწრაფოდ მოდი ზემელზე... ახლავე მივივარს, მე რატომ დამიძახა: ჩემს ფიზიკურ მონაცემებს თავდაც ხედავთ და არც კარატეში ვარ ნავარჯიშები.

მოვედი ზემელზე და დამხვდა მარშრუტკა „რაფი“. მიგ ერთი შემფოთებული ბიჭი იჯდა და ახალთახალი „პანასონიკის“ ვიდეოკამერა ფაიფურის ფიგურასავით ფრთხილად ეჭირა ხელში. თურმე ერთი ცნობილი კინორეჟისორის პირადი საკუთრება ყოფილიყო ეს კამერა - ბოლო მოდელი - იმ დროს კარგი მანქანის ფასი ღირდა... ეს ჩემი მეგობარი რეჟისორი კი, - არა, თქვენ არ იცნობთ - მეუბნება ასეთ რამეს: - „გთხოვო, გაყვირო ამ კამერას, ეს გადაიღებ რაღაცას, მენ კიდევ დავიკავი, „კაგებე-მნიკებმა“ რომ არ წაართვან, ან არ დაუშტვირონო...“
მე მეუბნება!!!

ვისი, ან რისი დამცავი ვარ, ბატონო ჯონი, ფიზიკურად მე! მაგრამ შემიძინდა-მეთქი, ხომ არ ვაგრძნობინებდი?!... ნაკვივი.

აჰ, ქალბატონების სადღეგრძელოა? გამარჯობა... რა ბრძანებთ? როგორ არა, რასაკვირველია... ჰუჰ, ჩემი ერთი ნაცნობი ქა-

ლბატონი იტყოდა ხოლმე - „მაშინ 16 წლის გამოუცდელი გოგო ვიყავიო“... თუმცა, ჩემი აზრით, თუ ქალი გამოუცდელია, გინდ თქვენსმეტისა ყოფილა და გინდ ოცდათექვსმეტისა და უფრო მეტიც - ოცდათექვსმეტი წლის გამოუცდელი უფრო გამოუცდელი მგონია, ვიდრე თქვენსმეტისა...

ეს ისე, სიტყვამ მოიტანა... ისე კი — სიყვარულიც ხომ მოვალეობაა, შესასრულებელი მოვალეობა, ტვირთია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისი ზიდვა გსიამოვნებს... რატომ გსიამოვნებს? რა ვიცი აბა, გსიამოვნებს კი... და მაგას არ გიყვებოდით?...
მოკლედ, ავედით იმ „რაფთ“ მთანმინდაზე... მოგახსენებთ, რაც გვინდოდა: კოსტავას საფლავი სადაცაა, ხომ იცით? ილიას საფლავის გასწვრივ, კლდის პირას. არადა, ილიას საფლავის წინ და ზედ პირდაპირ - ფილიპე მახარაძის საფლავი იყო... დიხ, დიხ, საქართველოს გასაბჭოების პერიოდის პირველი კომუნისტი - სწორად ბრძანებთ... და სხვათა შორის, ილიას მკვლელობასაც აბრალებდნენ, თუმცა ცხადი საბუთები არ ჰქონდათ... ეს - დე-

და მწერალიც, ალბათ, ისეთი უნდა იყოს, რომელსაც ამის გაგება შეეძლება. თორემ ვინმე გრაფომანი ვერც გაიგებს და ვერც დაწერს; ნამდვილად მწერალს ალბათ რაღაცის სულ უნდა რცხვენოდეს, და უმეტესწილად - თავისი კი არა - სხვისი საქციელებსა...
რატომ?... მართლაცადა, რატომ?
მოკლედ, ღამე... მე და ის კამერიანი ბიჭი, სახელი კი არ მახსოვს, მართალი გითხრათ, ჩასაფრებულები ვართ მამადავითის ეკლესიის უკან, ზედ ილიას საფლავის თავზე, ბეტონის კედელი რომ მთავრდება - იქ... ახლა არ ვიცი როგორაა ის კედელი, შეიძლება გაამაგრეს, მაგრამ ბეტონი წვიმის ჩამონადენით უკვე მაშინ კლდეს მოშორებული იყო და სულ იოლად შეიძლებოდა მისი გადმოგრევა.

სამიში იყო, ცხადია, იქ ყოფნა, მაგრამ ეს ერთადერთი ნერტილი იყო, საიდანაც მოჩანდა ის ზედაპირგადაშლილი ქვა. ერთი მტკრით მარჯვნივ და მტკრით იქით კვიპაროსები ეფარებინან.
სიჩუმეა - საოცარი, ამინდი - გრილი. იმ საღამოს მიიღრუბლა და არც მთვარე ჩანდა, არც ვარსკვლავები. ერთადერთი წათურა ანთია საღვაც - ეკლესიის მეორე მხარეს, და მის საცოდავ შუქში ვარაუდით ვარჩევთ არემარეს. კამერაში ხომ - არაფერი ჩანს საერთოდ... ჩართავს ის ბიჭი კამერას, გახედავს „გლაზოკში“, ეს „გლაზოკი“ პროექტორივით ანათებს მის ცალ თვალს, მეტი არ ჩანს არაფერი... მერე გათორთავს კამერას - აკუმულატორის უფრთხილდება, თან გადასაღებიც არაა არაფერი, და რომც იყოს - არ გამოჩნდება... გლაპარაკობთ ჩურჩულით, იშვიათად...

გახდა თორმეტი საათი, პირველი... ორიც... მეგვიცადა მაგარად, ოქტომბრის ბოლო... კიდევ კარგი, სვიტრები გვაქვს წამოღებული და ჩავიცვით, მაგრამ არ მველის საქმეს, რადგან გაუწმენველად ვწევართ ცივ ბეტონზე... ჰეჰეჰე, „შემოღამება მთა-წმინდაზე“, „მთანმინდის მთვარე“... სადაა მთვარე!

სამის ნახევარი რომ გათავდა, მანქანის ხმა გავიგონეთ. მერე ვილაკამ გაიარ-გამოიარა საფლავებს შორის, მიმოიხედა, და ზვერა იქაურობა და ისევ გაქრა. ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა, ახლა ერთი პუტკუნა მილიციონერიც ახლდა. ჩვენ აქედან სულ განაპულუბი მივიჩნებოვართ, ალბათ თვალც არ დამინახამებია რამდენიმე წუთს, სანამ ისინი ჩუმად საუბრობდნენ.

დინჯად ლაპარაკობდნენ, მშვიდად... საფლავის ამომთხრელებს არ ჰგავდნენ... და უცებ ვიცანი ის მისული - ხელის მოძრაობით ლაპარაკისას, თუ რა ვიცი, კიდევ რითი... ვინ იყო, იცით? ვერ მიხვდებით: ვინ და, სანამ ეროვნული მოძრაობა მხოლოდ გონებასა და სულში იყო გაყურსული, ეს კაცი ხშირად მხვდებოდა ხოლმე რუსთაველზე; უნიკალური პიროვნება გახლდათ: რაიმე წიგნი რომ დაგჭირებოდა კაცს, მისთვის უნდა მიგემართა და რომელ ბიბლიოთეკაში, რომელ ბუკინისტთან, რომელ მალაზიაში, რომელ თაროზე რა წიგნი იდო - ზეპირად იცოდა... მერე გამახსურდა იას პარლამენტში გაიყვანეს და ბოლოს გაყვა კიდევ გროზნოში... მას მერე არც შემხვედრია - სადაა, ცოცხალია, არაფერი არ ვიცი მისი...

ჰოდა, ეს კაცი - გვარი? თქვენ არ იცნობთ მაინც, - ჰოდა, თურმე იმ ჩვენს რეჟისორს ამოუგზავნია ჩვენი ამბის გასაგებად და, ეს აღუგზავნია, რომ ვერ გვიპოვა, სასაფლაოს დაცვას მისდგომია - მომადებინეთო, უთხოვია ჩვენზე.
და მწერალიც, ალბათ, ისეთი უნდა იყოს, რომელსაც ამის გაგება შეეძლება. თორემ ვინმე გრაფომანი ვერც გაიგებს და ვერც დაწერს; ნამდვილად მწერალს ალბათ რაღაცის სულ უნდა რცხვენოდეს, და უმეტესწილად - თავისი კი არა - სხვისი საქციელებსა...
რატომ?... მართლაცადა, რატომ?
მოკლედ, ღამე... მე და ის კამერიანი ბიჭი, სახელი კი არ მახსოვს, მართალი გითხრათ, ჩასაფრებულები ვართ მამადავითის ეკლესიის უკან, ზედ ილიას საფლავის თავზე, ბეტონის კედელი რომ მთავრდება - იქ... ახლა არ ვიცი როგორაა ის კედელი, შეიძლება გაამაგრეს, მაგრამ ბეტონი წვიმის ჩამონადენით უკვე მაშინ კლდეს მოშორებული იყო და სულ იოლად შეიძლებოდა მისი გადმოგრევა.

სამიში იყო, ცხადია, იქ ყოფნა, მაგრამ ეს ერთადერთი ნერტილი იყო, საიდანაც მოჩანდა ის ზედაპირგადაშლილი ქვა. ერთი მტკრით მარჯვნივ და მტკრით იქით კვიპაროსები ეფარებინან.

სიჩუმეა - საოცარი, ამინდი - გრილი. იმ საღამოს მიიღრუბლა და არც მთვარე ჩანდა, არც ვარსკვლავები. ერთადერთი წათურა ანთია საღვაც - ეკლესიის მეორე მხარეს, და მის საცოდავ შუქში ვარაუდით ვარჩევთ არემარეს. კამერაში ხომ - არაფერი ჩანს საერთოდ... ჩართავს ის ბიჭი კამერას, გახედავს „გლაზოკში“, ეს „გლაზოკი“ პროექტორივით ანათებს მის ცალ თვალს, მეტი არ ჩანს არაფერი... მერე გათორთავს კამერას - აკუმულატორის უფრთხილდება, თან გადასაღებიც არაა არაფერი, და რომც იყოს - არ გამოჩნდება... გლაპარაკობთ ჩურჩულით, იშვიათად...

გახდა თორმეტი საათი, პირველი... ორიც... მეგვიცადა მაგარად, ოქტომბრის ბოლო... კიდევ კარგი, სვიტრები გვაქვს წამოღებული და ჩავიცვით, მაგრამ არ მველის საქმეს, რადგან გაუწმენველად ვწევართ ცივ ბეტონზე... ჰეჰეჰე, „შემოღამება მთა-წმინდაზე“, „მთანმინდის მთვარე“... სადაა მთვარე!

სამის ნახევარი რომ გათავდა, მანქანის ხმა გავიგონეთ. მერე ვილაკამ გაიარ-გამოიარა საფლავებს შორის, მიმოიხედა, და ზვერა იქაურობა და ისევ გაქრა. ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა, ახლა ერთი პუტკუნა მილიციონერიც ახლდა. ჩვენ აქედან სულ განაპულუბი მივიჩნებოვართ, ალბათ თვალც არ დამინახამებია რამდენიმე წუთს, სანამ ისინი ჩუმად საუბრობდნენ.

დინჯად ლაპარაკობდნენ, მშვიდად... საფლავის ამომთხრელებს არ ჰგავდნენ... და უცებ ვიცანი ის მისული - ხელის მოძრაობით ლაპარაკისას, თუ რა ვიცი, კიდევ რითი... ვინ იყო, იცით? ვერ მიხვდებით: ვინ და, სანამ ეროვნული მოძრაობა მხოლოდ გონებასა და სულში იყო გაყურსული, ეს კაცი ხშირად მხვდებოდა ხოლმე რუსთაველზე; უნიკალური პიროვნება გახლდათ: რაიმე წიგნი რომ დაგჭირებოდა კაცს, მისთვის უნდა მიგემართა და რომელ ბიბლიოთეკაში, რომელ ბუკინისტთან, რომელ მალაზიაში, რომელ თაროზე რა წიგნი იდო - ზეპირად იცოდა... მერე გამახსურდა იას პარლამენტში გაიყვანეს და ბოლოს გაყვა კიდევ გროზნოში... მას მერე არც შემხვედრია - სადაა, ცოცხალია, არაფერი არ ვიცი მისი...

ასეთი უწყინარი ჭკუის კაცი იყო, აბა...

რომ ვერ გვიპოვნეს - ნავიდნენ. მოკლედ, არ მოხდა ის ამბავი, რისთვისაც ავედით... და კიდევ კარგი, რომ უფალმა ამ ამბის ნახვას ამარიდა... ამას ახლა ვამბობ, თორემ მაშინ... ისტერია იყო-მეთქი, ხომ ვთქვი, არა? კი, ისტერია იყო.

ნავედით-მეთქი, ვუთხარი კამერას და გამოფერთხდით ჩვენი სამალავიდან; სიცივისგან აკანკალელებული ჩამოვდით ეკლესიასთან, გავუარეთ სამორიგოს და ფანჯარაში შევიხედე; დაძვარა ეს ჩვენი მომავალი პარლამენტარი მილიციელებთან ერთად, გაზეთზე გაუშლიათ პატარა პურ-მარილი - მისხვით და ლავაშით, და სვამენ!

ჩვენს შესვლაზე მილიციელები ცოტა შეფრთხნენ, მაგრამ ამ „ჩვენმა“ გახარებულმა შემოგვიცინა - „სადა ხართ, ბიჭებო, ამდენ ხანს, მეგობრა აღარ ამოხვიდოდით!“

გავბოთი, აზრზე მოვედით, მერაბ კოსტავას შესანდობარი

ნურად), ძალიან კარგი (იტალიურად)

არა, არა, ბატონო ჯენ... გმადლობთ, ყველაფერი რიგზეა, კარგად ვარ... გმადლობთ... მაგრამ, მე ახლა უნდა დაგემშვიდობოთ... გმადლობთ და ...

დაააა, ბატონო ჯენერი კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, მშვენიერი პრეზენტაციაა, არაჩვეულებრივი საღამო გამოვიდა, პრესა, ტელევიზია, შესანიშნავი პრომოუშენია, შემოიძლია გითხრათ... მე მგონი, სპონსორებიც კმაყოფილები არიან თქვენი ორგანიზაციული ძალისხმევით... და... ნახვამდის... ხვალ ვერა და, ზეგ პროექტის სრულთარგმანს მოვართმევთ...

თქვენი მანქანით? გმადლობთ... კი, პაატა, თქვენი მძღოლი, როგორ არ ვიცი... გმადლობთ...

გმადლობთ... გმადლობ...თ, გმად...

უჰ, მორჩა მგონი... ნორმალურად ჩაიარა ყველაფერმა... ახლა მანქანაა... აგე, პაატა... ჰეჰ, ალა პუ-

იზა კინიკაქე

სულ მალე ჩრდილებად იქცევიან დღეები (არც ისე) შორეული, ანმეოსთან ნარსულის ხიდები მორღვეული...

ხიდს აქეთ - გაკვალული ბილიკები, ხიდს იქით - გზები მრუდე, რიბირაბო, არ ვიცი, იქ, გადაღმა ვინ ვიქნები,

რომ მომავლი? ხანდახან სიფხიზლის სამძიმარი, ხან სიზმრის ცხადი ვარ ელეგია, ლექსებიც ტვირთივით

ჩემებია. ხიდს აქეთ - მომძიმარი მამაჩემი...

ხიდს იქით - ოცნებები ნაგერალა...

რაღაც წლებმა წაიღო, დანარჩენიც, დამენანა...

ნარსულის ხიდები - მორღვეული, მომავლის ბილიკები -

რიბირაბო... ისე ძალიან არ შევიცვლები, ვერ მომავლი!

ჩამორღვევია ჩემი სოფლის საყდარს ქვის ყორე, ბუნდოვნად მოჩანს ყრუ კედელზე სახე მაცხოვრის.

დიდხანია აქ სანთელსაც არავინ ტოვებს, აქ მხოლოდ ღმერთი შერჩენია თავის საცხოვრის...

მონატრებია ცეცხლის ალი ხატებთან კანდელს, უნაგისგან ნახრავს, რა ხანია ზეთი აკლია,

ცივმა ქარებმა სამრეკლოზე ზარს ხმა დაუხშეს, ძველი ხმაურის, ახლა მხოლოდ კვალი ატყვია.

სანამ მთლიანად დამხოვია ძველი ქვის ყორე და ამჩნევია კედელს ბაცი სახე მაცხოვრის,

სანამ გიორგი შეკაზმულ ცხენს ალვირს უსწორებს, სანამ გუმბათებს მივუსწრებდეთ პირქვე დამხოვნილს...

მოდი, ნავიდეთ, ვიქცეთ ისევ სოფლის ხიზნებად, ჩაყვართ ვაზი, ვლენოთ კალო, ვნუროთ ზეღამე...

და სანამ ღმერთი თავის სახლში გამოფხიზლდება, უძღები შვილის აღსარება ვნუროთ მე და შენ.

რა ვუყო, უკვე დარღვეულ მარხვას და გადასახულს უკუღმა პირჯვარს?

რა ვუყო, ცრემლებს, ჩუმად რომ ვყვარავ, ზურგით, რომ დამაქვს, რა ვუყო იმ ჯვარს?

მითხარი, ღმერთო, რა ვუყო ეზოს, უმამო სახლს და უანგინ

ჩემი გაუბაცდა ჭერმის ხეს ჩერო და ძველებურად რომ მაინც მიყვარს?

რა ვუყო დედას, ობლებს რომ გვზრდიდა, ღამღამობით რომ გლოვობდა მამას?

და რომ ზამთარმა დაიწყო მიმკამის თმაზე, მითხარ, რა ვუყო ამას?

რა ვუყო, და-ძმის მამიან სიზმრებს, და მათ ძარღვებში ჩემი სისხლის ხმას?

რა ვუყო, მათი თვალების ისრებს, ჩემკენ მომართულს, სულს რომ მისრისავს?

რა ვუყო, ჩემში გაჩენილ ხანძარს, გადამწვარ ხიდებს... ნაგრძნობ

სიხარულს... ვნებებს, რომ კრძალვით ვუსინჯავ მაჯვას და დანის პირზე ვცდილობ

სიარულს? რა ვუყო ცოდვას, მე ბროლის ჭალის ნატარებს...

როცა ქვრივს ქოხში ერთო ჭრაქი და მსუყე ზღაპრებით ზრდიდა

პატარებს? ღმერთო, შენ ოლონდ, შვილების თვალებს,

არ მომინატრო მზე და მზის დარი, მე გადავიხდი დარჩენილ ვალებს გადავიხდი და მერე მითხარი...

რა ვუყო, უკვე დარღვეულ მარხვას, და გადანერილს, უკუღმა პირჯვარს?

გოლგოთამდე, რომ გატარებინე, ოლონდ, მითხარი, რა ვუყო იმ ჯვარს?

ნეტავ, იმ ღამით რას ფიქრობდი, ჩემო მარიტა, როგორ გეძინა, ან რანაირს, ხედავდი სიზმრებს, იმ ღამით...

როცა ნასიზმრები დილით გესროდნენ ვიდრე ტალახიან ქვებსა და სიტყვებს?! გაგისხლეს ალბათ სიზმრად ბაღში ბრონეულები, უფსკურლის პირას აგვიძენეს ქვისგან სამრეკლო, გტკიოდა ჯვარაც დასამტვრევი ალბათ მუხლები, გოლგოთამდე რომ შენთან ერთად

უნდა გაეძლო. ჩემო მარიტა, ღმერთმა უწყის, რა უფრო გტკენდა,

ნასროლი ქვა თუ ქვაზე უფრო მძიმე მზერები, თუ ის პერანგი, ჭუჭყიანი ტანზე რომ გეცვია, სუღარა შენი უსიცოცხლო მკვდარი ვნებების.

შენი ჯალათი, ციციკორე, მომკვდარა ნუხელ, უნახავთ თვალზე ცრემლებით და ხელში ხატითა,

შენი საფლავის მიწა, თურმე უნვაგდა მუხლებს, ბრონეულები - ხელისგულებს, ჩემო მარიტა!

ქოლგა გაგიცვითა წვიმებმა კაბა გაგისუნა დარმა, ჩემო ბერიქალა, ფუფალა, როგორ დაგაბერა დარდმა?! იქნებ სულ არ იყო ისეთი, ვისზე ოცნებებიც გწვავდა. იქნებ, სხვა შიოლა ცხოვრობდა სადღაც, დარდიანი სვამდა ღვინოს... იმ ღამის სუბნაში შენ რომ (სულ ძალიან!) გგავდა.

კედელდაზარული, კიბეხავსიანი, ლობემორღვეული, ბოქლომქანგაიანი... ფერით უღიმღამო სახლი, კაციანი ნეკნით უნაკლოდ და ფიქრებნაკლიანით...

... მერე თვარაიანი ღამე უძილო და ძნელად დასათმობი დილა ქალიანი...

კედლები მთლიანი... ფანჯრები მზიანი... ღვინო უზადლო და პური მადლიანი...

სახლი ფარდიანი... ქალი ჟღალთმიანი... კაცი ფიქრუნაკლო ნეკნით ნაკლიანით.



მხატვარი იაგო ნიკოლაქი

ვთქვით და - უკვე დილის ექვსი საათი იწყებოდა - ნამოვედით...

ისე თენდებოდა, ზღაპარივით... მოღრუბლული იყო და ნელ-ნელა ამოდიოდა სიბნელიდან თბილისი. გინახავთ განთიადი მთანმინდიდან? მეც არ მენახა... და მერეც აღარ მინახავს.

მილიციელებმა გამოგვაცილეს - სიონამდე ჩამოგვყვინენ, რაკი უკვე აქ იყო გადმოსვენებული კოსტავას ცხედარი; სახთლები ერთად დაფუნთეთ - მილიციელებმა, კამერაინმა ბიჭმა და მე.

მეორე დღეს იყო გრანდიოზული დაკრძალვა... დიდი, სახალხო, საზეიმო გლოვა...

რა ბრძანეთ ბატონო ჯენ... არ მისმენდით?

ეგ არაფერი... ის კი არა, ძალიან კარგი, რომ არ მისმენდით...

კიდევ კარგი რომ არ მისმენდით....

ოლონდ... აი, თუ შეიძლება, აგერ მოსულა და, ჩვენს პარტნიორთან, ბატონ ვერმეერთან პირადად წარმადგინეთ, ძალიან მადლობელი დაგრჩებით... უხერხული ხომ არ იქნება?... არა ხომ?

დაიხ... Yes, Mr. Vermeer, I'm so happy to meet you. Please, tell me, who is Vermeer for you?...

Sorry?... Aah, really... You are Vermeer, Mr. Vermeer... You are Vermeer... indeed... Very pleased, Mr. Vermeer, very pleased,

და ამასთანავე, Zehr angenehm... Enshante.... Encantada.... Va bene... და ასე შემდეგ...

(მისტერ ვერმეერ, ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით; მითხარით, ვინ არის თქვენი ვერმეერი?... როგორ ბრძანეთ?... ააჰ, რასაკვირველია! თვითონ თქვენა ხართ ვერმეერი, მისტერ ვერმეერი... ძალიან სასიამოვნოა (ინგლისურად), ძალიან სასიამოვნოა (გერმანულად), ძალიან სასიამოვნოა (ფრანგულად), ძალიან სასიამოვნოა (ესპან-

გაჩოვა ჩაურთავს და უსმენს... გამარჯობა, პაატა... არა, უკან დაფუნდები, აქ მიჩვენია, დინამიკებიც ხომ უფრო ახლია...

კი, ჩემთან სახლში და მერე ისევ აქ დაბრუნდი...

"Жизнь невозможно повернуть назад, И время ни на миг не остановишь..."

ეჰ, მაგარია... „Старинные часы - свидетели и судьи“... რა კარგი მომღერალია, როდინდელი სიმღერაა და... რა კარგად მღერის ეს ოხერი, არა, პაატა?

პაატას თვალები უციმციმებს - სარკიდან მიყურებს:

- ჩემი ძმაკაცის მამას ნაბურჯგნი ყავს... ნაღდს გეუბნები, ძველი ამბავია... მაშინ ვერ არავინ იცნობდა ალას და რესტორანში მღეროდა ეგა; ჩემი ძმაკაცის მამა მაგარ მაყუთს ღუნავდა მაშინ, ერთი ჩემოდანი ფული თავზე დააყარა თურმე... მაგარი კაცი იყო, შარშანდინ მოკვდა...

ბატონო ჯენერი, ბატონო ჯენერი...

კარგი ბიზნესმენი ხარ შენ ალბათ; ახალგაზრდა, ენერგიული, კომუნიკაბელური... ესეც იცი და ისიც გაგეგება; შორს ნახვალ, შორს!

მე კი, ახლა მივალ სახლში, მივეფერები ჩემს ბიჭს, რომელსაც უკვე სძინავს; მერე მანანა გამიწყრება, რომ ბევრს ვეშუაობ, რომ არავითარი და არანაირი ფული არ ღირს ჯანმრთელობად, რომ თავს უნდა მოვუფრთხილდე... მე კი მანაც დავეჯდები მაგიდასთან, მაგრამ ვერ ვიმუშავებ...

ვერ კი არა, არ ვიმუშავებ! განგებ არ ვიმუშავებ, რომ არ დავეწერო არაფერი ეს... და ვიცი, მენდომება, რომ სახლიდან გავიქცე სადმე...

მაგრამ ეს - ხვალ დილამდე - მარტო ხვალ დილამდე გამყვება... ვიცი... პირველად კი არ მომდის... ხვალ ეს გამივილის...

ხვალ ეს ისევ გამივილის... გამივილის, აბა რა... ხვალ ხომ სამუშაო დღეა.

გიორგი ზუბინაშვილი

ლიტერატურა — 2024-ის გამარჯვებული

კავკასიური სურათი

ამოღებულდნენ ძირითადები - უქარგეს მინას მზითვის კაბანი და გული ჩემი, გაუმთელეები, სიმუნების ცეცხლით ჩამონახანი, მკვდრებით აღდგა და სიცოცხლე იგრძნო, გამაგდა, როგორც მდინარე მთების: ეს თვალწარმტაცი სამოთხე, ვინძლო, ფერია მადლის და მოკრძალების. მთანი დნებანი ღვარა-ცრემლებად, ხევი ეღვარება თუნგი სპარსული... და ამ სამოთხის გასამუქებლად არსაით არ ჩანს თეთრი ასული.

* * *

მთებში რომ თეთრი ჩადგება ნისლი, ხევი რომ ძერა გაჰკვივლებს ძერას, გაითოშება ძარღვებში სისხლი და ჩანგი ჩემი დაინყებს ჟურას! აჟღერიალდება სიმი იმისი, ხმას მომაგონებს დიდგორის ხმალთა და გაიღვიძებს ჩემში სინდისი კვლავ გადუხდელი სამშობლოს ვალთა!

ამოიხრებს სიმი ქართულად, საუკუნეთა ვარამს დამძახებს, დავთარს გადმიშლის სართულ-სართულად და საქართველოს ჩემსას მანახებს! ხმა იღუმალი გაარღვევს დუმილს, როგორც დრო-ჟამი ციხის ქონგურებს

და საქართველოს სიცოცხლის ზარი იმედის ძალით დაიჩონგურებს! ჩანგის ხმა ჩემი მოივლის ტაძრებს: ყინვისის, ალავერდს, სამთავისს, ხახულს,

იმ ყორნაშალზეც ჩახიხარხარებს, სად ქვა ინახავს წარწერას ქართულს!

სად კელაპტრებით შავი კედლები გაუაღია მახვეწნართ გუნდებს, იმ წმინდა კედლებს შევეკედლებით, როგორც მშვენიერა ფრთათეთრა ხუნდებს!

კვლავ ჩემი ჩანგი ჟღერით ქართულად, საუკუნეთა ვარამს დამძახებს, დავთარს გადმიშლის სართულ-სართულად და საქართველოს ჩემსას მანახებს!

ჩანამღერი

კვლავ შემოდგომის ამინდებია... ყვავილო, მზე რად გაითავისე, სათქმელი განა რა დავრჩენია, ოქტომბერში რომ გაიმასე?! შენ ისე მოხველე, ჩუმად, უბრალოდ, თითქოს ინანე ვინმეს დათმობა და ახლა იმას ეძებ, უგალობ, რომ უწინდელი უთხრა თანხმობა... მაგრამ, ყვავილო, საცაა თოვლი დააფენს მინას ბამბის ფიანდაზს და იგი გეტყვის ცივად, უდავოდ, რომ მოსვლა ძლიერ დაგაგვიანდა.

თეთრი იასამანი

გზის პირას თეთრი იასამანი, პატარძალივით რომ იკეკლუცებს, ჩვენ შორის ცივი ჩადგება ქარი და ყოველივეს წაიღებს უცებ... ჩემი სიმღერა აღარ გაგათბობს, შენი ძახილი ჩემთან არ მოვა, და თუ აქამდე ქვეყნად მზე იყო მზე ჩავა, ცაზე მთვარე ამოვა! შენ სხვათა სოფლის მკვიდრი

გახდები, მე კი სხვა სოფელს შევრჩები მკვიდრად, სხვისი ოცნება სხვასთან ახდები და იგი ამით იქცევა მდიდრად! და გავიხსენებთ ერთმანეთს ბოლოს (აკიაფდება სული ობოლი), როდესაც თეთრი იასამანიდან ჩამოვარდება ბოლო ფოთოლი!

გახსოვს ქარები ქალთადარები, მიუკარები და ნისლთა გროვა? ან წვიმით სავსე შავი თვალები და გაზაფხულზე საყვარლის გლოვა. გახსოვს ის მთები?... ცეცხლის ამნთები

დარდთა და დარდთა ლამაზი ხროვა? თვალთგან მიმქრალი ათინათები და ლანდი მისი, ვინც მიგატოვა?! გახსოვს ლამენი - ჟამი ჩანგისა, ან თეთრ მათათაზედ მთვარე მთრთოლვარე!

ოცნება? - მსგავსი ფარშევანგისა, დანაცრებული და მგლოვიარე! გახსოვს ყოველი, ყოველი გახსოვს, ყოველთა ამას ვერ შევლიე.. მით თოვლისდარად წუხილი გათოვს - ამოუხსნელი ევანგელიე.

ნისლში გაშლილა ალაზნის ველი, თოვლიან მთიდან ხმა ისმის ზევის, წივის არწივი - მთების ბატონი და ხევისპირზედ შროშანი ყვავის! გალმა ცხენების მარულას მოჰგავს, ჩამოქროლილი სერებზე ქარი, გული კი რალაც სხვაგვარად ბორგავს,

დაჭრილი როგორც წითელი ხარი! ჯავრი, ვით ბარდი ისე გახშირდა, სულში მიძვრება, ვით კირში გველი, ცხოვრება ამაღ ღირდა? - არ ღირდა!

არაფერს ვნატრობ, არაფერს ველი და მაინც მხიბლავს ალაზნის ველი... თოვლიან მთიდან ხმა ისმის ზევის, წივის არწივი - მთების ბატონი და ხევისპირზედ შროშანი ყვავის!

- აბა, ცხოვრების სიზმარო, შენი დალანდვა რა იყო?! მხოლოდ მზე ამომავალი, ჩამავალმა რო წაიღო?! თუ გაზაფხულის მშვენიერა, წყალგაღმა მყვლის ყვავილი, აბორგებული მდინარე, ტყეში ხარ-ირმის ბლავილი?! ზამთრისპირულის ზეობა, ჭალას გუგულის ყვირილი, თუ სევედიანი ქალის ხმა - მისი დაგვა და ტირილი?! იმ ქალზედ თვალის დადგომა - სიცოცხლისფერი სიკვდილი... თუ თეთრი მთების ჩრდილის ქვეშ სამშობლო ღონემიხდილი?! მრავალი ავ-კარგის ნახვა, მრავალთან ბრძოლა-ჭიდილი, სატაბლე პურის დათესვა, ცოდვის და მადლის ზიდილი?! აბა, ცხოვრების სიზმარო, შენი დალანდვა რა იყო?! - მხოლოდ მზე ამომავალი ჩამავალმა რო წაიღო!..

ნოემბრის მწუხრი. ჩემი სოფელი. გარეთ სიო ქრის და წვიმის ჩარგა... დაეშვა მთვარე, როგორც ღრუბელი და ჭიუხებში გადაიკარგა. მე კი უბრალოდ, ვით მონა მეფეს, ბინდი მეხვევა საბნად და ნოხად... ამ დამეს მოვლევ ლექსთან ჭიდილში და ეს მეყოფა გულის საოხად!.. გარეთ კი დგანან ბრონეულები, ნისლი იღვრება მთებიდან მთებში... ასეთ ყოფაში ტკბილი წარსული, მძიმე ლექსებად შემომრჩა ხელში!

ინო გულა

ღამევილოვა

ივლისია და თოვს ჩვენს ქუჩაზე ხეებს ნისლივით აცვიათ თეთრი, მუჭაში ბლარტი ჩავიბლაუჭე, შენი გულივით ციცქნა და ცხელი. ბარდნის და ბარდნის გვირილებით, ისე წმინდად და ისე ლამაზად, რომ გულმა ურჩმა კვლავ ჩუმის ფიქრით ქათქათა ფანტელს შენ მიგამსგავსა. შენ ის თოვლი, ხარ გვიან რომ მოდის და დავინყება არ იცის, არ ა, წვიმა რომ არის შეუპოვარი, შენ იმ ღრუბლების ცრემლებსაც ჰგავხარ. დამშვიდობება მე არ გამომდის. არ მიყვარს, როცა ვილაცას ვკარგავ, თუმც, რაც არასდროს ყოფილა შენი იმას დაკარგვით ხომ ვერ დაკარგავ? თოვს და თოვს თანაც ისე უმანკოდ, დაგენანება ამის არ ნახვა, მუჭას გავეხსნი და გამოსალმებით თვალს გავაყოლებ იმ ჩიტს, ფარფატას.

ღელილო

ღელილო, შენი თვალები მე ზღვათა ლელვა მგონია, მათში ჩახედვა ღიმილით მზის გაბრწყინების სწორია.

ღელილო, შენი სახელი მე სულის საზრდოდ მქონია, შენს კალთას ისე ვემთხვევი, თითქოსდა ხატის ტოლია. ღელილო, ისე მიყვარხარ, სიტყვით ვერ აღწერ, მგონია, შენ გაზაფხულის მოსვლა ხარ და ვარდისფერი თოლია.

ველად ვძებნე, ვერ ვიპოვე, სანუკვარი გზა და კვალი, ტყე-ტყე ისე გავიჭერი, გონს არ მივეც საფიქრალი. მოვიარე კუნჭულ-კუნჭულ, გალაქტიკა დავიპყარი, მაგრამ სულმა ვერ იგემა გაზაფხულის წმინდა ბზანი. ყველაფერი მახადია, თითქოს არც მაქვს რამე ბრალი, მაგრამ რაც კი გამაჩნია უაზროა, წარმავალი. დაიცლება მალე თასიც, შემოკლდება ძლიერ გზანიც, არაფერი თურმე არ მაქვს მე იმქვეყნად წარსატანი. ხორცსა და გულს დავემონე, ავიც არა უარყვავი, ჩემზე მეტად სხვა გავტანჯე, მისი სისხლიც აუგვყავი. ცხვირწინ მიდგას, რასაც ვეძებ, მეუბნება: „გამომყვი“, მაგრამ ვაგლახ, ჩემო თავო, ერთად იქმენ ყრუ და ბრმაი.

ღამით როდესაც მტოვებს ზმანება მთვარეს, თეთრ ღამეს შენზე ვუყვები, ღმერთს ვეკითხები შენზე ხანდახან იმის იმედით რომ დაბრუნდები. ხანდახან მაშინ, როცა მარტო ვარ შენზე ბუნებას ვესაუბრები, ისიც შეიგრძნობს შენს სიღიადეს, შენზე ოცნებით ჩვენ ერთად ვტკბებით. ღმერთო, შეხედე, რა ლამაზია შენი თითებში ნაძერწი თიხა, ნუთუ მასშია შენი ალერსი, მთელი სამყარო რომ ჩაიტია. ასეთ თვალბეჭდვებზე ბერძნებს თურმე ბევრი ლეგენდა უთქვამთ ოდესღაც

და, აი, დღეს მე ვუცქერ სასწაულს მარგალიტებით მორთულ შავ გუგას. როცა თვალები ერთმანეთს ხედება სამყარო ჩემთვის ყირაზე დგება, ასე მგონია რომ ჩვენ ერთმანეთს ამ ცხოვრებამდე შევხდით ფარულად. მე ვერ გავბედავ შენთან საუბარს, სიჩუმე უკვე ყოვლისმთქმელია, მაგრამ იცოდე, ავად რომ გავხდე, ჩემი განკურვნა შენი ხედვითა. მე გაბრაზების არ მაქვს უფლება და როცა გული ბრაზით ივსება, როცა ქარები რისხვით დაქრიან, როცა მსურს თავი ვნებით ვიფერო, ბინდი შემეპყრობს, ისე მწაღია. და მაგონდება... და მაგონდება... რომ გაბრაზების არ მაქვს უფლება და გულში ვკრძალავ ამ ოხვრის ბუდეს, სულის სიმტკიცე დიდად მაკლია. უსამართლობის მძიმე ჯაჭვები, თავის აწყვეტას რომ მიქდიან, მომაგონდება უფლის ცხოვრება, თუ რა ტკივილი გარდუტანია. და ამ ვნებებით, სისხლის დუღილით, ცხარე ცრემლებით და მოთმინებით ჩურჩულით ვამბობ და გულში ვფიქრობ: „მე გაბრაზების არ მაქვს უფლება“.

არ მითხრას ახლა შენმა თვალებმა, რომ არც კი ახსოვს ის შემოდგომა, რომ სიცრუეა, რაც კი ვიგრძენი და დაივიწყოს გულმა წამება. ახლა რომ იყოს მაისის დღია, გული ჩიტვით კვლავ მიფრთხებოდეს, იცი, ვერ ვხვდები, რა უფრო მტკივა, რომ დამივიწყე თუ დაგივიწყე. ალბათ ესაა გზის დასასრული. ეული დავალ ქუჩებში ისევე და ისიც ვიცი, რომ ველარასდროს ვერ აყვავდება ჩემი ნუშის ხე.

გონება ჩაქრა, თითქოს მე მოვკვდი, თითქოს საერთოდ არც მიცხოვრია რაც კი ვიგრძენი, რაც კი შემეხო, ქარს გავატანე, ასე მგონია. ახლა არც ვფიქრობ, ახლა არც კი ვგრძნობ, ჭიები ღრწინან ამ გულის ატლასს და ვხედავ ჩემს თავს... და ვხედავ ჩემს თავს...

უგუნურს სადღაც შორს, მტვერში მავალს. ბინდდება გონი და ვერც კი ხედება, ამ მტვერში ასე სანწყლად რადა დგას? რატომ იზიდავს სხეულს წყლულები, თავისუფლება რატომ არა სჭამს?! და ხედება გული და მორცხვად მალავს, რომ სიხარული არ იცის, არ ა, ტანჯვა რომ უნდა, რომ ურჩევნია ბრძოლის ყიფინს და სიხარულს მარადს. რომ მოკვდა მაშინ, როცა დაკარგა, რის ძებნას ცდილობს მარად და მარად, რომ მან სიცოცხლე ვერ დააფასა და რომ ყოველ წუთს უაზროდ ფლანგავს. ჩამორეკს ზარი... ჭკნება თვალები, სასონარკვეთა არ ვარგა ახლა, იმ სუსტ ხელებში ოდესმე იქნებ გამოანათოს კვლავ ჩუმმა ძალამ. ბუნება გატყობს მაინც სიცრუეს, რომ სინანული არ გწენავს, გბლაღავს, დროებითია ეგ ყველაფერი რომ სიბინძურე გხიბლავს და მალავ. არ დაიღვრება პირი ლაყბობით ეს ლექსიც ლაყბობას წააგავს ახლა, ფერფლად იქცევა ჩემი გრძობები მხოლოდ სიტყვები დარჩება ალბათ. ვერ გავამართლე ვერვის იმედი და მოლაღატე მიწოდა გულმა, დადის კარდაკარ მზე მობრწყინარი კარის გამღები კი არსად არა ჩანს.

მაგა ეფრაიმი: „დასავლეთს სჭირდება აღმოსავლეთი და აღმოსავლეთს - დასავლეთი“

პირველი გვერდიდან

აღმსარებლობის ადამიანი ცხოვრობს, მისი არამატერიალური კულტურის საფუძველია ადამიანი. ადამიანის ცხოვრება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ვექტორების გადაკვეთად, ერთგვარი ჯვრის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ, სადაც ჯვრის ვერტიკალური ნაწილი გამოხატავს კაცის ურთიერთობას იესო ქრისტესთან; ხოლო ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი წარმოგვიდგება ადამიანის სოციალური, მინიერი ცხოვრებისა და ქველმოქმედების სიმბოლოდ. ეს ხატი, რომ ადამიანი ჯვრისმაგვარი არსებაა, გვიცავს, ერთი მხრივ, ფუნდამენტალიზმისგან და, მეორე მხრივ, სულიერებისგან დაცლილი ჰუმანიზმისგან. კაცისთვის ღმერთთან ურთიერთობა, თუ ის მხოლოდ ვერტიკალური ვექტორის ერთგული იქნება, შეიძლება, ფუნდამენტალიზმისა და ფანატიზმის წყარო გახდეს. მოყვასის სიყვარული და სოციალური მსახურება კი, რომელიც ღვთაებრივი ფასეულობებით არ არის ნასაზრდოები, მინიერ განზომილებას ვერ გასცდება. ვფიქრობ, რომ ადამიანის ცხოვრება ორ, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ, განზომილებაში ვეროპულური ცივილიზაციის დაბადების წინაპირობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

- დღეს ევროპა ისევ ამ ქრისტიანულ ფასეულობებზე დგას?

- ევროპამ თუ ქრისტიანულ ფასეულობებზე უარი თქვა, ის „პოსტევროპად“ იქცევა. ქრისტიანული მსოფლმხედველობა გადამწყვეტია ჭეშმარიტი თავისუფლების გაგების საკითხშიც.

- რა არის ჭეშმარიტი თავისუფლება?

- არისტოტელეს თქმით, ადამიანი თავისუფალია და მისი პირადი საქმეა, თუ რას მოიმოქმედებს. პავლე მოციქული გვთავაზობს იუდეურ-ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ მოსაზრებას, რომ თავისუფლება ამქვეყნიურ, მინიერ საწყისებზე (პრინციპია) გამარჯვებაა. ის მიიჩნევს, რომ ცოდვაში მყოფი ადამიანი, რომელიც მინიერ ზრახვებს ემონება, არ არის თავისუფალი. პავლე მოციქული ჭეშმარიტი თავისუფლების გარანტიად მტკიცედ რწმენას გვისახავს, როცა ამბობს: „თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, მტკიცედ იდექით და ნულარ დაიდგამთ მონობის უღელს“ (გალ. 5,1). იმისათვის, რომ ადამიანმა განიცადოს ჭეშმარიტი ღვთითობობებული თავისუფლება, უნდა მოახერხოს ამ ცნების ჭეშმარიტებასთან შერწყმა. ჩემთვის თავისუფლება ნიშნავს სწორედ მის ჭეშმარიტებასთან ერთობას.

- რა არის ევროპული ცივილიზაციის ყველაზე დიდი მონაპოვარი?

- ვფიქრობ, ზემოხსენებული პრინციპი ადამიანის ცხოვრების ვერტიკალურ-ჰორიზონტალური განზომილება და ის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის წინსვლაზე პასუხისმგებელმა პირებმა უარი თქვეს „ძალაუფლებაზე“ და საზოგადოების სამსახურში ჩადგნენ. შედეგად ადამიანი არასდროს რჩება მარტო განსაცდელის პირისპირ, ის ცხოვრების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილია. და თუ ის

საკუთარი ძალისხმევითა და რესურსებით ამას ვერ ახერხებს, საზოგადოება კისრულობს მასზე პასუხისმგებლობას. ეს ამბავი, ისევე, როგორც ბევრი სხვა ჯანსაღი ინიციატივა, სახარებისეული ფასეულობებიდან მოდის, რის მიხედვითაც ადამიანი არის მიზანი და არა - საშუალება, მოქალაქე არის ის, „ვისაც უნდა ემსახურო“ და არა - „ძალაუფლების წყარო“.

- როგორ ფიქრობთ, მოინახება საერთო ენა დასავლურ და აღმოსავლურ ეკლესიებს შორის?

- იყო დრო, როცა ჩვენ 1000 წელი ერთად ვადიდებდით იესო ქრისტეს ერთ „წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში“.

მიუხედავად განხეთქილებისა, უნდა ითქვას, რომ დასავლეთის კათოლიკურმა ეკლესიამ პირველ ათასწლეულში, ვიდრე ჩვენი ეკლესიები ერთნი იყვნენ და ერთი წმინდა ბარძიმიდან ეზიარებოდნენ, შექმნა ისეთი სულიერი და სამონასტრო ტრადიცია, რომელიც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია მთლიანი ქრისტიანული სამყაროს სულიერი მემკვიდრეობისათვის. ამ სულიერი გამოცდილებისა და საგანძურის ერთობლივი კვლევა ჩვენს ეკლესიებს შორის ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლის საწინდარი უნდა იყოს. ჩვენი ცენტრიც სწორედ ამ საქმეს ემსახურება. აუცილებელია საერთო ენის პოვნა; დასავლეთს სჭირდება აღმოსავლეთი და პირიქით.

მეორე მხრივ, დღეს ევროპას აქვს პლურალისტური დემოკრატია, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი თუ იდეა. მაგრამ პლურალისტური დემოკრატია, სადაც ღმერთის ადგილი აღარაა, შეუძლებელია ჩაითვალოს ჭეშმარიტ დემოკრატია. ცარიელი დემოკრატია ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სიმტკიცეს, ჩვენი პლანეტისა და ადამიანის დაცვასა თუ პატრონობას. ეკონომიკური და პოლიტიკური სიმტკიცე ყოველთვის არ კმარა საზოგადოების სტაბილურობისათვის. განიცდის რა საზოგადოება ფინანსურ თუ პოლიტიკურ კრიზისს, საფრთხის წინაშე დგება რიგი ფასეულობები, რომელთაც მარადიული, ტრანსცედენტული საფუძველი არ აქვთ და რომელიც ჭეშმარიტებით არაა გამყარებული. ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ნამდვილი ქრისტიანული ფასეულობების არსებობა და მარადიულის დროში შემოყვანა. ამ საქმეში ყველა აღმსარებლობის ქრისტიანებს ერთად გვეკისრება პასუხისმგებლობა, რომ საზოგადოებას მარადიული ფასეულობები შევასხენოთ.

ამ ყველაფერს უკეთ გავეუმკლავდებით, თუ საერთო ენას გამოვნახავთ დასავლურ ეკლესიებთან. ისტორია მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ რაც საქართველოს აკავშირებს ქრისტიანულ ევროპასთან უფრო მეტია, უფრო ძლიერია, ნამდვილია, აზრიანი და რწმენისეულია, ვიდრე ის, რაც მათ ერთმანეთისგან გამიჯნავს.

ესაუბრა
თაა ფარულავა
2025 წლის იანვარი, ვენა

ბია სოფიანი

თოვლით დაჩხანნილი კასი

დიდი ხნის წინათ, ერთ-ერთი ზამთრის საღამო ხანს, ბებიაც, დედაც, ჩემი და-ძმა ბუხართან რომ იყვნენ მიმსხდარი, ფანჯარასთან პატარა სოფლურ სკამზე მდგარი, სიტბოსგან დაორთქილ მინაზე ჩემთვის უცნობ ხაზებს ვავლებდი თითოთ. იმ ხაზებიდან ეზო ნაწილ-ნაწილ ჩნდებოდა, ნაწილ-ნაწილ დანმენდილად, მაგრამ ჩემი ნახაზები მალე ერთქლებოდა, ისევე იბურუსებოდა ეზო, თუმცა ხატვა გამიტკბა. ისევე და ისევე ჩნდებოდნენ ახალი ხაზები ხან თითოთ, ხანაც ცხვირით. ცხვირით უფრო სასიამოვნო აღმოჩნდა ჩემი გატაცება, ცივი მინა მესიამოვნა. გარეთ გემრიელად ბარდნიდა, დღისით ნათოვს თანდათან ეტყობოდა ამალეობა. ჭიშკრამდე გაყვანილი ბილიკზე ნაკვალევი აღარ ჩანდა.

საცაა მამაც უნდა მოსულიყო. სამსახურში ცვლას საღამოს ამთავრებდა. მისი დანახვა სხვებზე ადრე მომინდა, ამიტომაც არ ვმორდებოდი ჩემს სამხატვროს. ჩემები ყურადღებას არ მაქცევდნენ. ბებია რაღაც ამბავს ჰყვებოდა და გატრუნული იყვნენ. ცეცხლი ტკაცკაცებდა ბუხარში.

თეთრი საღამო იყო. საათის ცნობა ახალი შესწავლილი მქონდა. რომ გავხედე კედელზე მონიკნიკე ყუთს, წესით ჩამობნეულბაც ახალი დაწყებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეზოში მდგარ ბოძზე ანთებული ფანარი და თოვლი ამ წესს არღვევდნენ.

არ იყო და არა, არ გაიღო ჭიშკარი. ხატვასა და წაშლას კი ვაგრძელებდი ხან თითებოთ, ხან ცხვირით, მაგრამ არც თვალებს ვასვენებდი, წარამარა გამირბოდა მზერა ჭიშკრისკენ. სხვა დროს ასეთი რამ არც მომიფიქრებია. არც გუშინ, არც გუშინწინ, მით უმეტეს უფრო ადრე.მამაჩემის მოსვლას ჩემების ხმაზე ვგებულობდი, აივანზე იცოდა ხოლმე ჩემების დაბაკუნება, ისე მივეჩვიე იმ ხმას თუ ბაკუნს, ნამდვილად მამაჩემი რომ იყო მოსული, იმწამსვე ვგრძნობდი. შეიძლება სახლში შემოს-

ულს კისერზე არ ჩამოვკიდებოდი, მაგრამ ჟრუანტელივით მივლიდა ხოლმე ტანში სითბო და ესეც მკმაროდა ბედნიერებად. თანაც რომ ვიცოდი, ხელცარიელი არ მოვიდოდა, ყოველთვის მოჰქონდა ჩვენთვის სასუსნავი და კარის გაღებისას იქეთკენ მიცქიტინებულ თვალებს უცებვე ჰქონდათ წყალი დალუული, სითბო კი არა, მგონი, მუსიკაც დარბოდა სხეულში.

ისევე გავხედე საათს. ეზო-ჭიშკარსაც. ვფიქრობ - მატარებელი უკვე მოსულია. ნუთუ, არ მოუყვანია მამაჩემი? ხატვაც აღარ გამომდის და ერთიანად ვწმენდ მინას, უკვე მკლავითაც. ბებიაჩემი ისევე ლაპარაკობს.და-ძმას დედაჩემის კალთაში აქვთ თავი ჩადებული. როგორ მინდა ჭიშკარი გაიღოს, პირველმა მე დავინახო მამაჩემის შინელი!

ერთხელაც გავწმინდე მინა და გაიღო ჭიშკარი. შემოვიდა ეზოში შინელიანი კაცი - მამაჩემი. მთავარი არ გამომპარვია - ცალ ხელში კარგა ჩამონელი ბადურა ეჭრა. გვერდულად ბარდნიდა. ნელა მოდიოდა. ქუდი შავი, მუხლებზემთამდე შავი უამრავფოლაქებიანი შინელი, ჩემები შავი და დახრილი თოვლი, ანთებული ფანარი. მოდიოდა შავ-თეთრი ადამიანი, შავ-თეთრი კაცი, შავ-თეთრი მამაჩემი...

ნახევარ საუკუნეზე მეტია ეს სურათი არ განდევნილა გონებიდან. ამ ბოლო დროს თითქმის ყოველდღე დამიდგება წინ. არ მიდის, არ მცილდება. არადა, რა არის ამ სურათში განსაკუთრებული, რომ შემეკითხოთ, ვერ გიპასუხებთ. მოდის, ის ჩამონელი ბადურა ისევე უჭირავს ხელში, ის შინელი აცვია, ის ჩემებიც, ის ქუდი ახურავს, ისევე თოვს ლინცრად, ისევე ანათებს ფანარი, ბუხარში ისევე ანთია ცეცხლი, და-ძმას დედის კალთაში ჩაუდევთ პატარა თავები, ბებია ისევე ლაპარაკობს, მეც ისევე ფანჯარასთან ვარ მიმხობილი და სპირ-ხშირად ვწმენდ დაორთქილ მინას...

ბაბიის შეპონათვალი

მეშვიდე კლასამდე ფეხებში მენეჯი, ბებია. არ მომიცლებიხარ. განსაკუთრებით ზამთარში მყავდი ჩალუნულელებული. რომ შემომიწყობდი ცივ ფეხებს, ცოტა კი მეჯუჯურაკებოდა, მაგრამ უკეთესს ვის ვავაბობდი, ვის ფეხებს დავკოცნიდი და მოვეფერებოდი!

სულ დაგავინწყდი, ბიჭო?! სულ ამოგეშალე თვალებიდან?!

ახალი წამოსული რომ ვიყავი მაქედან, ხანდახან იცოლი ამოკითხვა; ყველაფერი მესმოდა, მკვდარი კი ვიყავი, მაგრამ ყურს კი არ დამკლებია, შენ რომ იცრემლებოდი, არც ჩემს თვალებს დადგომია კარგი დღე.

რაც დაგიბარე, წამოსვლის წინ, დაგავინწყდა?

ბევრი არაფერი მომითხოვია. რა იქნებოდა, ბებია, დეკემბერი რომ დადგებოდა, მერე, ერთი კვირა ნაკვერცხალი წამოგედო, ფეხებისკენ ამოგეთხარა მინა და ჩაგედგა იქ, გალიგვებული ვნევიარ მთელი ზამთარი, არ შემორჩილება არც ფეხი, არც ხელი. ჩამოდგამდი იმ კეცს, ილულუნებდა ნაკვერცხალი, გავთბებოდი, ბებია, ცოტა ხანს მაინც გავთბებოდი.

ღმერთმა იცოდეს, არ დამინწყევლ-

იხარ. გულმოსული კი ვარ, მაგრამ რა ვქნა! არც აკვირინესთან მოდიან შვილიშვილები, არც ბუთიასთან, არც ანეტასთან...მაგარი სიცივეა, ბიჭო, ზამთრობით. ჯანდაბას გავიყინო და გავჩიჩინდე, მაგრამ რომ მცივა, ველარ ვფიქრობ, ძალას ვერ ვატან აზრს. მე, ბებია, მაქ ადგილი გავაცარიელებ, ავტოტოუსიდან ჩასულივით ვარ, თორემ შორს კი არ წავსულვარ, ისევე მიყვარხართ სუყველა, გათვალისწინებთ. ზამთარში ვერც ამას ვაკეთებ, ვიყინები.

ბიჭო, შენ ახლა დიდი კაცი ხარ, ქვეყანა გიცნობს, ჩემი შეტყობილობით ისევე მოუცლელი და მოუსვენარი დადიხარ. ღმერთმა ასი წელი ნუ მოგიყვანოს აქეთ, ბებია, მაგრამ ბუხარში ცეცხლს რომ აავიზგიზებთ და ჩვენებურ ჯირკს ნაკვერცხლები დაცვივა, ცოტა მაინც წამოდილე, დიდები შეარჩიე, სინითლე რომ ულაპლაპებთ, ისეთები. სხვას არ გამოატანო, მხოლოდ შენი ხელით ჩამოდგმული კეცი გამათბობს. ჩამოდგი და წადი, ბებია, იარე ქვეყნიერებაზე ცოცხალმა, არაფერი ყოფილა ამ სიარულზე უკეთესი, ახლა ვხვდები ამას, მაგრამ იმდენი მინა მაყრია, სად მაქვს ამის ამოხეთქვის თავი!

კითხვები უკრაინის და მოსკოვის მიმართ

საერთაშორისო ებრაულ თავყრილობებზე ზოგჯერ კონფლიქტური სიტუაციებიც კი იქმნება ხოლმე, თუმცაღა, ვიდრე დამაპირისპირებელი საკითხის განხილვა დაიწყებოდა, ამა თუ იმ ქვეყნიდან ჩამოსული ებრაელების ცქერა, იქნებ, საამოც იყოს, ერთმანეთს მეგობრული შეხვედრებით, ხვეწვანა-ალერსით ხვდებიან სამხრეთ ამერიკიდან თუ კავკასიის ქვეყნიებიდან, რუსეთიდან თუ გერმანიიდან ჩამოსული ებრაელები. ასე რომ, ვიდრე საკითხების განხილვა დაიწყება, ჩვეულებრივ, მართლაც ერთი ერის შეილები არიან და აღსატყუებენ გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს ებრაელობა ერთობ შეკრული კონსოლიდირებული ერთი. მაგრამ... მეჩვე ამ თუ იმ ქვეყნის მოქალაქეებზე იქცევიან და მე ღიმილი მერევა, ვხედავ: ერთიმეორისაგან უფრო განსხვავებული, იქნებ, დამაპირისპირებელი იდეების მატარებელი ერთი, ვიდრე ებრაელობაა, მეორე არ მეგულება. ამის სათავე ამ ერის პლურალიზმში იღებს სათავეს. იქნებ, ეს პლურალიზმიც იყოს მიზეზი იმისა, რომ მის ნიაღში ამდენი რამ ახალი იხადება. ტყუილად არ არის ნათქვამი, იქ, სადაც ორი ებრაელია, სამი მოსაზრება არისო, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სწორედ ამ საერთაშორისო ებრაულ თავყრილობებზე იჩენს ხოლმე თავს: აი, განხილვა ანტისემიტის საკითხი ყოფილ საბჭოთა კავშირში და ორი ებრაელი ერთი საათის წინ ერთმანეთს რომ ეხვეოდნენ, ახლა ორ დაპირისპირებულ ძალად ქცეულა. მოსკოველი მიშა ფრიდმანი მიიჩნევს, რომ კიეველი მიშა ფრიდმანი იტყუება, როცა ამბობს, რუსეთში ანტისემიტის არისო, აი, კიეველი მიშა ფრიდმანი კი სიცილით კვდება მოსკოველი მიშა ფრიდმანის განცხადებაზე, რუსეთში ანტისემიტის არ არისო, მეჩვე წამოდეგება და ისე გაკიცხავს მოსკოველი მიშა ფრიდმანი კიეველ მიშა ფრიდმანს, აქ რომ პუტინი იჯდეს, ისიც კი ეტყვის, ცოტა დაინდევ, ასე როგორ შეიძლებაო.

რამდენი წელიწადია, საერთაშორისო ებრაულ თავყრილობებზე შევცქერი აზერბაიჯანისა და სომხეთის ებრაელთა წარმომადგენლების შეხვედრებს; არ მახსოვს შემთხვევა, ბაქოელ ფრიდმანს გულგრილად მოესმინოს ერეველი მიშმანის განცხადება, ან ხმამაღლა შესძახებს რაიმეს, ან ვინრო წრეში გააქილიკებს, გამოთქვამს საინააღმდეგო აზრს.

ამ ათიოდე წლის წინათ ვამინგტონში მეც ამ დღეში ჩავვარდი: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნიებიდან ჩასულ ებრაელებს გვხვდებოდნენ. რუსეთის წარმომადგენელმა ერთმა მეცნიერმა ქალბატონმა საკმაოდ ნეგატიურად ისაუბრა საქართველოზე, მის კურსზე, ხელისუფლებაზე (მეჩვე შევიტყვე, რომ პარტია „ედინაია რუსისას“ წევრი ყოფილა). ცხადია, შევეცამათე, კამათი ისე გამწვავდა, რომ სახდების წარმომადგენელი, ერთი ძვალმსხვილი კაცი, შეეცადა ჩვენს შორის კონსენსუსის მიღწევას, მაგრამ ფრიდმანმა აბრაამოვნა არ ცხრებოდა, არც გურამ აბრაამოვიჩი აპირებდა „ედინაია რუსისას“ პროექტის მიღებას – არ ვეპუებოდი და სახდების იმ წარმომადგენელს დიდი გარჯა მოუწია.

ორიოდ თვეში ის კაცი საქართველოში ჩამოვიდა, როგორც აშშ-ის ელჩი და იმ დაპირისპირებას ღიმილით ვიგონებდით.

ამასწინათაც ასე იყო, იერუსალიმში, როცა რუსეთის ებრაელობის წარმომადგენელს ენადა აფხაზეთის ებრაელობა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის წევრი გახვდა, არ შევეპუეთ, არ დავუთმეთ, აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, საქართველო კი გახლავთ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის წევრი ქვეყანა, ე. ი. აფხაზეთიც, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, და თუ ამას იზამთ, მე ქუდს დავიხურავ, აქ არაფერი მესაქმება-მეთქი.

ასეა, კიეველი მიშა ფრიდმანი უპირისპირდება მოსკოველ მიშა ფრიდმანს. რუსეთელი ფრიდმანი აბრაამოვნა „ამ ქართველ“ გურამ აბრაამოვიჩს. ამ დროს კი კიევსა თუ მოსკოვში რომელიღაც პეტია ან ვასია ფიქრობს: „რა უნდათ ამ ფიდეებს!“ იმასაც კი შესძახებს – „ბეი ფიდე!“ ჩვენთანაც არიან ასეთი პეტები და ვასიები: რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედების წინა დღეებში ერთ-ერთ ტელეეთერში ჩინებულ ინტელექტუალსა და პიროვნებაზე, სააკაშვილის მთავრობის მინისტრ თემურ იაკობაშვილზე მოვისმინე ირონიით ნათქვამი: „აი, იაკობა წყვეტს ჩვენს ბედს!“ არადა, ეს „იაკობა“, მისი წინაპრები, როგორც მოქა-

ლაქები, საქართველოს ისე ემსახურებოდნენ, იმ ბედოვლას არც მოელანდებოდა. ეს ჩვენი ბედია და უნდა შევურიგდეთ? რატომ?!


ღრაპატურის პლინი

მიხეილ შატროვი – ელიტარულ საბჭოთა დრამატურგს, რომელსაც დრამატურგიაში „გამოჩენილ ლენინოლოგს“ ეძახდნენ, მანამ ვიცნობდი, სანამ თბილისში ჩამოვივლი. 70-იან წლებში ქუთაისის ლადო მესხიძის სახელობის თეატრის დაკვეთით მისი ორი პიესა ვთარგმნე – „ბოლო შევიკება“ და „ქეპის ივლისი“. მართალია, თეატრის სურვილითა და საჭიროებისათვის ვთარგმნიდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მანამდე გულგრილი ვიყავი შატროვის დოკუმენტური დრამატურგიის მიმართ. ამ პროცესს ჩემი გულისყურიც ახლდა თან. შატროვის ამ დოკუმენტურ პიესებში ჩემთვის ბევრი რამ იყო საყურადღებო: დოკუმენტური დრამატურგია ძლიერ მიზიდავდა და მიზიდავს. მაინტერესებდა ეს ჟანრი

გურამ გათიანული

სახეები და სიზუსტიები

(ღრაპატურის ჩანაწერები)



და თუ სადმე ნაჯანყდებოდი, ყურადღებით ვცნობოდი, ვსწავლობდი.

მიხეილ შატროვი ვლადიმერ ლენინის ირგვლივ მიმდინარე ამბებს, სხვათა და სხვათა მოგონებებში მოქცეულ რეალურ სიტუაციებს, საგაზეთო ქრონიკას, არქივებში მთვლემარე დოკუმენტებს, ძალიან გონივრულად, შემძობლია ვთქვა, ერთობ ისტატურად სვამდა დრამის ქსოვილში. მართალია, დრამატურგი ამ ხერხს უმეტესწილად იმისთვის მიმართავდა, რომ ჩვენ, კითხველი, მაყურებელი დავერწმუნებინეთ, თუ როგორ „ფრთაშესხმული ანგელოსი“ გახლდათ ოქტომბრის რევოლუციის ბელადი, მაგრამ მე ლენინის სახის შატროვისეული გააზრება კი არ მაინტერესებდა, წინასწარ ვიცოდი, როგორი იქნებოდა იგი, ვცდილობდი ჩავნდომოდი დოკუმენტური დრამის შექმნის ტექნოლოგიას. იმას, თუ როგორ, რა გზებითა და საშუალებებით აღწევდა დრამატურგი მიზანს. დოკუმენტური დრამის ჟანრში ვმუშაობდი და ვესწრათფოდი პიესაში დოკუმენტი ისე გამოიყენებინა, მკითხველს „ნაკერი“ არსად შეემჩნია. შატროვი იმას ჩინებულად აკეთებდა, დოკუმენტი პიესის ორგანული ნაწილი გახლდათ, ნაწარმოების დინამიკაში დოკუმენტალისტიკა ისე ერთვებოდა, კითხვისას უკან ვბრუნდებოდი, ნაკითხულს ხელახლა ვკითხულობდი, რომ „გადაკერებული“ აღმომიჩინა, გამეკვივა, სად, როგორ შემოვიდა დოკუმენტალისტიკა. შატროვის დრამატურგიის ზეამოცანა საყოველთაოდ გახლდათ ცნობილი – ლენინის პიროვნების იდეალიზაცია.

ამბობდნენ, მიხეილ შატროვი კრემლის რომელიღაც ფუნქციონერის, ლენინის თანამებრძოლის, შვილიშვილია და დოკუმენტებზე ხელი მიუნდებოდა, მაგრამ ერთი ფაქტების, დოკუმენტების ცოდნა და სულ სხვაა ამათი დრამატურგიაში კარგად გამოყენების ტექნოლოგია. მე ერთიც მაინტერესებდა და მეორეც.

1986 თუ 1987 წელს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის თეატრის მოღვაწეთა კავშირის პირველი დამფუძნებელი ყრილობა. ერთ-ერთი სხდომის დამთავრების შემ-

დეგ მიხეილ შატროვმა მითხრა: ერთსაათიანი შესვენებაა, ჩემს სახლში გადავირბინოთ (ყრილობა კრემლის ყრილობათა სასახლეში ტარდებოდა), იქ კიდევ შევჭამოთ და ჩემი პიესების ახალ კრებულსაც გაჩუქებთო. ნავედით. იქვე ახლოს ნაცხოვრება, კრემლის შემოგარენში. მისი აპარტამენტების გრანდიოზულობით გაოცებული დავრჩი.

რობერტ სტურუამ რომ რუსთაველის თეატრში მიხეილ შატროვის პიესა „ლურჯი ცხენები ნითელ ბალახზე“ დადგა, ავტორი პიესის „ჩაბარებაზე“ ჩამოფრინდა. „ჩაბარებაზე“ ჩინებულად ჩაიარა, რაფერი უჩვეულო, მოულოდნელი არ მომხდარა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თეატრალურმა სამყარომ სპექტაკლი კარგად მიიღო. უცნაური კი ის იყო, შატროვმა რომ განაცხადა, ხვალ შუადღისას მოსკოვში უნდა ვიყო და დილაადრიან უნდა გაფრინდეთო. პრემიერას როგორ არ დაესწრებთ-მეთქი, გამიკვირდა. არ დაიშალა. გაფრინდა. ორი თუ სამი დღის მეჩვე პრემიერაც გა-

იმართა. მომდევნო საღამოს დამირეკა, პრემიერამ როგორ ჩაიარაო. ვუთხარე, როგორც ჩაიარა, მშვენიერი სპექტაკლია, მაყურებელმა ჩინებულად მიიღო-მეთქი. მთავრობას რა რეაქცია ჰქონდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მდივნები თუ იყვნენო. მაშინ ამ შეკითხვებისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. რამდენიმე ხნის შემდეგ შოთა რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ მოსკოვს გაემგზავრა. ვგონებ, მცირე თეატრის სცენაზე თამაშობდნენ სპექტაკლებს.

ერთ დღეს არცთუ მოულოდნელი ხმა დაირხა: „ლურჯი ცხენების“ წარმოდგენაზე მივიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე შაურო და ქართული თეატრში დიდი ბეზადის სახის დამახინჯებულად წარმოდგენის გამო აღშფოთება ვერ დამალაო. მეორე დღეს კი გამაოგნებელი ინფორმაცია მოდის: მიხეილ შატროვმა განცხადება დანერგა რუსთაველის თეატრში ჩემი პიესა არასწორად არის გაგებული და დადგმული, გასტროლებზე ამ სპექტაკლის მეტად ნახვა აღარ მიწადაო.

ამ ამბების მეჩვე მივხვდი, თუ რატომ არ დარჩა დრამატურგი პრემიერაზე. მეჩველა გავამახვილე ყურადღება პრემიერის მომდევნო ღამეს მის მიერ დასმულ შეკითხვებზე მთავრობის, ცუკას წევრების აზრი რომ აინტერესებდა.

სპექტაკლი მოეწონა, არც დაუფარავს, მაგრამ იცოდა, თუ რა სულსკვეთება ტრიალეზდა კრემლში, იცნობდა რა კრემლის კულტურულ ცხოვრებას, გამოიცნო, თუ როგორ რეაქცია შეიძლება ჰქონოდათ ამ სპექტაკლის მიმართ და ალიბი შეიქმნათ: თბილისში პრემიერისათვის ჩავვდი, მაგრამ პრემიერაზე არ დავრჩი, ალბათ, მიხედვით რატომაცაო.

ასეა, კიეველი მიშა ფრიდმანი უპირისპირდება მოსკოველ მიშა ფრიდმანს. რუსეთელი ფრიდმანი აბრაამოვნა „ამ ქართველ“ გურამ აბრაამოვიჩს. ამ დროს კი კიევსა თუ მოსკოვში რომელიღაც პეტია ან ვასია ფიქრობს: „რა უნდათ ამ ფიდეებს!“ იმასაც კი შესძახებს – „ბეი ფიდე!“ ჩვენთანაც არიან ასეთი პეტები და ვასიები: რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედების წინა დღეებში ერთ-ერთ ტელეეთერში ჩინებულ ინტელექტუალსა და პიროვნებაზე, სააკაშვილის მთავრობის მინისტრ თემურ იაკობაშვილზე მოვისმინე ირონიით ნათქვამი: „აი, იაკობა წყვეტს ჩვენს ბედს!“ არადა, ეს „იაკობა“, მისი წინაპრები, როგორც მოქა-

განხილავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ცისა ფერს“ ბორის პასტერნაკისეულ თარგმანს და საინტერესო ტენდენციას ავლენს: ხშირად ნაგვიკითხავს სტატიები ქართული პოეზიის ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმანის თაობაზე, რომლებშიც უმეტესწილად გამოთქმული გახლდათ სიხარული (აღფრთოვანებაც კი!) იმის გამო, რომ ქართველი პოეტი რუსულ, პუშკინის, ლერმონტოვის ენაზე ითარგმნაო. აქ კი აღფრთოვანება და სიხარული კი არ არის გამოთქმული, არამედ გაანალიზებულია თარგმანის რაობა და კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ თარგმანში დაკარგულია დედნის თავისებურება, ლექსის დედააზრი. კრიტიკოსი წერს: „დასკვნა ასე შეიძლება გამოითქვას: ბარათაშვილის ზესწრაფვა, მისი ტრადიციული ალბეჭდილი ლექსი რუსულ ენაზე ლურჯი ფერის ამქვეყნიურ ხალისიან ზოგად აპოლოგიად იქცა. ბარათაშვილის ზეგრძობადი სამყაროსაკენ დაუკლებელი სწრაფვა პასტერნაკთან შესუსტებულია და მხოლოდ აქა-იქ შეინიშნება, რაც მნიშვნელოვანწილად აკლავს ლექსს რომანტიკულ პათოსს. ამიტომაც რუსული ვარიანტი უფრო უღერადი, ორიგინალური ლექსია, ვიდრე მაღალმხატვრული თარგმანი. ეს უფრო პასტერნაკია, ვიდრე ბარათაშვილი“

მთარგმნელობით ხელოვნებაში ეს საკითხი არ ახალია. დიდებულ მთარგმნელთა მეტი წილი სათარგმნი ლექსის მოტივებზე ახალ პოეტურ რეალობს ქმნიან.

კარგია ეს თუ მიუღებელი? ერთმნიშვნელოვანი პასუხისგან თავს შევიკავებ, თუმცა, ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, მაინც პასუხად შეიძლება ჩაითვალოს. ახალი პოეტური რეალობის შექმნა (კუდი რატომ უნდა იყოს, მაგრამ როცა ადამიანი ამა თუ იმ ენაზე ითარგმნის ამა თუ იმ პოეტის წიგნს გადაშლის, მისი უმთავრესი სურვილია, გაეცნოს სწორედ ამ პოეტის სამყაროს, მის თავისებურებას.

ეს უფრო პასტერნაკია, ვიდრე ბარათაშვილიო, ასკვნის კრიტიკოსი. მკითხველს ბარათაშვილის გაცნობა რომ ენადა? პასტერნაკი რომ ჩინებული ოსტატი გახლდათ, ეს მანამდეც ვიცოდიო, აი, ბარათაშვილი კი ვერ გაიცნო.

ამიტომ მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ როგორია ეს ტენდენცია, როგორია როცა მთარგმნელი პოეტის ლექსის მოტივებზე ახალ პოეტურ რეალობას ქმნის.

თეატრის რევიზია

დღეს უკანასკნელ გზაზე გავაცილებთ თემურ ჩხეიძე, დიდი მემორიული, დიდი პიროვნება. უაღრესად კრისტალური ადამიანი და მეგობარი, პიროვნება, რომლის საზომითაც განვიხილავდი ზნეობის, ღირსების რაობას ჩემში, თუ გარემომცველთა შორის. ეს დღეები თვალს ვავლებ ჩვენს ლამის ორმოცწლიან ურთიერთობას და ხინჯი, ერთი მისხალი ნეგატიური ვერ ვიპოვე. ვკვირობ, ამ აზრდულ დროში როგორ იცხოვრა ისე, რომ შეძლო, შეენარჩუნებინა დიდი ადამიანური თვისებები და დარჩა იმად, როგორცადაც აღიზარდა, ერთობ თავმდაბალი იყო, თვითკრიტიკული. სპექტაკლს რომ მოეწონებოდათ, შევუქმდებოდა, „კარგი ერთი, ამას იმიტომ ამბობთ, რომ ძმაკაცები ხართ!“

თემურის მრავალი შემოქმედებითი გარჯვების მოწმე ვარ. ერთი მათგანი კი სულ თვალწინ მიტრიალებს: გასული საუკუნის მინურულს მოსკოვის სამხატვრო თეატრში „ჯაყოს“ პრემიერაზე ჩავედით. სპექტაკლის შემდეგ საქართველოდან ჩასულნი ფოიერი ვიდექით. დარბაზიდან გამოსული რუსული თეატრის დიდი მოღვაწენი მიხეილ ჯავახიშვილისა და თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სიღრმით მოხიბლულნი, რომ დაგვინახავდნენ, ჩვენთან მოდიოდნენ, აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ, „მადლობა, ქართველებო!“ იჩუქებდნენ კიდეც (ინოკენტი სმოკტუნოვსკი).

თემური სამშობლოს განმადიდებელი იყო, თავისი მოღვაწეობით, შრომითურ ქვეყანას ადიდებდა. ჩვენს დროში სამშობლოს თუ ვინმე გაუნია დიდი სამსახური, ერთ-ერთი პირველთაგანი თემურ ჩხეიძეა.

გულდაკოდილნი ვართ, თუმცა, ნათლად ვხედავთ თემურს, როგორ მიეგება კოტე მარჯანიშვილი: მადლობა, ჩემი დაბადების დღეს რომ მოხვედით და გვერდით მოისვა.

გულდაკოდილნი ვართ, მაგრამ დღეს თემურის ცხედართან რომ მისი სიტუდენტები ლაპარაკობდნენ, იმედის სხივი ჩნდებოდა, ღმერთმა ინებოს და მათს სულეში გაცოცხლდეს ის, რასაც თემური ელტვოდა.

იქ, სადას ბიზნისი აქვს

„ოცდაორი წლის ბიჭი გადაყვანილია საავადმყოფოში, პოლიცია წმინდა და გიორგის ქედის წინ არის განლაგებული, ელოდებიან ბრძანებას, რომ გადავიდნენ შეტევაზე...“

გამხმარ ფოტოებს ვფიქრობდი, ჩაი მინდოდა დამეყენებინა, თან მეგობრის მოლოდინში ვიყავი, მინდოდა მალე მოსულიყო და სიგარეტისა და ჩაის ხერხებით განგვეხილა თბილისის აქეთ და იქით მომხდარი ამბები. ტელევიზორის რომელიღაც არხიდან კი ქალის გაბრაზებული, სასონარკვეთილი ხმა ჩამესმოდა.

„რა ხდება თბილისში?“ ვფიქრობდი ჩემთვის, გახეჭურაზე შემოდგმულ ჩაიდან კი სტვენით თავს იკლავდა. „არადა, პირველი დეკემბერია, ახალი წლის განწყობა უნდა ტრიალებდეს ჰაერში, ერთი ჩვეულებრივი დღეა, მოიცა რა...“

„მივიღეთ ინფორმაცია, რომ დაკავებულია მსახიობი ანდრია მაისურაძე, მან რამდენიმე საათის წინ პირად გვერდზე დაწერა, რომ ბოლო წუთამდე იბრძოლებს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის...“

„ახალი წელი მოდის, ბავშვები ნაძვის ხის დადგმას ელოდებიან პარლამენტის წინ, აბა, რა დროს პროტესტია, ან რას აპროტესტებენ...“ - განვავარძობდი აქეთურებს და იქითურებს ჩემთვის.

მობილურზე მეგობრის ზარი იყო, ის, ვისაც ასე ველოდებოდი.

„ლამის არის გაზმა გამგუდოს, საით დგახარ?“ - მეუბნებოდა დალილი, მაგრამ მაინც მხნე ხმით.

„მოიცა, ჩემთან არ უნდა ამოსულიყავი?“ - გაბრაზებულმა ნითელი ლაკს დავაჭირე და ტელევიზორის წინ მოვკალათდი, აბა, ერთი, რა ხდება ქვეყანაზე-მეთქი.

- ვაიმე, ქალს თავში წიხლი როგორ ჩაარყა ამ საზიზღარმა! - ხმა-მალლა აღვშფოთდი. ორ წუთში, იმიტომ, რომ ჩემს მენტალურ ჯანმრთელობას გაფრთხილებოდი, ტელევიზორი გავთიშე და ტელეფონში სიახლეების კითხვა დავიწყე: „დავკარგე ძმა, ნაცემი, გონებადაკარგული წაათრია პოლიციამ, გთხოვთ დამეხმაროთ!“

„ყველგან პოლიტიკა, კარგი რა! ახალი წელი მოდის...“

ნაცემი ადამიანების ფოტოებს ერთი მეორის მიყოლებით მიგდებდა.

შეხედე შენ, წიგნების მალაზაც კი გადაუჩხრეკიათ ამ საზიზღრებს.

რაო, საბავშვო ბაღთან დედა შვილის თვალწინ დააკავსო?!

ქალი მთანმინდაზე, საკუთარ სახლთან უცემიათ...

რუსთაველის თეატრშიც დაუკავებიათ რობოკოპებს, რაო, ერის ტაძარი?

თურმე ვილაც მაღალჩინოსანი მღვდელს საყვედურობს, ეკლესიაში ქალი როგორ შეუშვი, როცა საცემრად მივსდევდიო?

„რა ამბებია, რა!“ - ვიდეო გავთიშე, - ხატი მდგარ ქალს წყლის ჭავლს ასხამდნენ. გაბრაზებულმა გადავდე ტელეფონი, მაგრამ, აბა,

ყველას ჩვენი ცხოვრება არ გვაქვს, თან ამ სიცივეში?!

დილა იყო... აბა, დილის ძილს რა ჯობია? კარზე კაკუნი იყო. არ ჩერდებოდნენ, გეგონებოდა, რამდენიმე ადამიანის ხელი აკაკუნებდა.

- გავვიღეთ, აქ არიან, გვეშინია...-ახალგაზრდების ხმა ჩამესმა. მეც შემეშინდა და ლოგინს დავუბრუნდი.

გათენდა. უბრალოდ მზის სხივები კვეთდა ფანჯრის მინებს, თორემ თითქოს ისევ ღამე იდგა.

ტელეფონი განუწყვეტილვ რეკავდა.

„საავადმყოფოშია, ნაცემი, მიკროფონი წაართვეს, მერე თავში ურტყეს, მოდი რა.“-ჩემი მეგობრის დედის ტირილში ძლივს ვარჩევდი სიტყვებს.

... და პირველად ვიგრძენი, რას ნიშნავდა სირცხვილი.

სიჩუმე.

მხეცი დამიღდა წინ და თავის ბრაზს ველარ აკავებდა.

და მე ველარ გადავდე, პირველად, ტელეფონი, აღარ ჩავუწიე ხმა ტელევიზორს, ველარ ვსვამდი ჩაის, ველარ ველოდებოდი მეგობარს.

სახლის კარებისკენ წავედი, ვლოცულობდი, რომ ის ბავშვები, დილას აკანკალეხილი ხმით რომ თავმესაფარს მთხოვდნენ, ისევ იქ დამხვედროდნენ, მაგრამ აღარ დამხვედნენ.

ზემო სართულზე მეზობლის ყვირილი გამოდიოდა, ახალგაზრდა კაცი ჩამოჰყავდათ კიბეებზე, უკან კი დედა მოყვებოდა, ვერ გავგო, რატომ ან სად მიჰყავდათ პოლიციელებს თავისი ბიჭი.

ვერ გავამხნევე.

ხმას ვერ ვიღებდი.

მე ხომ გუშინ ჩემს უდარდელ ცხოვრებას ვუფრთხილდებოდი.

ის მხეცი კვლავ მებრძოდა, მაგრამ წინააღმდეგობის განცევა გვიანი იყო.

ზურგზე სირცხვილი დამანვა და ძლივს ჩავუყევი კიბეებს.

ვლოცულობდი მეგობრისთვის, ან ვინ იცის, იქნებ ჩემი თავისთვის, რომ ხვალ ეს მხეცი უფრო არ გამძვინვარებულყო და სირცხვილს უფრო არ დავემძიმებინე.

საავადმყოფოსთან მივედი. მის გვერდით უფრო მეტი უცხო იდგა, ვიდრე მე ან სხვა ახლობელი უნდა მდგარიყო.

და მაშინ მივხვდი, რომ მას არ ემასხოვებოდა არც ეს ტკივილი და არც ეს ცემა,

არამედ ვემასხოვებოდი მე, რომელმაც გამთენიისას ბავშვებს კარი არ გავუღე, ბავშვებს, რომლებსაც სამშობლოს სიყვარულის გამო უწევდათ რუსთაველზე გაქცევა, რათა თავისუფლებამდე მისულიყვნენ.

ანი ზადალაშვილი

ვისწავლოთ, რათა ვიხსოვროთ

მუსიკის ენა და პელიანგიანიკა

ყველა საგანს თავისი ენა აქვს, თითოეული საგანი სამყაროს ამა თუ იმ მოვლენას გამოიმსახვრელი ხერხებით გზით გვიხსნის. მუსიკა მშვენიერების ალქმის, შეუცნობლის შეცნობის ენაა და შინაარსის გადმოსაცემად ორი ან მეტი ენის ცოდნას მოითხოვს: პირველი - მუსიკის ენა თავისი სინტაქსური და მორფოლოგიური სიღრმით, მეორე - მუსიკის ენაზე თქმულის ვერბალური ახსნა და მისი განმარტებები, დანარჩენი - შექმნილი ცოდნის კონტექსტების მორგება ახალ მასალაზე.

სასწავლო პროცესის დასაწყისში რამდენიმე გაკვეთილს ენის გამომსახველი ხერხების ანალიზს ვუთმობ, სხვაგვარად წარმოუდგენელია ავსნა და გავაგებინო მოსწავლეს სტილური თუ ჟანრული მახასიათებლები. ეგზოპეტრის ციტატა „ენა არის გაუგებრობის წყარო“ მასწავლებელს განაწყობს ენის მახასიათებლების ხარისხიანი ცოდნისკენ დაგვემოს გაკვეთილები და სახელმძღვანელოს მასალა დალაგოს იმგვარად, რომ მარტივად და მიზნობრივად მიიყვანოს შედეგთან. მუსიკის გამომსახველი ენის ელემენტები - მელოდია, ჰარმონია, რიტმი, მეტრი, ტემპი, ტემბრი, ფაქტურა, ფორმა, ჟანრი, ბგერა - ცალკე კვლევის საგანია და ენის თითოეული ელემენტი წარმოადგენს საგანთა შორის შემკავშირებელ ხიდს. უსასრულოდ შეიძლება ვისაუბროთ ნაწარმოების ემოციურ და ფსიქოლოგიურ შინაარსზე, ნაწარმოებების განხილვა, ანალიზი, კვლევა კონტექსტებს ეფუძნება, კონტექსტებს კი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად ვართულებთ. ამისთვის, მასწავლებელს აქვს ქრესტომათიული მასალის დამატებით მერჩევის შესაძლებლობა თემის კიდევ უფრო მეტად ღრმად შესწავლისათვის, მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით.

მუსიკის ენის ფენომენზე საუბრით დავინწყე და მედიანიგნიერებაში მის მოდიფიკაციაზე და ინტეგრაციით გავაგრძელებ. ნელს, მქონდა ბედნიერება ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა მეთერთმეტე კლასისთვის. ჩემთვის მედიანიგნიერება მოსწავლეებთან დაახლოვების და ურთიერთობის განსხვავებული და საინტერესო შესაძლებლობა აღმოჩნდა.

თავიდანვე ვიტყვი, რომ ეს საგანი - მედიანიგნიერება - ყველა ხანისგან განსხვავებით, მკაფიოდ გამოკვეთილ უნარებს მოითხოვს, კერძოდ, მოსწავლეს არგუმენტებისთვის, აზრის თავისუფლად გამოთქმისთვის მეტი სივრცე ეძლევა. როცა ფილმის ფრაგმენტს, მედიანიგნიერების რესურსს, ხელოვნების ნიმუშს, ლიტერატურულ ნაწარმოებს, მუსიკალურ შედეგს ვაანალიზებთ, კლასში ხშირად ვიყენებთ ხოლმე მობილურ ტელეფონს ინფორმაციაზე სრულად წვდომისთვის. ტარგეტულად მორგებული აქტივობების დახმარებით მოსწავლეები მარტივად პოულობენ პრობლემის გადაჭრის საინტერესო გზას, რომელიც პროექტზე მუშაობის თემად შეგვიძლია ავირჩიოთ.

გაკვეთილი, რომელიც ზოგჯერ სპონტანურად წარმართება, შეიძლება გახდეს პროექტის იდეის საწინდარი. სწორედ ასე გამოიკვეთა პროექტის ახალი თემა: „ინფორმაციის ენა - ვინ დასვა პირველი კითხვა?“

მეთერთმეტე კლასში თავისუფლად შემეძლო მესაუბრა სახისმეტყველების რაობასა და მნიშვნელობაზე ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ხშირად ვაცნობდი მოსწავლეებს რევან სირაძის „სახისმეტყველებიდან“ მათთვის საინტერესო და კონტექსტურად საჭირო საკითხებს, მით უმეტეს, რომ ამის შესაძლებლობას მათი საბაზისო ცოდნა მადლედა, გავლილი ჰქონდათ ჰაგიოგრაფია, რომელსაც თავისუფლად ვაკავშირებდები ტექსტების დაშიფრვასთან, სიმბოლოების, მეტაფორების გააზრებასთან. „სახისმეტყველებაში“ მოთხრობილია, რომ ქართული ესთეტიკის, მუსიკისა და ლიტერატურის სათავეებში უნდა ვეძებოთ სწორედ ის გზა, რომელიც ინფორმაციას ცოდნად გადააქცევს. მაგალითისათვის მოვიყვანო რამდენიმე საკითხს: ქართული ჩუქურთმა და მზე, მოძღვრება ადამიანზე, საგალობელი, ფრესკა, ტაძარი. გაკვეთილზე ხშირად ვიყენებ პოსტმოდერნიზმის გამომსახველ ენას, ძალიან ნიშანდობლივია ჯემალ ქარჩხაძის წერის სტილური მახასიათებელი, აკა მორჩილაძის „ობოლედან“ თხრობის ჰიპერრეალისტური შეგრძნება. ვერაფრით ვუძალატებდი ნიდეურლანდურ რენესანსს და ხშირად ვმიფრავდი ჰიერონიმუს ბოსხის ტილოებს: „თივის გადატანა“, ტონდო

„კაცობრიობის შეიდი მომაკვდინებელი ცოდვა“, პიტერ ბრეიგელის „ნიდერლანდური ანდაზები“, ეს ხომ „წინასწარმეტყველება“ სამყაროს საზრისზე, ადამიანის როლზე წუთისოფელში. ხელოვნური ინტელექტის როლი უაღრესად მნიშვნელოვანი და ფუნქციური აღმოჩნდა ინფორმაციების, მასალების მოძიებასა და გენერირებაში. მოსწავლეები მუშაობდნენ რამდენიმე AI პლატფორმაზე: Chatgpt.com, Gemini.google.com.app, claude.ai.new, copilot.microsoft.com, app.leonardo.ai.

დეკოდირება, როგორც ინფორმაციის ფილტრაციისა და ცოდნად გადაქცევის ინსტრუმენტი, მოსწავლეებმა არგუმენტირებული ესეების, ფსიქოლოგიური ჩანახატებისა და პოპ-არტის ნიმუშებში პულინგისა და დეზინფორმაციის კვლევის ხერხად გამოიყენეს, საინტერესო შეფასებები და დისკუსიები გაიმართა ფილმის „კლასის წინ“ ირგვლივ.

ჩვენ ყველა ერთად ვიდექით ტურეტის პრობლემის წინაშე და ფილმის შემდეგ ვიარებდით მარტოდ დარჩენილი ადამიანის მდგომარეობას სოციუმში, ვიპოვეთ კიდევ ტურეტის სინდრომის მქონე ბავშვის/ადამიანის დახმარების გზები, ეს გზა ადამიანობის გადაჩენისა და შენარჩუნების გზაა, ჩვენ ყველას გვაქვს უფლება სამყაროში ვაკეთოთ ის, რისი შესაძლებლობები და უნარები გავაჩინია. ტურეტის სინდრომზე მიცემულ დავალებაში, მოსწავლეებმა თარგმნეს და ღია გაკვეთილზე წარადგინეს ანალიტიკური ესე, თუ რა მახასიათებლები აქვს ამ სინდრომს, როგორ შეუძლია ადამიანურმა ფაქტორმა შესასუსტოს სინდრომის სიმძირე და სირთული, როგორ შეგვიძლია ვაქციოთ სინდრომის მქონე ბავშვი სოციუმის ნამდვილ წევრად. შეზღუდული შესაძლებლობა რომ არ არსებობს, ამაზეც ბევრია ნათქვამი მუსიკის ისტორიაში. 13 წლის ლუსის მესრულელებმა ფრედერიკ შოპენის ნოქტურნმა ადამიანებს შეუძლებლის შესაძლებლობა ხილულად დაანახა. ლუსიმ თავისი შინაგანი სამყაროს ილუსტრაციისთვის, სევედის გადმოსაცემად მოკუნის ნოქტურნი ოპ.9, N1 ბ-მოდელ, აირჩია და დღევანდელი ერთ-ერთი დიდი ვირტუოზი ლანგ ლანგიც კი გააკვირვებული დატოვა.

ეს წერილი მედიანიგნიერების სახელმძღვანელოდან წამოვიღე, მინდოდა ყველასთვის გამეზიარებინა მისი პათოსი.

„ვირფასო მასწავლებელო!

მე ცოცხალი გადავურჩი საკონცენტრაციო ბანაკს და ჩემმა თვალებმა იხილა ის, რაც არ უნდა ნახოს არც ერთმა ადამიანმა:

როგორ აშენებენ სწავლული ინჟინრები გაზის კამერებს;

როგორ წამლავენ კვალიფიციური ექიმები ბავშვებს;

როგორ კლავენ სწავლადამთავრებული მედლები ჩველ ბავშვებს;

როგორ ესერან და წვავენ ბავშვებსა და ქალებს უმძალესი დაგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები.

ამიტომაც, მე არ ვენდობი განათლებას!

მე გთხოვთ, დაეხმარეთ მოსწავლეებს, გახდნენ ადამიანები. თქვენმა ძალიანსმევეამ არ უნდა მიგვიყვანოს სწავლული მონსტრების, ნამეცადინარი ფსიქოპათების, განათლებული აიხმანების ჩამოყალიბებამდე. კითხვა, წერა, არითმეტიკა ახლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ეხმარება ჩვენს შვილებს, გახდნენ უფრო

ადამიანურიები!!

საკონცენტრაციო ბანაკში გადარჩენილი სკოლის ერთ-ერთი დირექტორის წერილი სამსახურში აყვანილი მასწავლებლებისადმი“.

საოცარია... ყველა ენის დაუფლება შეგვიძლია ადამიანებს, მუსიკის ენის მედიანიგნიერებაში შელწევამ და ამ ორი საგნის ენათა სისტემების სინთეზმა დამანახა, რომ სწავლის პროცესი უსასრულოა, ძიების და კვლევის გზა ენის სიმბოლოების ამოხსნის გარეშე - შეუძლებელი, სამყაროს უდიდეს სოცოლში კი ჩვენეულ ორნამენტს ვაქსოვთ დიდი პასუხისმგებლობით, სიყვარულით და სიკეთით. ჯონ დიუი ამბობს, განათლება თავად ცხოვრებააო. რახან ასეა, ვისწავლოთ, რათა ვიცხოვროთ!

ინგა ბარამიძე
მუსიკის მენტორი მასწავლებელი

(დასასრული, დასაწყისი „ლიტერატურული საქართველო“ №1 2025 წ)

მე უკვე აღვნიშნე, რომ ეს ნიგნი არ არის უბრალოდ მკითხველის ჩანაწერი, არამედ უაღრესად სერიოზული კვლევაა, სადაც რომანის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოითქვა. მაგრამ ცოდნასთან ერთად, გულწარა კალანდარიშვილის აღმოაჩინა და განსაკუთრებული წვდომის უნარი, შეენიშნა და დაეფასებინა თომას მანის ზეოსტატობის მაგალითები. ნაშრომში მოხმობილია არაერთი პასაჟი რომანიდან, სადაც იკვეთება მწერლის უნარი – სიტყვებით გადმოსცეს მუსიკა.

მაგრამ თავად გულწარა კალანდარიშვილი პატარა შედევრს ქმნის, როცა ის წერს:

– „მკითხველისთვის პერსონაჟის არსებობის უმძაფრესი განცდის უზრუნველყოფა, როდესაც ეს პერსონაჟი (ამჯერად პროტოტიპი) მოცემულ სივრცეში არ იმყოფება და მასზე არაფერი არ მინიშნებს. ასეთი პასაჟები „დოქტორ ფაუსტუსში“ რა თქმა უნდა არის, როდესაც არც ბიოგრაფიული პარალელი სახეზე, არც იდეა, მაგრამ ჩანს ნიციუსის სილუეტი და ისმის მისი სუნთქვა“ (ხაზგ. – ჟ.ს.). (გ. კალანდარიშვილი „ნიციუსის იდეები და პორტრეტი თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“, გვ. 19).

მე ამ პატარა შედევრმა გამახსენა ერთი ხელოვნებათმცოდნის სიტყვები მატისის ფერნერის შესახებ: – „არის შემთხვევა, როდესაც სურათში ჩრდილი სივრცის ფიზიკურ შეგრძნებასაც იწვევს“.

ნიგნის გაცნობის შემდეგ გონიერი მკითხველი ხვდება თუ მკვლევარმა რა ღრმად შეისწავლა ნიციუს ბიოგრაფია, როგორი შტუდირება გაუკეთა მის ფილოსოფიურ თხზულებებს და ლევერკიუნის ცხოვრების ასახვისას როგორი დამაჯერებლობით გამოსახა და როგორ სიღრმისეულად წაიკითხა ფრიდრიხ ნიციუსის იდეებიც, პიროვნებაც და მისი სულიერი გზის სირთულეც.

4. ბრალდების გაუქმებისას კაცობრიობის განვითარების შინაარსი

ამ ნიგნმა ისევ და ისევ გამახსენა რიუკეს სიტყვები, რომლისთვისაც ხელოვნების ნაწარმოების შემდეგი კარგი საშუალოდ მაშინ იგმანება, როცა მას კრიტიკული განსჯით მიუდგები. გულწარა კალანდარიშვილი სწორედ ამ გზის მიყოლით (ისევ გავიმეორებ) ნიციუსს იდევნა და პიროვნებაზე სასაუბროდ მეგზურად თომას მანი აირჩია, რომელიც თანალომით, კრძალვითა და ხელოვნის მძაფრი აღქმით ხატავს და არამც არამც კრიტიკულად არ განსჯის გერმანელ ფილოსოფოსს.

ალბათ ამ ურთულესი მისიის ხაზგასაძლელად თომას მანი რომანს უწოდებს: – „ჩველაზე შეშლილ ქმნილებას“.

რადგან მას მწერალი ნაციუსტური გერმანიის სისხლიანი ისტორიის ღრმა გაზარების, გაცნობიერების სულიერი რეკონსტრუქციის უწოდებდა. თუმცა მკვლევარი, თავისი ნაშრომით უპირველეს ყოვლისა კატეგორიულად ემიჯნება მოსაზრებას, რომ ანდრია ლევერკიუნის ფაუსტუსური გერმანიის სიმბოლოა, რაც ნოდარ კაკაბაძემ რომანის ქართულ გამოცემასთან დაურთო (თუმცა ისიც ცნობილია, რომ ის საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ) და გულწარა კალანდარიშვილი არაერთგზის აცხადებს, რომ ეს არის რომანი გენიალური კომპოზიტორის შემოქმედებაზე. და როცა ის კითხულობს, თუ რატომ აირჩია მუსორგტელმა და ცნობილმა ანტიფაშისტმა თომას მანმა (რომელმაც თვით კნუტ ჰამსუნისა და ეზრა პაუნდის – ფაშიზმის მომხრეების გასამართლებას მხარი დაუჭირა) თავისი რომანის მთავარ მოდელად ნიციუსს და მისი ფილოსოფია? ან რატომ აირჩია ფაუსტის ხალხური ლეგენდის პარადიგმად თავისი რომანის დასაწერად? ეს კითხვები თითქმის გულწარა კალანდარიშვილის ხელში საიმედო საბუთის სახეს იძენს, იმის დასამტკიცებლად, რომ ნიციუსს არასდროს ყოფილა ფაშიზმის წინამორბედი და რომ ამ იდეოლოგიასთან მას არც არავითარი კავშირი ექნებოდა და ის თავად იძლევა ზუსტ და დამაჯერებელ პასუხს, თომას მანის სიტყვებით:

– „(...) სეისმოგრაფიის ისრის მსგავსად, დასავლეთის სამყაროს ამცნო მოახლოება ფაშიზმის ეპოქისა, რაც ჩვენი რეალობა გახდა (...)“ (ი. მანი „ნიციუსის ფილოსოფია ჩვენი გამოცდილების შუქზე“ (ციტ. გ. კალანდარიშვილის ნიგნ. გვ. 10).

ან სხვა ციტატა: – „(...) ფაშიზმი კი არ არის ნიციუსის შექმნილი, არამედ პირიქით, ნიციუსი შედგენილია ფაშიზმისა“. (თომას მანი „ნიციუსის ფილოსოფია ჩვენი გამოცდილების შუქზე“ (რუსულიდან თარგმნა გ. კალანდარიშვილმა, გვ. 10).

მაგრამ იმისთვის, რათა გულწარა კალანდარიშვილის ნიგნის არქიტექტონიკის მთავარ ხერხემალს – მის მაგისტრალურ ხაზს გავეყვით, უნდა შევეცადოთ ანდრია ლევერკაუნის (რომლის პროტოტიპია ფრიდრიხ ნიციუსი) შემოქმედებით გზას ჩავხედოთ და მკვლევარი, თუმცა იმთავითვე ხაზს უსვამს რომანის მრავალთემურებას, მაგრამ ამ შემთხვევისთვის ის რელიგიური ცნობიერების თემაზე ახდენს აპელირებას.

ამისთვის ის შეგვახსენებს ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, კერძოდ, თომას მანმა რომანის პირველ ვარიანტს დაარქვა: „უცნაური ცხოვრება ანდრია ლევერკიუნისა, მისი მეგობრის მიერ მოყოლილი“. ერთი წლის შემდეგ კი ეს უამური ეპითეტი – „უცნაურად იცვლება: – „გერმანელი კომპოზიტორი“ და ცხადია, არც ის უნდა დაგვაინტერესებდეს, რომ ეს ფაუსტუსური რომანია, რომელსაც ნიციუსს რომანსაც კი უწოდებენ.

სათაურის ცვლილება იქნებ ყველაზე ღრმად განმარტავს ამ რომანის შინაარსის არსს, რელიგიური ცნობიერების თემის თვალსაზრისით; კერძოდ, სიტყვა გერმანულზე აპელირება იმთავითვე ძველგერმანულ

ჰაქონ სირაკა

საუბარი ნიციუსზე თომას მანის პეგზურობით

(გულიყო კალანდარიშვილის ნიგნი – ნიციუს ილიაძე და პიროვნება თომას მანის „ლოპოპო ფაუსტუსში“)

თქმულებას ამოატივტივებს ჩვენი ცნობიერებიდან, რომლის თანახმად, ეშმაკთან სისხლიანი ხელშეკრულება დაიდება სამყაროს არსის, ცხოვრების საზრისის შესაცნობად საკუთარი სულის მიყიდვის ფასად. და თუმცა ბიბლიაში ადამ და ევა ცდუნებულ იყვნენ ეშმაკისგან, ცნობადი ხის ნაყოფი დაგემოვნების შემდეგ, რომლის შემდეგ იყო „ცნობიერების გაფართოება“, რასაც მოჰყვა ღმერთთან უშუალო კავშირი, უბინო ცნობიერების დაკარგვა და სამოთხიდან გამოძევება. და მაინც, განსხვავება დიდია, გერმანულ თქმულებაში პიროვნებამ იმთავითვე იცის, რომ ცოდნის საწარმოოდ, სულს ჰყიდის და შესაძლოა სამუდამოდ დაკარგოს კიდევ, ხოლო სიტყვა კომპოზიტორი კი მინიშნებს, რომ ცოდნის ეს გერმანელისთვის – მუსიკის ენაა. ამაზე ინტერპრეტაციას იძლევა ნიციუსი, რომელიც წერს:

– „მუსიკა არის უშუალო ხატება ნებელობისა და ამიტომ სამყაროს ნებისმიერი საწყისის მიმართ მეტაფიზიკურ საწყისის წარმოადგენს, ყოველგვარ მოვლენასთან დამოკიდებულებაში ეს არის ნივთი თავისთავად“. ამიტომაც თომას მანი თქმულებისა და პოემის უდიდეს შეცდომად მიიჩნევდა, რომ ისინი ფაუსტს მუსიკასთან არ აკავშირებს, რადგან გერმანელის, ანუ ფაუსტის დამოკიდებულება სამყაროსადმი აუცილებლად მუსიკალური, ანუ აბსტრაქტული და მისტიკური უნდა იყოს.

და როცა გულწარა კალანდარიშვილი ცდილობს ერთმანეთს განიჯნოს ნაციუსტური გერმანიის ეშმაკთან დადებული ხელშეკრულებისა და ანდრია ლევერკიუნის – შემოქმედის, კომპოზიტორის მიერ დადებული ხელშეკრულების კონტრასტები, ანუ ის ვალდებულად თვლის შეგვახსენოს ეპოქის შინაარსი. და მას მოჰყავს გერმანელი ფილოსოფოსის ოსვალდ შენგლერის სიტყვები:

– „ჩვენ დასავლეთის ადამიანები რელიგიურად დამთავრებულნი ვართ. ჩვენს ქალაქურ სულში ადრინდელი რელიგიურობა დიდი ხანია ინტელექტუალურ პრობლემად იქცა. ეკლესია დამთავრდა ტრიდენტის კრებით, პურიტანიზმიდან აღმოცენდა კაპიტალიზმი, პიეტეზმიდან სოციალიზმი (...) სულს ჩაანაცვლებს ტვინი, ეთიკურს – ლოგიკური, რელიგიურს – ინტელექტუალური პრობლემები“.

და მკვლევარი ყურადღებას მიგვაქცევინებს, რომ ანდრია ლევერკაუნისთვის (და ცხადია, ფრიდრიხ ნიციუსისთვისაც) ეშმაკთან სისხლიანი გარიგება ეპოქის სიბერნიდან, დიდი სულიერი და კულტურული კრიზისიდან, უნაყოფო ხელოვნებისგან გაქცევად შეიძლება ჩაითვალოს. და მაინც, რაში მდგომარეობს ეშმაკის როლი კომპოზიტორ ლევერკიუნის შემთხვევაში? ის მას ეხმარება შექმნას ახალი სტილი, „დაეხმაროს“ მას ახლებური მუსიკის ძიებაში და მკვლევარი ამას უწოდებს – ეპოქის კულტურული ლანდშაფტის ასახვას. და გულწარა კალანდარიშვილი ცდილობს, პარალელი გაავლოს და გოეთეს „ფაუსტსა“ და

თომას მანის ლევერკიუნის შორის, ამისთვის ის ასეთ განმარტებას იძლევა: „გოეთეს ფაუსტი ცხოვრების აზრის ამოცნობისთვის შეეკრა მეფისტოფელს. დარწმუნდა, რომ ეს აზრი კაცობრიობის აქტიურ სამსახურში, ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის ზრუნვაშია, ადრინამა კი ეშმაკის დახმარებით, მართალია, ხელოვნების კრიზისის დააღწია თავი, ესთეტიზმის სამსახურში ჩადა და შემოქმედებითაც გაძლიერდა, მაგრამ ადამიანებზე არ უზრუნია“. (გ. კალანდარიშვილი „ნიციუსის იდეები და პიროვნება თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“, გვ. 90).

მაგრამ ეპოქის კულტურის შექმნისას, თავისთავად ჩაიღო ლევერკიუნის „ზრუნვა“ მის შემოქმედებაში და რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს. ამას გერმანულ კომპოზიტორს ეშმაკი თავზარდამცემი შეხვედრის დროს განუცხადებს:

– „შენ (...) იქნები მომავლისთვის გეზის მიმცემი (...) ყმანვილები (...) შენს სიმღერას (...) სალ-სალათის დანაწევრებთან და მათში შენც ჯანმრთელი იქნები (...)“ (ხაზგ. – ჟ.ს.). შენ არა მხოლოდ ეპოქის შემაფერხებელი სიძნელეებს გადალახავ (...) კულტურისა და მისი კუ-

ლტის ეპოქას-მეთქი. გადალახავ და კანდიერებით აღსავსე ბარბაროსობას ეზიარები. მეორედ დამდგარ ბარბაროსობას, ვინაიდან იგი ჰუმანიზმის შემდეგ, ფესვების ათასნაირი მკურნალობისა და ბიურგერული დახვეწილობის შემდგომ ხელახლა იმეება დამიჯერე“ (თომას მანი „დოქტორ ფაუსტუსში“) (ციტ. გ. კალანდარიშვილის ნიგნიდან).

ნიგნის ავტორი ცდილობს აღადგინოს ლევერკიუნის (ნიციუსს პროტოტიპის) ნამდვილი სახე, რომელმაც მართალია ეშმაკთან დადო ხელშეკრულება, უარყო რა ქრისტიანობა, მაგრამ ადამიანის მალაღ სულთერებას არ ძალუქს წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ღვთაებრივ საწყისს, რომელიც მასში იმთავითვე მოცემულია და ამის ერთ-ერთ მტკიცებულებად მას მოჰყავს პეტერ გასტის მისამართით ფრიდრიხ ნიციუსადმი წარმოთქმული სიტყვები:

– „(...) და მაინც ის (ქრისტი – შენიშვნა. ჟ.ს.) რჩება ჩემთვის იდეალური ცხოვრების ნიმუშად, როგორც კი როდისმე ვიცნობდი (ზავმეობიდანვე ვიცავდი მას ყველგან და ვფიქრობ, რომ გულში მისთვის არ მილაღატია (...))“ (ხაზგ. – ჟ.ს.).

ფრიდრიხ ნიციუსს „ანტიქრისტულ“ კომენტარები (ავტორი – კარენ სვასიანი), ტ. II, გვ. 799. (ციტ. გ. კალანდარიშვილის ნიგნიდან, გვ. 88).

და ნიგნის ავტორი არაერთგზის გულმხურვალე თანაგრძნობას მიყოლილი შეგვახსენებს თომას მანის სიტყვებს, რომ ნიციუსს ორმაგი მიმართება ჰქონდა რელიგიისადმი, თუმცა არ გამოირჩევა „უარყოფილი ღმერთის მონატრებას“.

ამისთვის ის ხელახლა შეგვახსენებს რომანის ტექსტს და ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრაზების მოხმობით სურს ნიგნის ახალი კითხვა შემოგვთავაზოს:

– რომანში რატომ დაემსგავსა ადრინდელი ლევერკაუნის ქრისტეს? და იქვე მოიხმობს ციტატას:

– „ადრინდის შეეცვალა გარეგნობა, მარტივობა და სულიერად ამაღლებულის იერი მიეცა და, ასე განსაჯეთ, ქრისტეს დაემსგავსა“.

ან ის, ვინც ქრისტიანობის წინააღმდეგ დაულაღვად იღვწოდა, რატომ არქმევს ჭეშმარიტად ქრისტიანულ სახელწოდებას თავის ნაშრომს: – „Ecce Homo“.

5. თვალის ახლის შეგრძობა

ნიგნის ღირებულება იმით განიზომება, თუ მას იმის უნარი აქვს, მოიტანოს სულიერი სიფხიზელი, მღვიძარება, ანუ ჩვენი სულთერება ხელახლა შეარხიოს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ მესხიერებაში ჩანეროს ისეთი რამ, რაც ხელახლა და ახლებურად დაგვანახებს იმას, რაც თითქოსად უკვე ვიცოდით.

მეც, ამ ნიგნის ავტორს ასე დამემართა. გავეცანი გულწარა კალანდარიშვილის ნიგნს, ფრიდრიხ ნიციუსს პიროვნება და იდეების თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ და ისევ მწყურვალეობით ხელახლა წავიკითხე თომას მანის აღნიშნული რომანი და როცა

ლევერკიუნის დისშვილის, პატარა ნეპომუკის ისტორია ხელახლა გადავიკითხე, აღმოვაჩინე ის, რაც აქამდე ნაუკითხავი მქონდა. და ასე მეჩვენება, რომ განვჭვრიტე თომას მანის ჩანაფიქრის კრედი: – არ არის ადვილი იცნობდეს ანდრია ლევერკიუნის ცნავერით აღსავსე ცხოვრებას და ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაცე კითხვას: – რა შესაძლო ზეგავლენა მოახდინა მისმა ფილოსოფიამ მსოფლიო ისტორიაზე? კაცობრიობაზე?

ძნელია თომას მანის ესთეტიკური მშვენიერების დამაჯერებლობის წინაშე თავი არ მოიდრიკო, რომელიც ასეთი ექსპრესიული ობიექტთა გადმოცემული სულის გამოთქავი ტრაგედია ადრინდელი ლევერკიუნისა (და მისი პროტოტიპის ფრიდრიხ ნიციუსის) ცხოვრებისა. და მე მხოლოდ ამდენი წლის შემდეგ, გულწარა კალანდარიშვილის ნიგნის წაკითხვის შემდეგ გავაცნობიერე პატარა ნეპომუკოს, ლევერკიუნის დისშვილის, იგივე ექოს სახით გადმოცემული ამბის სიღრმე. თავად სიტყვა „ექომ“ – ნეპომუკოს ზედმეტსახელი მა გამოიხიბო (ციტატობის ეს სიტყვები:

– „(...) ვისმა საიდუმლოებამ მოცულმა ცოდვიანობამ და საშინელმა აღსასრულმა ვერ შეარყია ჩემი სიყვარული, რაც შესაძლოა (...) მარტოოდენ ანარეკლი ღვთიური მადლისა“. (თ. მანი „დოქტორ ფაუსტუსი“, გვ. 549. (ხაზგ. – ჟ.ს.).

და ცაიტბლომი – მოხრობელი გვაუწყებს, რომ ლევერკიუნის ცხოვრებაში ყველაზე ნათელი პერიოდი დაიწყო და თუ რა ღრმად, რა სულში ჩამწვდომად მოქმედებდა ამ ყრმის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, რომელიც „თითქოს კვლავ არ ტოვებდა“.

და რას ნიშნავს სახელი ექო? ის მხაა, ის ანარეკლია ლევერკიუნის სულში დავანებული იმ სინათლისა, იმ ღვთიური შუქისა და ამიტომაცაა ლევერკიუნის სულის (ანუ ნიციუსის) ფილოსოფიის ყველაზე არსებითი მხარე, ამ ფილოსოფიის სიღრმე, ძველგერმანული სიტყვებით გვეუწყება ამ ყრმის, იესო ქრისტეს ერთგვარი ხატების, ამ უმანკო ბავშვების შემეგობობა.

რომანში ნიციუსს ღვთაებრივი მწყურვალეობა გადმოცემა ლევერკიუნისა და ყრმა ნეპომუკის იმ გაზაზე სიარულით, სადაც იასამნისა და ფსამინის სასიამოვნო სურნელი ტრიალებს, ხოლო თომას მანის სიტყვები მისი ფილოსოფიის ერთ-ერთი არსებითი მხარეა – ოცნება ბარბაროსობაზე, როგორც კულტურის გამაახალგაზრდადებელი მოვლენაზე. ეს ნიციუსს სწრაფვა, იმ პირველსაწყისთან მიბრუნებისა, რაც ფილოსოფოსის აზრით ასე გადააფასა, დამახინჯა ქრისტიანულმა რელიგიამ და ამას პანია, ღვთაებრივი ყრმა ნეპომუკი ძველგერმანული სიტყვებით ასე გადმოსცემს:

– „უფუხვა წვიმა მოვიდა ციდან და დედოქო მინას წყალი აწოვავ“ (თ. მანი „დოქტორ ფაუსტუსი“, გვ. 596).

ამიტომაც აღნიშნავს ალბათ ტაიტბლომი ამ გამოხატულებაზე, რომ ეს უძველესი დროიდან მოდის, ხალხური გამოხატულებაა.

ასევე, როცა ნეპომუკოს, ამ უფაქიზესი და უწმინდესი, უმშვენიერესი არსების ავადმყოფობითა და ბოლოს სიკვდილით გადმოიცემა ნიციუსს განაცხადი „ღმერთი მოკვდა!“ ეს ნაწარმოებში გამოისახება ყრმის უბინო ბავით გამოთქმული სიტყვით: – „ღამე“, – ნიშნად დედამიწაზე ღვთაებრივი ციალის განქრობისა, იმის ნაცვლად რამ მას ეთქვა – „ნახვამდის“, ან „მშვიდობით!“

და მიუხედავად ნიციუსადმი უდიდესი სიმაპტიისა, მისი ტანჯული ცხოვრებისადმი თანაგრძნობისა გულწარა კალანდარიშვილი ნიციუსს უდიდეს შეცდომად მიიჩნევს იმას, რასაც მისი შესანიშნავი მეგზური – თომას მანი ასე ზუსტად განმარტავს: (და რასაც მე პირადად მე, ამ წერილის ავტორი ჟაკლინ სირაძე ვეთანხმები).

1. ინსტიტუტის უპირატესობის აღიარება ინტელექტის წინაშე.

2. ცხოვრებისა და მორალის ურთიერთ-საწინააღმდეგო მოვლენებად წარმოდგენა მათში, როდესაც ცხოვრება და წინააღმდეგობა მთლიანობაა და წინააღმდეგობა არსებობს არა ცხოვრებასა და ეთიკას, არამედ ეთიკასა და ესთეტიკას შორის. (თომას მანი „ნიციუსის ფილოსოფია ჩვენი გამოცდილების შუქზე“).

და თავისთავად ისე გამოდის, რომ თომას მანის ამ ორივე შენიშვნით, ნიციუსს მიერ ქრისტიანობის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება უქმდება. დაბოლოს, მინდა უდიდესი პატივისცემა, მონიშნა და მადლიერება გამოვხატო ამ ნიგნის ავტორისადმი, რადგან თავად ამ საკითხებზე ფიქრი, ამ თემების ასე სიღრმისეული კვლევა უკვე ნიშნავს ადამიანის იმ დანიშნულებას ენსაზურებოდ, რომელიც მასში იმ მღვიძარე მდგომარეობა გამოიხმობს, რაც ყველა ეთიკური, თუ რელიგიური მდგომარეობის წინააღმდეგობაა.

ვლადისლავ სოდასევიჩი დაიბადა მოსკოვში 1886 წელს, დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. პირველი წიგნი - „ახალგაზრდობა“ გამოსცა 1908 წელს. სიჭაბუკეობიდან დაიწყო ანდრეი ბელი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე. 1920 წელს გამოიცა ვლადისლავ სოდასევიჩის უმნიშვნელოვანესი წიგნი „მარცვლის გზით“. 1922 წელს პოეტი მიემგზავრება ემიგრაციაში, ცხოვრობს ჯერ ბერლინში, შემდეგ - პარიზში. 1927 წელს გამოიცა ასევე მეტად მნიშვნელოვანი კრებული „ეროპული ლამე“. ვ. სოდასევიჩი გარდაიცვალა 1939 წელს პარიზის სიახლოვეს, დაკრძალულია იქვე. ვლადისლავ სოდასევიჩი სადღესოდ მიჩნეულია „ვერცხლის საუკუნის“ ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ პოეტად.

პნს
მონყენისაგან გრეხილები გამომყავს
მკრთალი,
და დაეტყობა გლუვ და სუფთა, (ვარიელ
ფურცელს,
წრებისა და ზიგზაგების, შტრიხების
კვალი
და რითმიანი სტრიქონებიც წამოვა უცებ...

ვწერ ლექსებს, სადაც აღბეჭდილა
მსუბუქი სევდა,
ოდნავი ჩხვლეტა მორჩილ სიტყვებს
მდუმარედ ცეცხლს,
იქნებ მარადი უარყოფა ერგუნა ხვედრად
ოდესღაც ძვირფას, ოდესღაც მკაცრ და
სათნო მზერას?

და თუ მოვიდა, თუ წარმოსდგა კვლავ ჩემს
წინაშე,
და მუქ პირბადით შეიმოსა იგი კვლავ
თუკი,
თვალებს დაეხუჭავ და თავს ტკბილად
მოვიმძინარებ,
რომ გულმშვიდ დღეებს არ მოვფინო
მწუხარე შუქი!

ის ჩემს კარებთან შეყვონდება ორიოდ
წამით,
და მე მოვუსმენ სამაჯურის მთრთოლვარე
ულერას.
და წავა მერე. რა უნდა თქვა? - ჩუმი და
წყნარი
ჭიანურდება არცთუ მკაცრი დღეები
ჯერაც!

ლექსებს დიდი ხნით მიტოვებულს
გადავასწორებ,
დღეებს თანაბარ საათებით გავზომავ
უხმოდ,
არანაირ ღმერთს სასოებით მე აღარ
ვუხმობ,
და აღარც იმედს არ მოვუხმობ
აღარასოდეს.

წიგნა
მე მიხარია - ქალაქი შრება
და სახურავებს გუშინ დამტვერილს,
აბრეშუმით ვფენია შვება
და ვერცხლის ჩქერი დასდის რამდენი.

მე მიხარია, დავიცხრე უინი,
ვილიმები და ვხედავ ფანჯრიდან;
მარტო მიდიხარ - ნაბიჯი ხშირი
ქუჩას გასცდა და უფრო გახშირდა.

მე მიხარია - მატულობს თქემი,
და სადარბაზოც შეგვხვდა იმედად,
ქოლგას, რომელიც გეჭირა ხელში,
პირქვე ამოხვდა და წვეთებს იფერთხავ.

მე მიხარია, რომ დამივიწყე
მას აქეთ, რაც კი გამოცდი პარმალს,
ჩემს ოთახს მზერით აღარ მიიწვდენ,
არ ამოხედავ ჩემს სარკმელს მაღლა.

მე მიხარია - უნდა ვუცქირო
ამ სველ ქუჩაზე ნაბიჯებს ჩავლილს,
ასე ლამაზად, ასე უმნიშვნოდ
გასდის ვენებიან განაფულს ყავლი.

ო, მეგობრებო, იქნებ სულ მალე,
არა სიზმარში, არამედ ცხადში -
მოულოდნელად მუსიაფს განვლევ,
ფუჭსიტყვაობას უეცრად წავშლი.

მხოლოდ სულიდან ამოყვანილი
ბგერა თუ შემძრავს, ხემივით მჭლერი,
და შემერხევა ხელში ყვავილი,
რადგან აღვმართე მე მაღლა ხელი.

ყვავილოვანი გზა და ქვეყანა
გადამეშლება სასვე მწვანეთი, -
იმ მხარეში რომ გადავგეყვანა,
რა იქნებოდა, ჩვენ ერთმანეთი.

ეთერი თრთის და ვარსკვლავი ელავს,
ღამეა თაღქვემ მალვით მშუქარი,

ვით არ მიყვარდეს ეს მაღლი ყველა,
შენგან მოძღვნილი ეს საჩუქარი?

ხუთივე გრძნობა შენ მომანიჭე,
დროცა და სივრცეც შენ მისაჩუქრე,
ხელოვნებათა მთრთოლავ აჩრდილებს
ჩემი მერყევი სულიც აშუქებს.

მე არაფრისგან შევექმენ სამყარო, -
შენი უდაბნო, ზღვა და მთა-ბარი
და განვადიდე მზე სათაყვანო,

ვლადისლავ სოდასევიჩი

რომელიც ათას მზერას აბრმავებს.

ახლა ხუმრობით და თავაშვებით
ამ უაზრობას წარმტაცს მივანგრევე,
როგორც ანგრევენი ცელქი ბავშვები
ქალღმერთს ნაგებ ციხე-სიმაგრეს.

მგზავრი ვიხილე ხელში არგანი
და უნებურად შენ გამახსენდი,
ორთვალა ქროდა, ვით ნიაფქარი,
კვლავინდებურად შენ გამახსენდი.
შენ გამახსენდი, შუქი ენთება
და დერეფანში ჩრდილებს ატოკებს,
მუდამ და ყველგან შენ მახსენდები -
ზღვაზე, ხმელეთზე და ცის ტატნობზე.

ქუჩები უკვე გადაფარა მწუხრმა
ნახევრად,
ჩქამი გავარდა და მოისმა ფანჯრის
გაღება.

სინათლე გასხლტა, აფრიალდა ფარდა,
ატოკდა,
უეცრად მოწყდა და კედელი ჩრდილმა
დატოვა.

ბედნიერია ის, ვინც თავქვე სწრაფად
ემშვება,
კი, წამით, მაგრამ... ყველაფერი სულ სხვა
იქვენა.

გასჭერ ღრუბელი - გადმოანათე
ჭიქა ჩაის და ვინრო მაგიდას,
ჯერ არ ნახვიდე, ზამთრის მნათობო,
შუქს ნუ ჩარაზავ მაგ სიმალლიდან.

კაშკაშა სხივი გადამანანი,
ვიდრე კალამი ფიქრში გართულა, -
ამოთქვამს მისი მკვირცხლი ტკაცანი,
ჩემი ცხოვრების ყველა სამდურავს.

ატოკებული, ბასრი და მჭრელი -
ორლესულია თითქოს წამდვილი,
გარბის ფურცელზე კალამი ჩემი,
მაგრამ მე იქ კი არ ვილანდები:

კუთხოვანი და მრუდე პროფილი
სიმაღლეების იხატვის მჭიდროდ,
ზეალმსწრაფი და ქვედამსობილი
ეს ჩემი სული სადაც კი მკვიდრობს.

ქარიშხალი
შენ, ქარიშხალი! სდევნი არმადას,
გამძვინვარებულ ტალღებს მიანთხევე,
ანძებს დადრეკ და ღრუბლებს დაბლანდავ
და ნეშტს ატყორცნი ცათა ნიალებს.

მდინარეების წალმა მბრუნავო,
პონტონს ანარცხებ კლდეზე ხალისით,
დედაბერს უძღურს და უუნაროს
ქოლგას გამოგლეჯ და გადაისვრი.


ხეებს მოთხრი და ტოტებს მოტეხავ,
მინდორში ალოს სეტყვას მიაყრი,
მარტო ბრძენკაცს არ შეუტოკდება
შენი შლიგინით გულის ნიალი, -

ვერც მეხთატება უქცევს გუნებას,
წყნარია, როგორც მჭვრეტელს შეჭვერის,
მხოლოდ თვალები მოეწკურება, -
თვალები ყოვლისმომყირჩებელი.

თუმც ყველა მიყვარს, ვეტრფი ბუნებას,
ნავარდის ხიბლით არ ვიდაგები,
ვიცი, არ მინდა მე დარწმუნება,
რომ ჩემს ქმნილებებს არ ჰყავს გამგები.

მე ცოტა მყოფნის, განვჭვრიტე ნათლად,
ის, რაც მერგუნა მომჭირნე ხვედრით:
თელა, რომელიც ეყრდნობა სარდაფს
და დაფარული ტყით მცირე ქედი...

არც დევნას და არც მჭახე დიდებას
თანამედროვის არ მიზღავს ფიქრი,
ჩემს იასამანს თვითონ მივხედავ, -
შემოვასწორებ ტერასებს ირგვლივ.



უხმოდ
შენ მიმანიშნე უხმოდ რა ჰქენი
და ნახელავი შენი მაჩვენე,
კოხტა და სუფთა ამონაკერი
თეთრი ბატისტის ლამაზ ნაჭერზე.

და გავიფიქრე, ალბათ, ვინ იცის,
ჩემი ცხოვრებაც ზრუნვის მტვირთველი,
გავლებულია, როგორც გვირისტი
ყოფნის ტილოზე უფლის თითებით.

მე მელიმება, - ვიცი, გვირისტი
ჩემს ბედსაც გასდევს, როგორც
ცხვირსახოცს,
ხან სასიცოცხლოდ, ხან სიკვდილისთვის...
და პირს ვუბრუნებ ნაჭერს, ძვირფასო.

ხელში ჩაებლუჯე მე ჩირაღდანი
და გადავენთე ქუჩებს მგზნებარედ,
და ნაპერწკლები თრთოლვა-ცახცახით
ზედ ეყრდნობოდნენ ჩემს ნატერფალებს.

მე მოედნები გადავანათე,
ზათქი გაჰქონდა ფეხქვემ ქვაფენილს
და დავეძებდი მე სხვა სანათებს
ბრდღვიალა შუქის ამონაფრქვევით.

მე ყრუ დუმილი გადავამსხვრიე,
ქარი მისტვენდა ყურში ქორქილით,
ქალაქო, ვფეთქავ, ბინდბუნდს ვასხივებ
და შენ კი წევხარ ძილად მიგვრილი.

გავრბივარ იქით, სადაც არავინ
არ ჩანს მინდვრებში, სადაც ანთია
მთვარე და ქალაქს მიღმა წვევრამი
ისვრის სისხლიან მთვარის ათინათს.

გავექანები და თავალებით
ვერთვი მდინარეს და მის წიაღში
ჩამაბრუნებენ სწრაფი ტალღები
და ჩემს ჩირაღდანს ტალღებს მივაფშენი.

უხმოდ გარიყავს წყალი ჩირაღდანს -
ცივისა და ჩამქრალს, შავად გაბოლილს,
და ზედ შერჩენილ ქაფის ფთილას
ჩამობნის ტალღა ჩუმი ამბორით.

ოძრო
აჰა, შენ ბაგეებს ნილხვდათ
ოქრო და ხელებს კი ყაყარო და
თაფლი.
Salve aeternum
კრასინსკი

პირში ოქროს მაქვს, ყაყარო და თაფლი კი
ხელში,
მე ეს მერგუნა, გავეცალე ამ სოფელს
ხენეშით.

რომაელივით არ მინდა რომ ცეცხლმა
დამნაცროს,
მინის ნიაღში დავდებ თავს და ძვლებსაც
დავანაცობ,

რომ გაზაფხულზე ლორთქო მარცვლად
ამოვანათო
და შევეურთდე ვარსკვლავებით მბრუნავ
კაბადონს.

ყაყაროს მინა ჩააჭნობს და ამოშრეტს
თაფლსაც,
ოქროს მონეტას პირის ღრუში უკუნი
დაფლავს.

წლების შემდეგ კი მავანი რომ მინას
მოჩხრიკავს
და ძვლებს დაანაცობს გადარჩენილს ჩემი
ჩონჩხისას,

თავისქალაში, რომ გაიპო ორად ნიჩაბით -
ოქროს მონეტას წაანყდება ძვლების
მსინჯავი;

და ის მონეტა, უკუნეთმა რომ ვერ
გათელა, -
აბრწყვილდება, როგორც სულის
ამონათება.

მარცვლის გზით
ხნულში მარცვალი რომ ჩააგდო, აჰა,
ესერა,
წინაპართა გზა გააგრძელა ამით
მთესველმა.

მის ხელში ელავს მარცვალი, ვით ოქროს
ნამცვრევი,
მინაში აგდებს ბეჯითად და ხნულს
ჩასცქერის.

ვით ჭიაცელამ ბნელ წიაღში გზა გამოძებნა
ოქროს მარცვალმა - ჯერ მოკვდა და
კვლავ აღმოცენდა.

და ჩემი სულიც უნდა დანთქას მინის
უკუნმა,
რომ ჯერ მოკვდეს და მერე აღდგეს,
როგორც შუქურა.

ჰოდა, ხალხნი და ჯამაათნი, წლეულს,
იცოდეთ,
უგდა მოკვდეთ, რომ მერე კვლავაც
პოვით სიცოცხლე.

აკი ამასვე გვეუბნები, სიბრძნევე, ზიარო,
ყველა სულდგმულმა ამ მარცვლის გზით
უნდა იაროს.

აკრობატი
აკრობატია, სახლებს შორის გაბმულ
ბაგირზე,
რომ მიაბიჯებს და სიმშვიდეს იჩენს
საკვირველს;
სასწორს მიაგავს თარაზულად
ჯოხმეშართული,
ჯამაათი კი ცხვირს იბზუებს ცქერით
გართული.

აჰა, საცაა მონყეობაო, გვითქვამს
მართალი,
ჩურჩულებენ და მოლოდინი არის
ზღართანის.

აქეთ - ფანჯრიდან ილანდება თავი
დედაბრის,
იქით - ლოთია ღვინის ჭიქით ხელში
შემდგარი.

მაგრამ კრიალა ცისქვემ მდგარი მტკიცე
ბაგირზე,
დუმს აკრობატი და ნაბიჯებს ადგამს
საკვირველს;
და თუკი მონყდა ოინბაზი და დანარცხა,
და პირჯვრისწერით ყალბმა ბრბომ ის
მსხვერპლად შერაცხა -
წარბს ნუ შეიხრი შენ, პოეტო -

ქედუხრელობა
აჩვენე ყველას, შენც ხომ მსგავსი გერგო
ხელობა?

ახლაგაზრდა, ნიჭიერმა, იმედის მომცემმა ჟურნალისტმა საბა შაგერენიძემ ფსევდონიმად „საბადურელი“ აირჩია. ერთხელ, სტუდენტობისას ექსკურსიაზე იყო თიანეთში თანაპურსელებთან ერთად. ცხვარი დაკლეს, საბადურის ტყეში იქიფეს და მას მერე აეკვიტა ეს „საბადური“. ჟურნალისტის განყოფილების წარჩინებით დამთავრების შემდეგ იმ რედაქციაშივე ჩაირიცხეს მტკიცე, სადაც მთელი კონსტრუქციული იყო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი. მაგრამ იმედი-საბადურელი კარგად წერდა. კარგად კი არა, სხვებისგან განსხვავებულად, თავისუფლად, ლაღად, მარად. ამის გამო რედაქციაში მტრებიც გაიჩინა. იქ ხალხი წლობით მუშაობდა და სარედაქციო თათბირებზე, ერთხელაც არ უქია და უდიდებია ვინმეს ისე, როგორც გუშინ მთორეული ვის ლანიჩი მგლახნელი, ვილაც საბა! ყოველ თათბირზე სულ საბა საბადურელი გაისმის! თითქოს იმის მეტი არაფერი მუშაობს ჟურნალისტისთვის! დიდი ამბავი-საბა! ეგვედ მყავდა რა, სულხან საბა ორბელიანი, ან...აი ის, მარტინ იდენი!

იმ დილით, თათბირის შემდეგ, როცა ყველა წავიდა, რედაქტორმა უთხრა, „ა, ვას, მტირლიც, პაპრაშუ ასტატსა“ და განსაკუთრებული კი არა, გამაოგნებელი რაღაც დაავალა!

- ახლა რასაც გეტყვი, თითქმის სახელმწიფო საიდუმლოებაა.
- ვა! - დაიძაბა საბა.
- დღეიდან მივლინებაში მიდიხარ!
- სად?

რედაქტორი წამით შეეყოვნდა, შუბლი მოისრისა და ოროსანი მონაფესავით დაიწყო ბლუყუნა.
-, სად, სად! ჯანდაბაში და დოზანაში!
- ფრონტზე მაგზავნი (ცხელ წერტილში) - გაეცინა.
- შენ გესურვება და ნახე აქ რას წერს მეცნიერებათა აკადემია. ათი აკადემიკოსი აწერს ხელს! თანაც, უპირობოდან მოგვივიდა მეცნიერებათა აკადემიის წერილი... მოკლედ... არ ვიცი, ან ეგენი გაგიჟდნენ, ან ვილაც მაგრა ხუმრობს!

ასე იყო საქმე. „N“ რაიონის გ „N“ გეოგრაფიულ მონაკვეთზე უცნაურ ამბები ხდებოდა. მაგალითად, ნაკადული მოულოდნელად იწყებდა დინებას საინალმდეგო მიმართულებით, ან კიდევ აი, ეს! ცხვრის ფარა, უცნაურად აღიზიანებდა ბუფს მაგივრად, მარსელიოზას ლილინება „ცხორი“! ან რაიმე ქართულ სიმღერას! თანაც სამ ხმაში, ხშირად უფრო მეტშიც. მეცნიერები ჯერ სკეპტიკურად განიყვანებდნენ, შემდეგ, შეჰყვებენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ რაღაც ანომალიასთან, ზებუნებრივ, ამოუხსნელ მოვლენასთან ჰქონდათ საქმე და კვლევის მასალები და დასკვნები ქვეყნის უშიშროების სამსახურში გადაგზავნეს. ყველაზე აღმაშთებელი და საშიშვლი ის იყო იმ „N“ მონაკვეთში, რომ კვლევების დროს სამი ახალგაზრდა მეცნიერი გაქრა! უბრალოდ, დაიკარგა! წარმოგიდგენია?! საქმე უშიშროებამდე რომ მივიდა, ამ სამსახურმა იმსჯელა და რედაქციას გადმოუგზავნა „თავაზიანი შეთავაზებით“, ჟურნალისტი გაეგზავნა საგანგებო (საიდუმლო) დავალებით. ახლა მწყემსებს აღარ იკიხავთ? ჰმ! მწყემსები რა? ჩვეულებრივი მწყემსები იყვნენ, არაფრით გამოირჩეული. ზოგი რვა კლასის განათლებითაც არ იყო. ბოლოს დატრიალებული უცნაური ამბების გამო ყველას გაქცევაზე უჭირა თვალის. საბა ინტრიგების, მწვავე ამბების მოყვარული ექსტრემალიც იყო. ბავშვობიდან კარატემი ვარჯიშობდა და უკვე სტუდენტობაში შავი ქაშარიც მოიპოვა. მედიტაციებს კარგი ინდუსი ფაქირივით ფლობდა.

გააფორმა საბამ მივლინება და ჩავიდა „N“ რაიონის „N“ მეცხვარეობის კოლმეურნეობაში, მოკლედ, ყიზლარში. ერთი კვირა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. იღვიძებდა, დადიოდა აღმა-დაღმა, მეცხვარეებთან ლაზღანდარობდა, ცხვარს აკვირდებოდა. ერთი კვირის თავზე, რატომღაც ცხვართან ერთად ბალახის მოძოვა მოუხდა, დადგა ოთხზე და ისეთი გამშაგებით და მონდომებით დააკვდა ბალახს, თითქოს ცხოვერებაში პირველად ხედავდა. ბალახი ცვრიანი და საკმაოდ გემრიელი აღმოჩნდა.
- მოგწონთ? - მოესმა გვერდიდან ქალის სასისამოვნო ხმა.
- დიას!-ძალიან გემრიელია. უპასუხა და უცბად კინალამ გული გაუჩერდა. ცხვარი ეკითხებოდა ამა! საბამ ხელზე დაიხედა.

ხელების მაგივრად, ცხვრის ფეხები გამობოდა... მოკლედ, ცხვრად გადაქცეულიყო.
- გამაგრდით! მეც ასე დამემართა, როცა ცხვრად გადავიქციე, პანიკა დამეფლდა, არ ვიცოდი, რა მექნა. მეც ჟურნალისტი ვარ. ესენი... ზოგი ნამდვილი ცხვარია, ბევრი ყოფილი ადამიანია, ინჟინერი, მეცნიერი, ექიმი, ესტრადის მომღერალი და... რა ვიცი, რა პროფესიის ცხვარს არ ნახავთ, აქ მთელი კაპელაა! საშფო კონცერტით ჩამოსულეებს ასე დამემართა!...მე ვინელი მქვია, ოცდასამი წლის ვარ, გასათხოვარი.
- რამდენი ხანია რაც აქ ხართ, ვინელი?
- მალე ერთი წელი გახდება!
- თქვენც მივლინებით ჩამოხვედით?
- არა, ოჯახთან ერთად გამოვისიერნეთ ერთ კვირა დღეს. აქ ცხვარი ბალახობდა. მივედი, ბატკანს მივეფერე და ასე დამემართა, ცხვრად გადავიქციე. პირველად ძალიან გამიჭირდა. განსაკუთრებით ოჯახი მეცოდებოდა, დედა, მამა, ჩემი ძმები! ძებნა გამოაცხადეს. აბა, ვინ წარმოიგონებდა, რომ მე ადამიანი, გოგონა, ტელეჟურნალისტი ცხვრად გადავიქცეოდი? მაგრამ, იცით, მი-

თავაზ ჩივილი

ქედილა

ვეჩვიე და ახლა მომწონს კიდევ! არავითარი პასუხისმგებლობა! არავითარი სტერეოტიპები! აბსოლუტური თვისუფლება, რაც გამორიცხულია ადამიანთა საზოგადოებაში. ვსაუბრობთ, ვერთობით. აი, ჩემები მენატრებიან, ნოსტალგია მანვალეებს. ისე ყველაფერი რიგზეა! - გადამიხსენია ვინელიმ და სხარტად შეიკუნტრუბა.
- რა უნდა ვქნა? - ჰკითხა საბამ საკუთარ თავს და ახლადა მიხვდა, რომ აზრებით ელაპარაკებოდა კოლეგას, მის ნებისმიერ აზრს იგებდა ცხვარი-ვინელი. გაგონილი ჰქონდა, ტელეპათია, ექსტრასენსორული აღქმა, ბევრი სხვა პარაფსიქოლოგიური სიგიჟეები, მაგრამ ამ ყველაფერს ისე უყურებდა, როგორც უაზრო აკვირებებს. არ სჯეროდა და არ სწამდა აზრების მანძილზე გადაცემის, ტელეკინეზის. ტელეპორატაცია ხომ „ანენერბეს“ და ჰიტლერის გიჟური იდეა თვლიდა!
ბევრს კითხულობდა საბა და, მიუხედავად ასაკისა, საკმაოდ ინფორმირებული და განათლებული ყმანვილი იყო.

*
ის დღე ზღაზვნით გაილია. დაღამდა, მეორე გათენდა.
დღე დღეს მისდევდა და ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა. ცხვრის ჩვეულებრივი ფარა იყო, მაგრამ თითქმის ყოველი მეორე, ყოფილი ადამიანი, ოჯახის დედა, ან მამა, ერთ დროს თანამდევობის პირი, ჟურნალისტი, ინჟინერი, მეცნიერი, პატიული და კომკავშირული მუშაკები, რა ვიცი, ვინ აღარ იყო და უცნაური ზემოქმედების წყალობით ცხვრად გადაქცეულნი მშვიდად შეექცეოდნენ ბალახს. რა არის ცხვარი თავისი შინაარსით? ხორცი და მატყლია, მეტი არაფერი. ცხვარი ხომ მამაზეც იერმა შექმნა ადამიანის საკვებად.
უნდა გენახათ, რა ერთგულებით სდარაჯობდა ფარას ბომბორა ძაღლების გუნდი. ცხვრის ფარა საკმაოდ დიდი იყო და ძაღლებიც, ხორცილთა ნაკვები და მოძღვარებულები, შესაბამისად ვარესიულები და ერთგულები ჰყავდათ მეცხვარეებს.
მწვანე ხასხასა ბალახი ოხრად იყო იალაზე. მიდი, ჭამე რამდენიც გინდა, სხვა რა საქმე გქონდა? დედალი მოგიინდა? რა პრობლემაა!..
საბა ვერაფრით შეეგუა ახალ „ამპლუას“.

როცა რედაქციაში მუშაობდა, ხშირად შეუცვლია პროფესია, ხან ზეინკალი იყო, ხან მეტროს მემანქანის თანმემნე. ერთხელ მათხოვრების პრობლემაზე ამზადებდა ნარკვევს და მთელი კვირა იჯდა ოპერის წინ, მინისქვეშა გადასასვლელში ხელგანვიდილი. პირველ დღეს 17 მანეთი გამოვიდა, მეორე დღეს 21 და კვირის ბოლოს 80 მანეთი ხე ავიდა. მიეჩვია, მინისქვეშა ჯდომას და

მეტუთა ფულის შოვნას ჟურნალისტი საბა, ისიც კი იფიქრა, ჟურნალისტობას მგონი მათხოვრობა სჯობიაო, მაგრამ იქ სულ სხვაგვარად იყო საქმე, ნებისმიერ დროს შეეძლო ხელოვნური გაბურძგნული პარიკის, წვერულ-ვაშის მოძოვება და არხეინად შინ წასვლა, მაგრამ აქ, ცხვრად გადაქცეული რას იზამდა? ვერაფერს!
მამის ის ნარკვევი არ დაუბეჭდეს, მთავლიტმა ნითელი ფანქრით გადახაზა, ჩვენთან მათხოვრობა იშვიათი მოვლენაა, კანონით აკრძალულია და სულაც არ არის ისეთი რამ, ამხელა მასალით გაზეთი მოცდესო.
როგორც გითხარით, საბას გაგონილი ჰქონდა, ტელეპათია, ექსტრასენსორული აღქმა, ბევრი სხვა პარაფსიქოლოგიური სიგიჟეები, მაგრამ ამ ყველაფერს ისე უყურებდა, როგორც უაზრო აკვირებებს. ინფორმირებული და განათლებული ყმანვილი იყო. შაბათს, იალაზე ცხვრის საყიდლად ორი „ვოლგით“ მყიდველები მოვიდნენ...

*
ცხვრის მყიდველების გამოჩენამ სერიო-

ზული საფიქრალი გაუჩინა საბას. ნებისმიერ დროს მივიდოდა მყიდველი, დაავლებდნენ ხელს და...მოგჭამა ჭირი! სადაღაც ყიზლარში, რომელიღაც დალესტენელის ან ინგუშის სუფრაზე დამთავრდებოდა ნიჭიერი, იმედისმომცემი ჟურნალისტის კარიერა. რატომ დაეთანხმებოდა რედაქტორს, რატომ წამოვედი, რატომ? რა მიზეზი იქნა, რაა?! თავზარდაცემული საბა, უაზროდ დაბორილობდა წინ და უკან. მამის გამოცემა, როცა ძაღლის ღრეხა სულ ახლოს მოესმა.
- ღობეს ნუ უახლოვდები, უტვინო! - საბამ თავი ასწია იმდენად, რამდენადაც ცხვრის კისრის მალეების სტრუქტურა იძლეოდა ამის საშუალებას. მის წინ უშვალელები, მოლაპარაკე შავი ნაგავი იდგა.
- მაპატიეთ... ჩაფიქრებული ვიყავი და ვერ შევნიშნე.
- კიდევ ერთი ცხვარ-ადამიანი?!- გაუხარდა ნაგავს, - სადაური ხარ?
- ვა, ესენიც ადამიანები ყოფილან!
- სადაური ხარ? - არ გაჰკვირვებია უფროს ნაგავს.
- თბილისელი ვარ, ჟურნალისტი.
საბამ ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა, რა და როგორ გადხდა. ისიც უთხრა, რედაქციამ უშიშროების წერილი რომ მიიღო ანომალური სექტორში ჟურნალისტის გაგზავნის თაობაზე და რომ ის ჟურნალისტი თვითონ იყო. მერე მესამე ნაგავიც მოვიდა. ჩამოცუქცდნენ ღობის იქით.
- ჩვენც საგანგებო დავალებით გამოგვგზავნეს, ოღონდ ჟურნალისტები არ ვართ. მე უშიშროების კაპიტნის წოდება მაქვს, ეს ორივე უფროსი ლეიტენანტები არიან. ჩამოვიდით და აბა, ის დაგვემართა, რაც შენ და მაგ შენ მეგობარ მანდელთასანს, აი, ასე ძაღლებად გადავიქციეთ.

როცა მკითხველი დღესაც არ გაკლია

ჩატარებული მისი ახლადგამოცემული ნიგნების - „სირიუსის დაბრუნება“; „ხუთი ოლიმპიელი“ - წარდგინება, რომელსაც ათეულობით სტუმარი ესწრებოდა.
ლონისძიებს უძღვებოდა ნიგნების გამოცემულ-რედაქტორი, პუბლიცისტი ზაურ ნაჭყვია, რომელმაც ვრცლად მიმოიხილა თავაზი ჟურნალისტი-სამაზრობის შემოქმედება. ამასთან, აღნიშნა, რომ ავტორი აქტიურად განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას.
სალამოზე სიტყვით გამოვიდნენ და ავტორის შემოქმედებაზე ისაუბრეს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, ცნობილმა ჟურნალისტმა ელგუჯა ბერიკელიმ, აკადემიკოსმა რეზო სულავემ, ჟურნალისტმა ზვიად მოსიაშვილმა, ქალბატონებმა: ლალი შვეარდნაძემ, ნანა შიომშვილამ, ანუკი და თამარ ჭიჭიშვილებმა.
ჩვენც ვულოვავთ ავტორს და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

- როგორ ფიქრობ, ამხანაგო კაპიტანო, რასთან გვაქვს საქმე? - ძალი კაპიტანი ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია და მტკიცედ და გადაჭრით თქვა:
- საბჭოთა კავშირის, ან ამერიკის სპეც-სამსახურებთან არსებულ საიდუმლო ლაბორატორიებში რაღაც იარაღის შექმნაზე მუშაობენ.
- ჯანდაბას საიდუმლო ლაბორატორია! ჯანდაბას იარაღი! შეუძლებელია ცხვრად დავრჩე, წარმოუდგენელია! - უნდა ეყვირა, უნდა ელრაილა საბას, მაგრამ საბრალოდ ამოიკინა - ბეჭევენივეეე!
- ახლა კარგად დამიდგეთ ყური! დაიწყო კაპიტანმა. - აქ მყიდველები მოდიან, სახინკლების პატრონები და ცხვარს ყიდულობენ. ისე უნდა მოიქცეთ, რომ არ გიყიდონ.
- რა უნდა გავაკეთოთ?
- ნონაში უნდა დაიკლოთ! ძვლად და ტყავად უნდა ჩამოდნეთ, რომ არ წაგიყვანონ სახინკლე ხორცად.
- როგორ! როგორ? იმისთვის ვისწავლე ხუთი წელიწადი, იმისთვის გავხდი კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი, დამსახურებული ჟურნალისტი, რომ ვილაც ლორმა მეხინკლემ ხინკლად მაქციოს და სხვა ლორმა შემოვლივოს?! - აკიკინდა საბა.
მზე ჩადიოდა ყიზლარის ველზე. ბინდებოდა.

*
საბას კაკუნის ხმა მოესმა, უფრო ბრახუნს ჰგავდა.
-ჰა, მყიდველები მოვიდნენ?!
- რა მყიდველები?! - რედაქტორს გაეცინა.
საბამ თავი ასწია.
- ო, ღმერთო! სიზმარი ყოფილა!
მაგიდას დახედა. ცხვრის ხელნაწერები ეწყო. ერთი ფურცელი ასე იწყებოდა - „მათხოვრების მაფია, თუ უმწიფოთა ალღუმი საქართველოს დედაქალაქში“.
- ჩემთან შემოდი, მივლინება გავაფორმოთ... „მათხოვრებიდან“ გადმოერთე, ხომ ხედავ, დაგიბოკა მთავლიტმა! იმდენს იზამ, მოგვხსნის ცეკა ორივეს! ერთ კვირამ ახალი წელი დგება... ჩადი, პრემია აილე, წინა მასალისთვის გამოგიწერე...
- რა მივლინებაა? იკითხა საბამ.
- ახლა რასაც გეტყვი, თითქმის სახელმწიფო საიდუმლოებაა. -ვა!-დაიძაბა საბა. ძალიან ეცნო ტექსტი.
რედაქტორი წამით შეეყოვნდა, შუბლი მოისრისა და ოროსანი მონაფესავით დაიწყო ბლუყუნა.
- ყიზლარის საძოვრებზე, სადაც ჩვენი ცხვარი ზამრობს, უცნაური ამბები ხდება.
- რაა?!-ამოიკივლა საბამ.
- რა გაყვირებს? ჩვენი ცხვარი იკარგება, ხან ორი, ხან ხუთი! მოკლედ, ჟურნალისტი ური გამოძიება უნდა ჩაატარო! ჩადი ანიჩკასთან, მივლინების ფული აილე.
საბა სირბილით დაემგზავნა ანიჩკას სართულისკენ მივლინების ბარათის და სამივლინებო ას ოცი მანეთის ასაღებად.
გარეთ ბარდნიდა. ასეთი თოვა იშვიათად იცის დედაქალაქში, ძალიან იშვიათად...

*
შეიდ დღეში გენერალური მდივანი 1981 წელს მოულოცავდა საბჭოეთს...

(საკუთარი ინფორმაცია)

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დავითაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბალა გველსიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ჰანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

გაგონის 2 კვირის პირობა
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
7 72 720 8 54 003

ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს # 1 ; ტ ე ლ . : 2 9 3 6 9 7 7 E - Mail : l i t s a q a r t v e l o @ y a h o o . c o m